4 (57) - 2014

ამოიცემა
00 წლიდან

1239
2014

საქართველოს ბიბლიოთეკა

საგანმანათლებლო-სამეცნიერო და პროფესიული ჟურნალი ბიბლიოთეკარებისთვის



საქართველო
საბიბლიოთე
ასოციაცია
www.gela.org

ISSN
1512-088

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს!

ბატონო პრეზიდენტო,

მსურს გამოვხატო გულწრფელი მადლიერება იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ საქართველოს რაიონების ბიბლიოთეკებს.

რომ არა თქვენი ინიციატივა და მხარდაჭერა, პროექტის „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

თქვენი მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის წყალობით, საქართველოს რაიონების თითქმის ყველა ბიბლიოთეკა მომარაგებულია ახალი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნებით.

საბიბლიოთეკო ასოციაცია მზად არის, მხარი დაუჭიროს თქვენს ყველა ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული წიგნის პოპულარიზაციას, საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების გაჯანსაღებას.

მოკრძალებით მსურს, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს ყველა სოფლის ბიბლიოთეკის სახელით, რომელთა ფონდებშიც საახალწლოდ თქვენი ინიციატივით შეძენილი ლიტერატურა განთავსდა.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი

საქართველოს ბიბლიოთეკა № 4 (57) - 2014

შინაარსი

ბიბლიოთეკა, როგორც ორგანიზებული ცოდნის სამყარო 5

საბიბლიოთეკო მენეჯმენტი

გიორგი კილაძე – თანამშრომელთა ატესტაციის საკითხისათვის 7

გურამ თაყნიაშვილი – საჯარო ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე 9

ფილოლოგიური ძიებანი

ნათლიაშვილი–კვინიკაძე, ნ. – მშობელი ქვეყნის მოზარე 11

მარჯანიშვილი, მ. – ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო 14

ბავშვთა კითხვა

გურამ თაყნიაშვილი – წიგნის როლი და დანიშნულება შიო ჩიტაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში 19

მეცნიერი ბიბლიოთეკაში

ჭეღელიძე, ნ., ტოგონიძე, მ. – მეცნიერი, მკვლევარი 21

ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული ძიებანი

მაია მიქაბერიძე – დავით ჩუბინაშვილის თხზულებათა ადრინდელი გამოცემები 23

ქეთევან დედოფალი ქართულ წყაროებში 27

მკითხველთა მომსახურება

აბონემენტის მუშაობის სპეციფიკა საქალაქო ბიბლიოთეკაში 29

ჩვენი მკითხველები

ზაქარეიშვილი, ზ. ბიბლიოთეკის ღირსეული მკითხველთაგანი 31

კორესპონდენციები

მასობრივ ღონისძიებათა კვალდაკვალ 32

იუბილე

ალექსანდრე ლორია – 80 შეხვედრები, მილოცვები 34

ვულოცავთ 35

ინფორმაცია

ყვავილოვანი პოეზია 38

გზა საუფლო „მე“–სკენ 38

მძიმე მოვლენების ქრონიკა 39

რეცენზიები, შენიშვნები

ალექსანდრე ლორია – ქვეყნის საქმეზე გადაგებული კაცის ცხოვრება 39

გიორგი გაბუნია – რამდენიმე შენიშვნა „ქართული პერიოდიკის“ შესახებ 41

ჩვენი კალენდარი

2015 წლის საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი 42

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა 44

რევიუ

საოპერო დივას ბოლო გამოსვლა „ლუკრეცია ბორჯიაში“ 46

გამოსათხოვარი

შრომასა და ბრძოლაში განვლილი ცხოვრების დასასრული 47

ცხოვრება და აღსასრული კეთილის მქნელისა 48

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 4 (57) – 2014

Содержание

Управление публичных библиотек на современном этапе 5

Библиотечный менеджмент

Гиогри Киладзе – К вопросу аттестации сотрудников 7

Гурам Такниашвили – Библиотека, как мир огранизованного знания 9

Филологические изыскания

Н. Натлиашвили-Квиникадзе – Провозвестник родной страны 11

М. Марджанишвили – Родина, увиденная в потоке сознания 14

Детское чтение

Гурам Такниашвили – Роль и значение книги в педегогическом наследии Шио Читадзе 19

Славные соотечетсвенники

Н. Чегелидзе, М. Тогонидзе – Ученый, исследователь 21

Прославленные предки

Маия Микаберидзе – Лексикографическая деятельность Давида Чубинашвили 23

Царица Кетеван в грузинских источниках 27

Обслуживание читателей

Специфика работы абонемента в городской библиотеке 29

З. Закареишвили – 21-я библиотека юбиляр 31

Неделя библиотек – 2014

Обзор материала 32

Юбилей

Александр Лориа – 80, встречи, поздравления 34

Информация

Кто оповестил Тифлис об убийстве Ильи Чавчавадзе 38

Путь к Божественному «Я» 38

Хроника тяжелых событий 39

Цветастая поэзия 39

Рецензии, замечания

Александр Лориа – Жизнь человека, преданного родине.....41

Гиорги Габуниа – Несколько замечаний о «Грузинской периодике» 42

Наш календарь

Юбилейные и знаменательные даты календаря 2015 года 44

Хроника библиотечной жизни Грузии 45

Прощальная

Некролог..... 47

საქართველოს ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი კეკელიძის ქ.
№18, ბ. 16
ტელ 223–02–98
მობ: 551 700-227
E-mail:keti.g@sciencelib.ge

ჟურნალის რედაქცია:
აღექსანდრე დორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გულნარა სტურუა
ჟურნალის მენეჯერი
ქეთევან გრატიაშვილი
- სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი

ინდსაწარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის იდია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.
ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

გურამ თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკა, როგორც ორგანიზებული ცოდნის სამყარო

ბიბლიოთეკებს ჩამოყალიბების პერიოდიდან გააჩნდათ საცავის ფუნქცია. თავდაპირველად ხელნაწერი, ხოლო მოგვიანებით ბეჭდური წიგნების მომრავლებამ დღის წესრიგში დააყენა მათი ხელმისაწვდომობის ამოცანა. ქართულ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში ცნება „ბიბლიოთეკა“ განმარტებულია როგორც „შეკრებულება წიგნთა“ (ნ. ჩუბინიშვილი): „სამწიგნობარე“, „სამწიგნე“, „წიგნსაცავი“ (ი. აბულაძე); ხელნაწერი წიგნების დაცვა გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა; მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც შეიქმნა სახალხო ბიბლიოთეკების ქსელი, ბიბლიოთეკების წინაშე დაისვა საკითხი წიგნობრივი ფონდების გარკვეული წესით ორგანიზების შესახებ. ბიბლიოთეკებს წიგნები ემატებოდა, და შესაბამისად იზრდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებაც. ასეთმა აუცილებლობამ განაპირობა საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა გარკვეული სისტემით, გარკვეული წესით, ისეთი პრინციპით, რომელიც უზრუნველყოფდა ცალკეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტთან მისვლას, მიგნებას. თავდაპირველად წიგნების განლაგებაში გამოიყენებოდა ქრონოლოგიური, გეოგრაფიული, ანბანური, ე. წ. მიმაგრებითი და სხვა სახის წესები. წიგნების რაოდენობის ზრდამ განაპირობა მათი საცნობარო აპარატის შედგენა.

დადასტურებულია, რომ უძველეს წიგნსაცავებში გამოიყენებოდა სისტემატური კატალოგი, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით ხსნიდა წიგნთა ერთობლიობის შინაარსს. უფრო მოგვიანებით სახალხო და შემდეგ მასობრივ ბიბლიოთეკებში დამკვიდრდა საცნობარო აპარატის სამი სახე – ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგები. უკანასკნელი ორი სახის კატალოგი განიხილებოდა როგორც რეალური კატალოგები, ვინაიდან ისინი გარკვეული პრინციპით ხსნიდნენ წიგნობრივი ფონდების შინაარსს.

ბიბლიოთეკებში დაცული წიგნობრივი ფონდების განლაგებასა და მათი შინაარსის გახსნაში გარკვეული წესრიგი შეიტანა ამერიკელი ბიბლიოთკათმცოდნის მ. დუის საკლასიფიკაციო სისტემამ, რომელიც გამოქვეყნდა 1876 წელს. ამ სისტემას ავტორმა უწოდა „ათწილადი კლასიფიკაცია“. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ კაცობრიობის ცოდნა აღებულ იქნა როგორც ერთი მთლიანი და იგი დაყო ათ ნაწილად; შემდეგ თითოეული ნაწილი კიდევ ათ ნაწილად და ა. შ. ასეთი პრინციპით საკლასიფიკაციო სისტემა საშუალებას იძლეოდა მეცნიერების თითოეული დარგი დაყოფილიყო ქვედარგებად და ასე ლოგიკური თანმიმდევრობით თითოეულ დარგს, თემას, დაეკავებინა მისთვის განკუთვნილი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

მ. დუიმ თავის ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო მეცნიერებათა კლასიფიკაცია. საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსის გამომხატველი სიტყვა, სიტყვათა ჯგუფი აღნიშნა არსებული ციფრებით, ე. წ. ინდექსებით. აღნიშნული სისტემა საფუძვლად დაედო საჯარო ბიბლიოთეკებში წიგნების განლაგებას და სისტემატურ კატალოგს. ეს სისტემა, მისი მოქნილობისა და ტევადობის გამო დღესაც წარმატებით გამოიყენება აშშ–სა და მსოფლიოს საჯარო ბიბლიოთკებში. მ. დუის სისტემა უფრო განავრცეს 1895 წელს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ კონფერენციაზე, დაამატეს რა მათ ე. წ. მსაზღვრელები (დეტერმინანტების) სისტემა. უფრო გავრცობილ და დეტალიზებულ სისტემას ეწოდა უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია. ორივე ეს სისტემა საფუძვლად უდევს რეალური კატალოგების ორგანიზებას და ფონდების სისტემატიზაციას. უაკ–ის ინდექსაცია შემოქმედებითად გამოიყენება ელექტრონული კატალოგის აგების პროცესში. აქ მიღებული ინდექსების გამოყენებით მკითხველი ათვალიერებს მოცემული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დარგობრივ შემადგენლობას.

საკლასიფიკაციო სისტემის გამოყენებამ საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოთეკებში დაცული წიგნობრივი ფონდების შინაარსის გახსნას და მკითხველისათვის გარკვეული წესით წარდგენას. ამრიგად, საკლასიფიკაციო სისტემა უნდა განვიხილოთ როგორც მოწესრიგებული, ორგანიზებული ცოდნის საფუძველი. ბიბლიოთეკაში შემოსული მკითხველი, მიმართავს რა სისტემატურ კატალოგს, მისთვის საინტერესო მასალაზე ინფორმაციას ღებულობს მეცნიერების კომპლექსში, მონათესავე დარგების სისტემაში. საკლასიფიკაციო სისტემაში გარკვეული თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ცალკეული მეცნიერების ქვედარგები, თემები.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში ფონდების სისტემატიზაცია და სისტემატური კატალოგი ეფუძნება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას. იგი წარმატებით გამოიყენება გასული საუკუნის 30–იანი წლებიდან და ამ პერიოდიდან მოყოლებული, ბიბლიოთეკებმა შეიძინეს გარკვეული სახის გამოცდილება ცოდნის სისტემატიზაციის თვალსაზრისით. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდები, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთობლიობა შედგება ცალკეული გამოცემებისაგან – ბეჭდური და ელექტრონული სახის წყაროებისაგან. თითოეულ მათგანში წარმოდგენილია მეცნიერების ესა თუ ის დარგი, თემა, გარკვეული წესით – სახელმძღვანელოებში უფრო პოპულარული ენით, საცნობარო გამოცემების ესა თუ ის დარგი, თემა წარმოდგენილია თემატიკის ანბანური რიგის დაცვით, სამეცნიერო გამოკვლევებში უფრო სიღრმისეული წვდომის ფორმით და ა. შ., ანუ ცოდნა ცალკეულ გამოცემებში წარმოდგენილია მისი ფორმისა და

დანიშნულების მიხედვით. ბიბლიოთეკის ამოცანას წარმოადგენს, წიგნებში არსებულ ცოდნას მისცეს სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი. ეს სრულდება სტანდარტების შესაბამისად შედგენილ საცნობარო აპარატში. ბიბლიოთეკის სისტემატური და ელექტრონული კატალოგები, აგრეთვე თემატური კარტოთეკები ცალკეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ ცოდნას, ავტორთა ნააზრევს ბიბლიოთეკა წარმოადგენს გარკვეული წესით, ორგანიზებული ფორმით. წიგნებში წარმოდგენილი ცოდნა სისტემატიზაციის პროცესში იკავებს თავის ადგილს თაროზე და კატალოგებში.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ ბიბლიოთეკაში გარკვეული კორექტივები შეიტანა მკითხველისათვის ცოდნის ორგანიზებული სახით მიწოდების თვასაზრისით. ცოდნის წყაროსთან მისვლა, ძიება წარმოებს უფრო ოპერატიულად, ვიდრე ტრადიციულ ბარათულ კატალოგში. ელექტრონულ კატალოგში წარმოდგენილი ცოდნის წყარო იძებნება მრავალმხრივი ასპექტითა და ხერხებით. ძიება ტარდება როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დარგობრივ, საგნობრივ ძიებას აღნიშნულ კატალოგში მკითხველი აწარმოებს როგორც უაკ–ის ინდექსაციის, ასევე სასაგნო სიტყვების, ე. წ. საგნობრივი რუბრიკების საშუალებით. მაგალითად: ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესახებ არსებული წიგნები და სხვა სახის გამოცემები სისტემატურ კატალოგში აისახება ინდექსით 371(479.22)(09). ელექტრონულ კატალოგში გარდა ამ ინდექსით ძიებისას მკითხველს შეუძლია გამოიყენოს საგნობრივი რუბრიკები – პედაგოგიკის ისტორია საქართველოში. საბიბლიოთეკო ფონდების ერთობლიობაში წიგნის შინაარსი წარმოდგენილია ცოდნის სისტემაში იმის მიხედვით, თუ რომელი საკითხია მასში განხილული. ხატოვნად რომ ვთქვათ, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთობლიობაში წიგნები ლაპარაკობენ ცალ–ცალკე, ხოლო ფონდი მთლიანობაში ასახავს მეცნიერების გარკვეულ დონეს, რითაც იგი წარმოგვიდგება როგორც ერთიანი ცოდნა, ჩამოყალიბებული სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ავტორთა მიერ. ცოდნის მოწესრიგება და სისტემატიზაცია აუცილებელია ნებისმიერი ბიბლიოთეკისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიბლიოთეკა დაემგვანებოდა უსისტემო წიგნთა გროვას და დაკარგავდა თავის მთავარ ფუნქციას – საგანმანათლებლოს, აღმზრდელობითს, კულტურულ–საგანმანათლებლოს და ა. შ.

ბიბლიოთეკაში ორგანიზებული ცოდნის საფუძველს შეადგენს ცალკეული საბიბლიოთეკო დოკუმენტის ანალიზი, მისი შინაარსის გამოხატვა საკლასიფიკაციო ნიშნებით ან საგნობრივი რუბრიკებით, სასაგნო სიტყვებით, რომლითაც იგი აისახება ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში. ცოდნის ორგანიზაციის პრინციპი პირდაპირ უნდა შეესაბამებოდეს მკითხველის საინფორმაციო მოთხოვნებს. როდესაც მკითხველს არ ახსოვს სათაური, ავტორი, იგი მის აღწერილობას ეძებს სასაგნო სიტყვებით, ან საკლასიფიკაციო ნიშნებით. მკითხველს აინტერესებს კონკრეტული გამოცემა, სახელდობრ, ამა თუ იმ თემაზე, გარკვეული ავტორის და ა. შ., როდესაც იგი აწარმოებს დარგობრივ ან თემატურ ძიებას, იგი უნებურად აკვირდება ამ თემაზე არსებული გამოცემების აღწერილობებს; ამით იგი იჩენს გარკვეულ ინტერესს სხვა მასალებისადმი.

ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათთვის განკუთვნილი ლიტერატურის სისტემატიზაცია ეფუძნება ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას. ასეთივე პრინციპითაა განლაგებული საბავშვო ლიტერატურა და შესაბამისად ამ ფონდების ამსახველი საცნობარო აპარატიც. საბავშვო ასაკის მკითხველი ძნელად ერკვევა ორგანიზებული ცოდნის სამყაროში. ამ საკითხებით ინტერესს იგი იჩენს უფრო მომდევნო ეტაპზე – როდესაც ჩამოყალიბებული აქვს საკითხავი ინტერესი, ან არჩეული აქვს პროფესია.

ბიბლიოთეკა, როგორც ორგანიზებული ცოდნის სამყარო, იმთავითვე უნდა წარუდგეს პირველად მოსულ მკითხველს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების გაცნობის შემდეგ, ბიბლიოთეკარი მკითხველს აცნობს მომსახურების სტრუქტურას, აბონემენტს, დარბაზის და სხვ. განყოფილებათა სპეციფიკას. შემდეგ კონსულტაციას უტარებს საცნობარო აპარატის შესახებ. თუ მკითხველს აინერესებს მასალები გარკვეული თემის, დარგის შესახებ, მას მარტივი ფორმულირებით აცნობს სისტემატური კატალოგის სტრუქტურას, ძიების ხერხებს, ანბანურ–საგნობრივი საძიებლის გამოყენების წესებს და ა. შ. ელექტრონულ კატალოგში მკითხველი ეცნობა ცალკეულ დარგებსა თუ თემებზე არსებულ ელექტრონულ ჩანაწერებს, თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებს ძიებას მისთვის საინტერესო თემატიკაზე. ბიბლიოთეკაში ორგანიზებული ტრადიციული საცნობარო აპარატი და ელექტრონულ რესურსებთან ხელმისაწვდომობის ფორმები და საშუალებები ერთიმეორეს ავსებენ და ასახავენ ორგანიზებული ცოდნის სტრუქტურას, რომელიც ბიბლიოთეკაშია წარმოდგენილი თანამედროვე ეტაპზე.

ნებისმიერ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო დოკუმენტები დაყოფილია მათი გამოცემების სახეების, ენების, შინაარსის მიხედვით. ასეთი დაყოფა აუცილებელია ცოდნისათვის ორგანიზებული ფორმის მისაღებად. სისტემატიზაციის ის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც საფუძვლად უდევს ფონდების სისტემატიზაციას, არის მრავალჯერადად აპრობირებული ფორმები და საშუალებები. ბიბლიოთეკებმა მრავალწლიანი გამოცდილებით დააგროვეს გარკვეული ცოდნა ამ სფეროში. საბიბლიოთეკო დოკუმენტების მოძრაობის მართვა ბიბლიოთეკის შიგნით მოითხოვს გონივრულ მიდგომას, არსებული წესებისა და ნორმების დახვეწას. ბიბლიოთეკა იმითაა საინტერესო და მიმზიდველი, რომ იგი ფლობს ორგანიზებულ ცოდნას, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ამსახველ პირველწყაროებს.

გიორგი კილაძე

თანამშრომელთა ატესტაციის საკითხისათვის

პერსონალის ატესტაციაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ, რომ ატესტაცია არის ადამიანური რესურსების მართვის, პერსონალის შეფასების ყველაზე ეფექტური საშუალება.

ატესტაცია ორი სახისა: სავალდებულო და ნებაყოფლობითი. სავალდებულო ატესტაციის ჩატარების წესს კანონი განსაზღვრავს, ნებაყოფლობითს - ორგანიზაციის ადმინისტრაცია. ატესტაცია სავალდებულო იქნება, თუ ნებაყოფლობითი პირდაპირ კავშირში არის პერსონალის მართვის ოპტიმიზაციასთან, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან და საქმიანობის (ბიზნესის) მდგრად განვითარებასთან.

ატესტაცია, ჩემი ღრმა რწმენით, ორგანიზაციის, კერძო იქნება ის თუ საჯარო, მიზნების მიღწევის ერთერთი საუკეთესო ინსტრუმენტია, თუმცა ამ *საუკეთესო ინსტრუმენტის პრაქტიკაში* გამოყენება ორგანიზაციის თანამშრომელთა შორის ბევრ გაურკვეველობას, ხშირ შემთხვევაში შეშფოთებას იწვევს. თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა ატესტაციას განიხილავს არა როგორც კარიერული ზრდის პერსპექტივას, არამედ შემცირებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან დასჯის მექანიზმს.

ატესტაცია არ არის დასჯის ინსტრუმენტი, იგი არ ავლენს ორგანიზაციაში ჩამორჩენილსა და შეუთავსებელ თანამშრომლებს. ატესტაცია არ არის კრიტიკა, ის თანამშრომლის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტია. ატესტაციის შედეგად მიღებული შედეგები პირდაპირ კავშირში ვერ იქნება თანამშრომელთათვის ისეთ მტკივნეულ საკითხთან, როგორიც არის ხელფასის ან პრემიის ოდენობა.[1]

ატესტაცია გაცილებით მეტია, ვიდრე საატესტაციო პერიოდში ერთი თანამშრომლის ან განყოფილების მუშაობის პროცესის შეფასება; ატესტაციის შედეგები ორგანიზაციისთვის საკუთარი სახის დანახვისათვის სარკედ უნდა იქცეს. სწორედ ატესტაციის შედეგებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს მმართველმა გუნდმა მართვის ეფექტურობა საატესტაციო პერიოდში. პასუხი გასცეს ორგანიზაციისთვის ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა: რამდენად სწორად ჩატარდა კონკურსი ორგანიზაციაში, რამდენად ეფექტურად განხორციელდა შიდა მიგრაცია ორგანიზაციაში, რამდენად ადეკვატური იყო წინა ატესტაციის შედეგები, რამდენად სწორად შეაფასა ამა თუ იმ მმართველმა ცალკეული მუშაკი, რამდენად სწორად აფასებდა საკუთარ შესაძლებლობებს, უნარებსა და პროფესიონალიზმს თავად და ესა თუ ის მუშაკი და ა.შ.

ატესტაციის პროცესის წარმატებით ჩატარების საფუძველი არის ატესტაციის მიზნების სწორად განსაზღვრა. ზოგადად, პერსონალის ატესტაციას გააჩნია 4 ძირითადი მიზანი: ძირითადი, დამატებითი, საერთო და სპეციფიკური.

ძირითად მიზნებზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამშრომლის შრომის შედეგების შეფასებას, თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენას, თანამშრომლის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში ხარვეზების გამოვლენასა და მისი პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას.

1 იხ. მაგ., http://www.tatsel.ru/delo/attestation/chto-takoe-attestaciya/

ცხრილი 1. პერსონალის ატესტაციის მიზანი

ძირითადი	1. თანამშრომლის შრომის შედეგების შეფასება[1]; 2. თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა; 3. თანამშრომლის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში ხარვეზების გამოვლენა[2]; 4. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა.
დამატებითი	1. ორგანიზაციაში მუშაობის უნარ-ჩვევების შეფასება (რამდენად შეუძლია ამა თუ იმ თანამშრომელს გუნდში მუშაობა. ორგანიზაციისადმი დამსაქმებლისადმი და ხელმძღვანელობისადმი ლოიალურობა[3]) ; 2. საქმიანობისადმი, საქმისადმი, თანამდებობისადმი დამოკიდებულების შემოწმება; 3. კარიერული განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა.
საერთო	1. პერსონალის მართვის ხარისხის გაუმჯობესება და საკადრო მუშაობის ეფექტურობის ამაღლება; 2. პასუხისმგებლობისა და შესრულების დისციპლინის ამაღლება
სპეციფიკური	1. თანამშრომლები თანამდებობათა იმ წრის განსაზღვრა, რომლისგანაც უნდა გათავისუფლდნენ ან შემცირდნენ[4] 2. ორგანიზაციაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესება.

ლიტერატურაში პერსონალის ატესტაციის მიზნების სხვა წარმოდგენაც არსებობს"[2].

1. მმართველობითი გადაწყვეტილებებისთვის ინფორმაციის მიღება;

2. პერსონალთან მიმდინარე სამუშაოებისთვის ინფორმაციის მიღება;

3. პერსონალის მოტივაციისა და სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბება ან გაუმჯობესება.

ატესტაციის მიზნების განსაზღვრის შემდეგ აუცილებელი ხდება შეფასების ტიპის განსაზღვრა. პრაქტიკაში ატესტაციის სამი ტიპი გამოიყენება:

1) ობიექტურ კრიტერიუმებით (საბოლოო შედეგების შეფასებით);

2) უშუალო უფროსის სუბიექტური შეფასებით;

3) "360 გრადუსით" – პერსონალის წრიული შეფასება - თანამშრომლის საქმიანობას ერთდროულად აფასებს ხელმძღვანელობა, კოლეგები და მომხმარებლები.

ასე რომ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ატესტაციის მიზნებთან, მეორე მხრივ – პრაქტიკაში გამოყენებულ ატესტაციის სამ ტიპთან. მათი ურთიერთმიმართების საკითხი, ბუნებრივია, განსხვავებულია საჯარო სამსახურში, კერძო ბიზნესსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. „ტიპის" არჩევა კონკრეტული ორგანიზაციის პრეროგატივაა[3], - მთავარია ორგანიზაციამ შექმნას

2 იხ. მაგ., http://www.tatsel.ru/delo/attestation/chto-takoe-attestaciya/

3 პირადად, უპირატესობას მესამე ტიპს ვანიჭებ. მიმაჩნია, სწორედ შეფასების „მესამე ტიპი" უზრუნველყოფს თანამსრომლის "სრულ წარმოჩენას", ყველასთვის, ვინც პირდაპირ ან უშუალო საქმიან კავშირშია მასთან.

ერთიანი დაგეგმვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა და განახორციელოს ***მართვა მიზნების საშუალებით.***

მართვა მიზნების საშუალებით გულისხმობს, რომ მოსალოდნელი შედეგი მიიღწევა ოთხი ურთიერთდაკავშირებული აქტივობის საფუძველზე.

1. მიზნების დასახვით;
2. მოქმედების გეგმის შემუშავებით;
3. პერიოდული შემოწმებითა;
4. ყოველწლიური შეფასებით[4].

პერიოდული შემოწმებები და ყოველწლიური შეფასებები ატესტაციის საფუძველთა საფუძველი უნდა გახდეს, და მაინც, როგორც პრაქტიკა ადასტურებს თანამშრომელთა შემოწმება-შეფასების პროცესი უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ ატესტაციის პროცესში ხორციელდება. ატესტაციისთვის აუცილებელი საინფორმაციო ბაზა მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური აუცილებელი ინფორმაციით (ბიოგრაფიული მონაცემები, უშუალო ხელმძღვანელის დახასიათება) ამოიწურება[5]. არადა, სწორედ, ატესტაციის აუცილებელი საინფორმაციო ბაზის სისრულე, რამდენიმე სხვა კომპონენტთან ერთად (მაგ., ატესტაციის ჩატარების ტექნოლოგიური პროცედურების ხარისხი, რამდენად კარგად იციან ტექნოლოგიური პროცესები საატესტაციო კომისიის წევრებმა, ხელმძღვანელობის წინასწარი განწყობა თანამშრომელთა საქმიანობის მიმართ, ორგანიზაციაში არსებული საკადრო პოლიტიკა და სხვ.) განაპირობებს ატესტაციის ჩატარების ეფექტიაანობს[6].

ატესტაციის ჩატარების ეფექტიანობა, ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ატესტაციის ჩატარების პროცედურასთან. ლიტერატურაში რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს გამოყოფენ[7]

1. წინასწარი;
2. მეთოდიკის, სტანდარტების, წესების ჩამოყალიბების;
3. საცდელი ატესტაციის;
4. მოსამზადებელი;
5. ჩატარების;
6. შედეგების შეფასების.

წინასწარ ეტაპზე განიხილება ყველა ის წინადადება, რომელთა საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ატესტაციის ჩატარების მეთოდიკა, სტანდარტები და წესები. რეალურად ამ ეტაპზე იქმნება საატესატაციო, საპრეტენზიო კომისია. ტექნიკური ჯგუფი და კომისიის, ასევე ტექნიკური ჯგუფის წევრთა მოსაზრებები ჯერდება ერთმანეთთან.

მეორე ეტაპზე იქმნება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ატესტაციის ჩატარების ეფექტიანობას.

მესამე ეტაპი გულისხმობს ***საცდელი ე.წ. საპილოტე*** ატესტაციის ჩატარებას. ვლინდება ყველა ის ხარვეზი და ნაკლოვანება, რომელიც შესაძლებელია განპირობებული იყოს შემუშავებული მეთოდიკის, სტანდარტების, წესების არასრულყოფილებით.

მოსამზადებელ ეტაპზე საორგანიზაციო ჯგუფი ატესტაციას დაქვემდებარებულ პერსონალს აცნობს ატესტაციის ჩატარების მეთოდიკას, სტანდარტებსა და წესებს, ატარებს კონსულტაციებს, საუბრებს, აქვეყნებს სავარაუდო კითხვებსა და ასაჯაროებს საკითხთა იმ წრეს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად თან ახლავს ატესტაციის პროცესს. ფაქტობრივად, ატარებს ყველა იმ მოსამზადებელ სამუშაოს, რომელიც უზრუნველყოფს ატესტაციის პროცესის გამჭვირვალობას ტექნიკური მხარის ჩათვლით.

ატესტაციის ჩატარება - ეს არის პროცესი, რომელიც ტარდება წინასწარ შექმნილი და აპრობირებული მეთოდიკის, სტანდარტებისა და წესების დაცვით.

ატესტაციის შედეგების შეფასების ეტაპი გულისხმობს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას, ატესტაციის შედეგების განხილვას, მომავალი ატესტაციის ჩატარების პერიოდის განხილვას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ატესტაციას ნეგატიური მხარეებიც გააჩნია. ნეგატიური მხარეები განსაკუთრებით ყოველწლიურ ან "გახშირებულ ატესტაციებში" ვლინდება. ატესტაცია არც თუ იშვიათად პერსონალის უმოტივაციობას იწვევს. "კარგად შეფასებისთვის" ბევრი თანამშრომელი გაცილებით მეტ დროს კარგავს „მომზადებაში", ვიდრე „მისგან ითხოვენ". თანამშრომლის „ნორმატივების შესრულებისკენ" სწრაფვა არც თუ სასიკეთოდ აისახება ორგანიზაციის შემდგომ საქმიანობაზე. ორგანიზაციაში ადგილი აქვს არაჯანსაღი კონკურენციის გამოვლინებებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს[8].

ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, განვმეორდები და აღვნიშნავ, ატესტაცია დღესდღეობით რჩება პერსონალის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტურ საშუალებად, ავლენს რა საატესტაციო პერიოდში მუშაკის, უშუალო ხელმძღვანელის მუშაობას, ასევე - ორგანიზაციის ახალი გამოწვევებისადმი მათ დამოკიდებულებას (პასუხს სცემს კითხვას: რამდენად არის მზად ორგანიზაცია ახალი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად?). ჩემს ამ მოსაზრებას იზიარებს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უმრავლესობა. ჩვენ მიერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული წინასწარი კვლევის მიხედვით, გამოკითხულ თანამშრომელთა 70% დადებითად არის განწყობილი ატესტაციის პროცესის მიმართ და თვლის, რომ ატესტაციის პროცესი არა მხოლოდ პერსონალის ან მენეჯერების პროფესიულ ჩვევებს, კვალიფიკაციის დონეს, პიროვნულ თვისებებსა და ორგანიზაციისადმი დამოკიდებულებას ავლენს, არამედ ატესტაცია არის ორივე რგოლის შეფასება და შედეგებზე თანაბარ პასუხისმგებლობას ორივე მხარე უნდა იღებდეს (გამოკითხულთა 80%).

(Footnotes)

1 შეფასება არ გულისხმობს პასუხს კითხვაზე: რის გაკეთება შეუძლია თანამშრომელს მომავალში.

2 პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რას შეძლებს თანამშრომელი მომავალში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შედეგად.

3 სიტყვა "ლოიალობა" წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან "ოყალ", რაც ნიშნავს "ერთგულს". მომხმარებლის ლოიალობა განიმარტება როგორც რომელიმე ბრენდის ან ორგანიზაციისადმი მისი ერთგული დამოკიდებულება, იგი პიროვნებისეული მდგომარეობაა და განწყობის ერთერთ სახეობას წარმოადგენს.

4 მიგვაჩნია, თანამშრომლთა გათავისუფლება განსაკუთრებული შემთხვევებით უნდა იყოს გამოწვეული. აღნიშნული საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესს. სწორედ პროცესს და არა შედეგს. სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ იხ. გიორგი კილაძე, "სისტემის რეორგანიზაციის საკითხისათვის", "საქართველოს ბიბლიოთეკა", №3 (56) 2014.

4 უფრო დაწვრილებით იხ. მაგ,. ფარესაშვილი, ნინო. ორგანიზაციული ქცევა : [დამხმ. სახელმძღვ.] / ნინო ფარესაშვილი, გიული ქუშელაშვილი; [მთ. რედ. დავით ნარმანია]. - თბ. : უნივერსალი, 2010. - 20სმ.

5 უფრო დაწვრილებით იხ.: http://psyfactor.org/personal/personal1-24.htm

6 უფრო დაწვრილებით იხ.: http://psyfactor.org/personal/personal1-24.htm

7 უფრო დაწვრილებით იხ.: http://psyfactor.org/personal/personal1-24.htm,

8 უფრო დაწვრილებით იხ.: http://psyfactor.org/personal/personal1-24.htm, .http://www.tatsel.ru/delo/attestation/chto-takoe-attestaciya/

გურამ თაყნიაშვილი

საჯარო ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე

საჯარო ბიბლიოთეკები, როგორც ყველაზე ღია და მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი დაწესებულებები, უზრუნველყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. მათ მუდმივი, ცოცხალი ურთიერთობა აქვთ მოსახლეობის ყველა კატეგორიასთან და, ამდენად, ბიბლიოთეკის გონივრულ მართვაზე ბევრადაა დამოკიდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკები ქმნიან ერთიან ქსელს, რომელსაც სათავეში უდგას ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკა. მას ევალება ქსელში შემავალი სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა–ფილიალების (განყოფილებების) მართვა, სიახლეთა დანერგვა და მეთოდური ხელმძღვანელობა. ქსელის მენეჯმენტი ძირითადად ხორციელდება მართვის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფორმებით. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, ხელმძღვანელი, მენეჯერი, წარმოადგენს მართვის უმაღლეს დონეს. მისთვის ხელმძღვანელობის ობიექტს შეადგენს ქსელში შემავალი ყველა ბიბლიოთეკა, თანამშრომელთა კოლექტივი მთლიანად. მმართველობითი კავშირები გულისხმობს ვერტიკალური ფორმით განხორციელებულ ღონისძიებებს. დირექტორის შემდეგ მმართველობითი პირები არიან: მოადგილეები, განყოფილებათა და სექტორის გამგეები, სოფლის ბიბლიოთეკების გამგეები. რთული სტრუქტურის მქონე ბიბლიოთეკებში სამართავ ობიექტს შეადგენს სამეურნეო ნაწილი, ბუღალტერია და სხვ. ტექნიკური შინაარსის განყოფილებები, რომლებიც ხელს უწყობენ დირექციას ოპერატიულ მმართველობაში.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები ჩამოყალიბებულია მის თანამდებობრივ ინსტრუქციაში. დირექტორი აწარმოებს საბიბლიოთეკო ქსელის დაგეგმვას, მისი განვითარების პესპექტიული გეგმის შედგენას. ასევე იგეგმება როგორც ცენტრალური, ასევე ბიბლიოთეკა–ფილიალების ძირითადი ციფრობრივი მაჩვენებლები. დაგეგმვაში მიახლოებითი ციფრობრივი მაჩვენებლების დაზუსტების დროს იყენებენ წინა სამი წლის მონაცემებს. გეგმაში ძირითადად ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა განპირობებული უნდა იქნეს მომსახურების მასშტაბების ზრდით, ფონდების განახლებით, კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვითა და მომსახურების ახალი, აქტიური ფორმების შემოტანით. დირექტორი ასევე ადგენს წლიურ ანგარიშებს, სადაც რაოდენობითი მაჩვენებლებზე დაყრდნობით აანალიზებს მომსახურების მდგომარეობას და აყალიბებს რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესებისათვის. ანალიზში ნაჩვენები უნდა იქნეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის მდგომარეობა, ბავშვთა და მოსწავლეთა კითხვადობის საკითხები. ანგარიშში გარკვეული ადგილი ეთმობა საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირების უარყოფით ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ერთ–ერთი ფუნქციათაგანია მომსახურების სტატისტიკის წარმოება. ქსელში შემავალი თითოეული ფუნქციონალური განყოფილება ყოველი თვის ბოლოს წარუდგენენ დირექციას ბიბლიოთეკის მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს. მართვის ვერტიკალური ფორმა იმავე დროს გულისხმობს ამ პროცესში მარეგლამენტირებელი დოკუმენტაციის გამოყენებას. ეს უკანასკნელი აერთიანებს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს: დადგენილებებს, ინსტრუქციებს, დებულებებს; მეთოდური ცენტრების მიერ შემუშავებულ მასალებს. მართვაში დიდი ადგილი უკავია შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. ყველა ძირითად საბიბლიოთეკო ციკლსა და ოპერაციებზე შემუშავებულია ნორმები. მათი დანერგვა უფრო მიზანშეწონილია რთული სტრუქტურის მქონე ბიბლიოთეკებში, უმთავრესად ისეთ ოპერაციებზე, როგორებიცაა აღწერილობა, კლასიფიკაცია, ელექტრონული კატალოგების წარმოება და სხვ. ოპერაციები, სადაც მაჩვენებლები განისაზღვრება ინფორმაციის ნაკადის შემოსვლის რაოდენობის მიხედვით.

საჯარო ბიბლიოთეკების მართვაში ერთ–ერთი მტკივნეული პრობლემაა კადრებთან მუშაობა. საკადრო პოლიტიკას მუნიციპალიტეტებში ძირითადად ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება. იმის გამო, რომ აღარ მზადდება უმაღლესი სპეციალური განათლების ბიბლიოთეკარები, ამ დარგში სამუშაოდ მოვიდნენ სხვადასხვა სპეციალობის პიროვნებები. ისინი ადგილზე ეუფლებიან საბიბლიოთეკო მუშაობის ელემენტებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც სისტემაში მოვიდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ადვილად დაეუფლნენ მენეჯერის უფლება–მოვალეობებს და წარმატებით მართავენ სისტემას. ბიბლიოთეკებში ახალმიღებული თანამშრომლები კვალიფიკაციას იმაღლებენ საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სპეციალურ კურსებზე. იმის გამო, რომ კურსები არ ტარდება სისტემატურად და დაბალია მისი გამტარიანობა, ბიბლიოთეკარების დიდი ნაწილი სტაჟირებას გადის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ამავე ფორმით კვალიფიკაციას იმაღლებენ ის ბიბლიოთეკარები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. ამ უბანზე მომუშავე არასპეციალისტები სტაჟირებას გადიან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი კვალიფიკაციას იმაღლებს დამოუკიდებელი მუშაობის გზით; ახლადმიღებულ ბიბლიოთეკარებს კონსულტაციას უტარებენ გამოცდილი სპეციალისტები. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვალდებულია, სისტემატურად აკონტროლოს ახლადმიღებული თანამშრომლის პროფესიული ზრდის პროცესი.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ერთ–ერთი მიმართულებაა კონტროლის განხორციელება მთლიანად საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირებაზე. ყურადღება ექცევა შრომით კოლექტივებში საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის დაცვას. ამ მიმართულებით ბიბლიოთეკის დირექციამ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინარული და ადმინისტრაციული ზემოქმედების ნორმები. დირექციამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შექმნას სათანადო პირობები ბიბლიოთეკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ბიბლიოთეკის მორალურ–ფსიქოლოგიური გარემო პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბიბლიოთეკარის შრომის ნაყოფიერებაზე. ბიბლიოთეკა-

ში არ უნდა შეიქმნას კონფლიქტური სიტუაციები, თითოეული ბიბლიოთეკარი მოტივირებული უნდა იყოს იმ აზრით, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო ფასდება მისი შრომითი ანაზღაურებით. ბიბლიოთეკების მართვაში ნეგატიურად აისახება თანამშრომელთა ერთნაირი, გათანაბრებული თანამდებობები. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს შეუძლია სპეციალისტთა კატეგორიებად დაყოფა მათი შრომის ნაყოფიერების, საშემსრულებლო დისციპლინისა და სხვ. მონაცემების მიხედვით, იმ მოტივით, რომ კვალიფიციური ზრდა შემდეგ აისახოს მათ შრომით ანაზღაურებაში. იმ ცენტრალურ და საქალაქო ბიბლიოთეკებში, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა აჭარბებს 10–ს, 15–ს და ზოგ შემთხვევაში უფრო მეტსაც, საჭიროა თითოეულის შრომითი საქმიანობა განისაზღვროს თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ამ სიტუაციაში ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს მკითხველთა მომსახურების უბნებზე. ამ განყოფილებებში მთავარია ინდივიდუალური მუშაობა მკითხველებთან, ეფექტური მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, ხარვეზებზე მუშაობა, საცნობარო აპარატის სრულყოფა და ა. შ.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობაში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი თვითმმართველი ქალაქების პირობებში. ასეთი ქალაქების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით სოფლის ბიბლიოთეკების ქსელი დაუქვემდებარეს თემის ადმინიტრაციას. ამან გამოიწვია საბიბლიოთეკო ქსელის ორი მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბება. მუნიციპალიტეტის მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკას მართავს დირექტორი, მენეჯერი, ხოლო სოფლის ბიბლიოთეკებს (განყოფილებებს) თემის ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირი. ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ქსელის ორად გაყოფა და შექმნა ობიექტური სიძნელეები მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ერთიანი ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. ასე ჩამოყალიბდა ობიექტური რეალობა თვითმმართველი ქალაქების პირობებში. ეს გარემოება არ უნდა გახდეს ერთიანი საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარების შემაფერხებელი ფაქტორი. ცენტრალურ საქალაქო (მთავარ) ბიბლიოთეკას ევალება ერთიანი ხელმძღვანელობა ორად გაყოფილ საბიბლიოთეკო ქსელზე. ერთიანი სისტემით, მეთოდითა და დღის წესრიგით უნდა ჩატარდეს მეთოდური სემინარები და დაისახოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების გზები და საშუალებები. ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობა უნდა წარიმართოს კოორდინაციული გეგმით. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესება წარმოადგენს მთლიანი საბიბლიოთეკო ქსელის უპირატეს ამოცანას, მიუხედავად იმისა, როგორ მოეწყო ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე. ასეთ სიტუაციაში მაინც მთავარია საბიბლიოთეკო ქსელის აღდგენა იმ მუნიციპალიტეტში, სადაც მასობრივად დაიხურა სასოფლო ბიბლიოთეკები 2008–2011 წლებში. ასეთი პოლიტიკის გატარებით, ფაქტობრივად, დაირღვა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები უფასო საბიბლიოთეკო მომსახურების თვალსაზრისით.

თვითმმართველ ქალაქებში საბიბლიოთეკო ქსელის განშტოებული მმართველობის პირობებში ადგილობრივი სოციალურ–ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო მენეჯმენტი უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში დამკვიდრებული ფორმებითა და მეთოდებით. საჯარო ბიბლიოთეკის პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ მართვის სოციალურ–ფსიქოლოგიურ მეთოდს. იგი თავისთავად ნიშნავს თანამშრომლის ფსიქოლოგიური პირობების ცოდნას, სოციალურ მდგომარეობას, მენეჯერი ინდივიდუალურად უნდა ერკვეოდეს ცალკეული თანამშრომლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, მის მიდრეკილებებსა და პროფესიული მომზადების დონეში; ასეთი მონაცემების ცოდნა აუცილებელია იმ თვალსაზრისით, რომ თანამშრომელი იმ განყოფილებაში დამაგრდეს, სადაც მას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ბიბლიოთეკისათვის, სადაც იგი უფრო მეტად გამოავლენს საკუთარ შესაძლებლობებს. საერთოდ, სწორი მენეჯმენტის წარმართვა დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელი პირის, არა მარტო დირექტორის, ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. მენეჯერმა შესაფერისი ადგილი უნდა მიაკუთვნოს დიპლომირებულ, გამოცდილ სპეციალისტებს, გამოიყენოს მათი ცოდნა ახალგაზრდა თანამშრომლის პროფესიულ დაოსტატებაში. ის ბიბლიოთეკები, რომლებიც გამოირჩევიან წიგნიერების დონით, პედაგოგიური ტაქტით, კარგად ფლობენ ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატის სტრუქტურას და ა. შ. უნდა მუშაობდნენ მკითხველთა მომსახურების განყოფილებებში. ასეთი სტატუსის მქონე კადრები შენარჩუნებულნი უნდა იქნენ მიუხედავად მათი ასაკისა.

ხელმძღვანელი პირის პირად თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის წარმატება, მისი პოპულარიზაცია. მენეჯერს უნდა შეეძლოს ადვილად ჩამოაყალიბოს საზოგადოებასთან ურთიერთობა; მას გათავისებული აქვს ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკა არ ქმნის მატერიალურ ღირებულებებს, რომ ბიბლიოთკა იცავს და ხელმისაწვდომს ხდის ერის სულიერ სიმდიდრეს, რითაც გარკვეული წვლილი შეაქვს მოსახლეობის აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების საქმეში. მართვის თანამედროვე სტილი უფრო დახვეწილი და ოპერატიულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში. ასეთ პირობებში ხელმძღვანელობისათვის ადვილად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ამავე დროს იგი ეცნობა მართვის თანამედროვე სტილს საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებში. ის მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა, გაეცნოს საბიბლიოთეკო სისტემის ყველა რგოლის თანამშრომელს.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა მენეჯერს საშუალებას აძლევს ფეხდაფეხ მისდიოს მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკაში დანერგილ სიახლეებს, მეთოდურ–ინსტრუქციული შინაარსის მასალებს. შაბლონითა და მხოლოდ სტანდარტებით განხორციელებული მართვა ზიანს მოუტანს მთლიანად საბიბლიოთეკო სისტემას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება მოსახლეობის მომსახურების ხარისხზე. ბიბლიოთეკის წარმატებულ მმართველს საქმიანი ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან. აქტიურად მონაწილეობს კულტურული პოლიტიკისა და ინფორმაციის სფეროში არსებული პროგრამების განხორციელებაში. ხელმძღვანელ ორგანოებს წარუდგენს დასაბუთებულ პროგრამასა და ხედვას, რომლებიც შეეხება მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ნ. ნათელაშვილი-კვინიკაძე

მშობელი ქვეყნის მოზარე

„მიყვარს მხოლოდ კრიმშვილი“

გალაკტიონი

92 წლის ასაკში სამზეო დატოვა უდიდესმა ქართველმა კლასიკოსმა, დიდმა მამულიშვილმა, ღვითით ბოძებული ნიჭიერებით დაჯილდოებულმა უკეთილშობილესმა პიროვნებამ ჭაბუკა ამირეჯიბმა.

საქართველოს გამორჩეული შვილის, დიდი შემოქმედის – ჭაბუკა ამირეჯიბის სწორუპოვარი პროზა, რომელიც მკითხველს ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს, მწერლის თავგანწირვის საუცხოო ნიმუშია. მწერლის ცხოვრება სისადავის, სიდიადის მაგალითი იყო, განსაცდელითა და საბჭოთა ეპოქის კოშმარული სურათებით აღსავსე, თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით მან ქართული კულ-

ტურა, ქართული ლიტერატურა მთელი სისავსით გააცნო მსოფლიოს. ჭაბუა ამირეჯიბის შეგონებები: „ჭკუით, ქართველებო!“ „დაიცავი საქართველო!“ „ადამიანი ფიქრისთვის არის გაჩენილი...“ და მრავალი სხვა, დღესაც ხმიანობს ჩვენს გონებაში.

ბრწყინვალე შემოქმედმა, დიდებულმა ადამიანმა, შესანიშნავმა რომანისტმა მარადიული შემოქმედება დაგვიტოვა.

რა კარგად ბრძანა ცნობილმა ფილოლოგმა თამაზ კვაჭანტირაძემ: ქართულ სასიტყვეთს მეფე მოუკვდაო, მეფე და ამავე დროს მსახურიო, ის სიტყვათა ლეგიონებს სარდლობდა, უვლიდა, პატრონობდა, თავის საქართველოს ჰგავდა, მასავით ჯიუჯგნეს და აწამესო.

„ძალიან დიდ ადამიანს ვემშვიდობებით. ერს, რომელსაც შეუძლია ასეთი შვილები გამოზარდოს, სიკვდილი არ უწერია. ჭაბუაც მუდამ მარადისობისკენ მოუწოდებდა საქართველოს“, – განაცხადა ყოფილმა პრემიერ–მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

ჭაბუა ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს, თბილისში. იგი თავადური წარმოშობისა იყო. დედა – მარიამ ნაკაშიძე აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის მთავრების პირდაპირი შთამომავლი იყო. მამა – ირაკლი ამირეჯიბი, ცნობილი ადვოკატი, ასევე, თავადური წარმოშობისა გახლდათ.

სკოლაში მეორე კლასში დასვეს. დაამთავრა 46–ე საშუალო სკოლა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1938 წ. მამა, როგორც თავადი, დაუხვრიტეს, დედა – 10 წლით გადაუსახლეს. 1941 წლის 23 ივნისს გაიწვიეს ფრონტზე. 1943 წ. ჭაბუა დააპატიმრეს მუსტაფა შელიასთან მეგობრობისა და ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრობის გამო, მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა. ეს სასჯელი შემდგომში დახვრეტით შეუცვალეს. დახვრეტა ორჯერ ჰქონდა მისჯილი. საერთო ჯამში მისმა სასჯელმა 83 წელი შეადგინა; სამი თვე სიკვდილმისჯილთა ბანაკში გაატარა. 23 წლის ჭაბუკი დახვრეტას გადაურჩა. სამჯერა გაიქცა ბანაკიდან, ჯოჯოხეთურ ბანაკებში სულ 16 წელი გაატარა, მაგრამ სულით არ გატეხილა, არ დაცემულა.

გადასახლებიდან 1959 წელს დაბრუნდა საშმობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მუშაობდა რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ყველგან, სადაც იმუშავა, თავისი ღრმა კვალი გაავლო პროფესიონალიზმის, სისპეტაკის, კეთილშობილებისა და სათნოებისა.

გამორჩეული პიროვნება იყო და არა მარტო ინტელექტით, არამედ გარეგნობითაც: საოცარი აღნაგობა ჰქონდა: ახოვანი, ტანადი, ბეჭებგანიერი, სხივოსანი თვალებით...

მალე დაიწყო წერა, მისი ნაწარმოებები მალე გაიცნო მკითხველმა. ჭაბუას სამწერლო დებიუტი 1960 წ. შედგა. ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „რატომ არ დამაცადე“. მესამე კურსზე ის უკვე მწერალთა კავშირის წევრი იყო.

მისმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა ქართული გენის ნიჭიერება და უკვდავება. ამის დასტურია მისი მარადიული წიგნი – რომანი „დათა თუთაშხია“, რომელიც ბესტსელერად იქცა და ცნობილმა მსახიობმა კახი კავსაძემ მას „ქართველი კაცის ბიბლია“ უწოდა. ეს რომანი არის ეპოპეა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთათმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. დიდოსტატურად შეკრულ რომანში ურთულესი ზნეობრივ–ეთიკური პრობლემებია განხილული. რომანის მთავარი გმირი – დათა თუთაშხია სიკეთისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი შეუდარებელი უანგა-

რო რაინდია, რომელიც ყველას გვიყვარს და გვხიბლავს, როგორც ნამდვილი პატრიოტი ადამიანის ეტალონი. „დათა თუთაშხია“ შედევრია, რომელიც სამაგიდო წიგნია ყველასათვის. რამდენ სიბრძნეს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას იტევს ეს ხელთუქმნელი ძეგლი მწერლისა, რამდენი ნაფიქრ–ნააზრევით, საღი მსჯელობით, პატრიოტული სულისკვეთებით არის გაჯერებული ეს რომანი, მოარულ ფრაზებად ხომ იქცა დათას გამონათქვამები...

გენიალური რომანი „დათა თუთაშხია“ პირველად ჯანსულ ჩარკვიანმა დაბეჭდა „ცისკარში“. სახალხო პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი წერს: „ჭაბუა საოცარი პიროვნება,



უკეთილშობილესი და მორწმუნე კაცი იყო. მთელი საქართველო ამაყობდა მისი უშიშროებით და ღირსებით. ის ხალხთან იყო მთელი ცხოვრება, მასთან ერთად იცავდა ხალხის თავისუფლებას. სიცოცხლეშივე სახალხო მწერლის წოდება მიანიჭეს. ძალიან ღირსეული და ნიჭიერი ადამიანი იყო“. „ხარ ოცნება ქართული, ახდენილი ოცნება“, – სწერდა კიდეც ერთ–ერთ ლექსში პოეტი სწორუპოვარ მწერალს.

საქართველოს გულთამპყრობელ რომან „დათა თუთაშხიაზე“ ტარიელ ჭანტურია წერდა: „ვერ დავიჯერე, რომ წიგნი მოკვდავის დაწერილია“. დიდებულმა ქართველმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, ბრწყინვალე მსახიობებმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა და თენგიზ არჩვაძემ მთელ რიგ მსახიობებთან ერთად ხორცი შეასხეს შეუდარებელ ეპოპეა „დათა თუთაშხიას“, რომელშიც 80 როლია დაახლოებით და თითოეული როლი ისეთი მაღალმხატვრული ოსტატობით არის განსახიერებული, რომ საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. კინოფილმი რუსულადაც ითარგმნა სახელწოდებით „ნაპირები“. ნიშანდობლივია, რომ რეჟისორს რუსეთში ეხვეწებოდნენ, მთავარ გმირს – დათას ნუ მოკლავთ, გადაარჩინეთო.

რომანის მრავალ პერსონაჟს შორის ყურადღებას იქცევს უსინათლო ებრაელი მოხუცის მორდეხის სახე (კინოფილმში – მურდუხაი). ავტორი გვიჩვენებს, რაოდენ პატივისცემას, ნდობას და დაფასებას იჩენს დათა თუთაშხია ამ მოხუცის მიმართ...

მსურს გავიხსენო ერთი ეპიზოდი რომანიდან „დათა თუთაშხია“.

... ყაჩაღ რაჟა სარჩიმელიას დათამ შეხვედრის დრო და ადგილი ბანძაში, უსინათლო მორდეხის ქოხში დაუნიშნა. შუაღამე გადასული იყო. მორდეხი იწვა, მუმიას ჰგავდა. რაჟამ კარი შეაღო და შევიდა.

– გამარჯობა შენი, მორდეხა, – მიესალმა მოხუცს. „სიკეთე მოგცეს ღმერთმა, თუ სასიკეთოდ დადიხარ ამ ქვეყანაზე“, – პასუხობს მორდეხი.

– დათას მოსვლამდე მორდეხმა სიფრთხილის მიზნით რაჟა სარჩიმელიას თოფისა და რევოლვერების ლულებიდან ვაზნები ამოიღო, მაგიდაზე დადო.

... დათასა და რაჟას საუბრის შემდეგ უსინათლო მოხუცმა მაგიდაზე ხელები მოაფათურა, ლულებიდან ამოღებული ვაზნები ყაჩაღს დაუბრუნა.

... ერთი თვის თავზე თუთაშხიამ მორდეხის ქოხის კარი ისევ შეაღო.

უსინათლო მორდეხს დათა ჭკუა–დარიგებას, რჩევას სთხოვს:

– მორდეხ ბატონო, როგორ მოიქცეს კაცი, როცა აღარ იცის, რა ქნას და რა აკეთოს? რას მეტყვი შენ?

– მასეთი კაცებისთვის თქვენ სარწმუნოებას სხვაზე უკეთესი სამკურნალო აქვს – მონასტერი!

დათა პასუხობს: – ისე, კაი საქმის საკეთებლად ერისკაცობა ჯობს, ნამდვილია ეს. არ შევდგები იქ. წავალ მე. გული უნდა გადავაყოლო რამეს, საქნელი, რაც არის და რასაც ვეძებ, ის, იქნებ, მე რომ მივდივარ, იქაა და მე რომ მინდა ვქნა, იმაშია სწორედ? ნახვა უნდა ამას, მიუგო დათა თუთაშხიამ და პატარა ხნის მერე დასძინა: – მორდეხ ბატონო, ათი ათასი მანეთი მჭირია დღესვე, თუ ვერ მოვედი ცოცხალი – მოგჭამა ჭირი მაგ ფულებმა; თუ ვერ მოგისწარი ცოცხალს, ისაკს დავუბრუნებ მაშინ, თუ ვიცოცხლეთ ორივემ, არ დაგეკარგება, იცი ეს შენ. უსინათლო მორდეხი უხმოდ ადგა, ყავარჯენი აიღო, ნახევარ საათში დაბრუნდა, დათა თუთაშხიას ფული მოუტანა.

ამ ეპიზოდებიდან ნათლად ჩანს, როგორ ენდობა ებრაელ მოხუცს დათა თუთაშხია, როგორ დახმარებას უწევს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ დათას მორდეხი... ზოგადად ხომ ცნობილია ებრაელი ადამიანის გამტანობა, მოყვასისადმი სიყვარული, თანაგრძნობა, თანადგომა და დიდი მწერლის მიერ ამ თვისებების ხაზგასმა თავის გენიალურ ნაწარმოებში მეტად მნიშვნელოვანია.

დიდი მოწონება ხვდა წილად მწერლის მეორე რომანს „გორა მბორგალს“. რომანი გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულიცაა. ეს არის რომანი რომანში. რომანი ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმების საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს. მასში შესანიშნავადაა აღწერილი საბჭოთა იმპერიის შემზარავი რეალობა, გაშიშვლებულია მისი ნამდვილი სახე.

რომანის ძირითადი ზნეობრივი იდეალებია: ვაჟკაცობა, სამართლიანობა, თავშეკავება და გონიერება.

გორა მბორგალის სახით გამოხატულია ბრძოლა თავისუფლებისათვის და ორგანულ კავშირშია წინა თაობების ცხოვრებასა და იდეალებთან. გორა მათი გზის გამგრძელებელია და დამაგვირგვინებელი. გორას ბრძოლის გზა ქართველი ერის დაუღალავი, უსასრულო ბრძოლისა და სიცოცხლის გზაა.

თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში

ეროვნული ერთიანობის თემა სუსტადაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით ჭაბუა ამირეჯიბის პრინციპული დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი სამაგალითოა.

სამწუხაროა, რომ დათა თუთაშხია უკვალოდ გაქრა, დამარცხდა, რამდენი სიკეთე დათესა, მოქმედებდა მაღალი ზნეობრივი პრინციპებით, მაგრამ სამაგიეროდ, გორამ გაიმარჯვა თავის ხალხთან ერთად.

გორა ამბობს: „მე გავიზარდე ისეთ ოჯახში, სადაც ზნეობრიობა ყველაზე დიდ განძად მიიჩნეოდა". აკი ავტორსაც სწამდა, რომ „შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ – შენი ერის დესპანი".

გორა მბორგალი მითიური ამირანის ღირსეული მემკვიდრეა, მათ სულიერი ძაფები აერთიანებთ. გორას ცხოვრება სიმბოლურად გაიაზრება მთელი ერის ცხოვრებად, მისი ხვედრი და ბედი ერის ხვედრად და ბედად. ეს რომანი „რომანი–ცხოვრება", „რომანი–ისტორიაა". გორა მბორგალი ქართული ეროვნული ხასიათი, ქართველი ხალხის განზოგადოებული სახეა. ისევე, როგორც ჭაბუკა ამირეჯიბის დაუვიწყარი გმირი დათა თუთაშხია, გორა მბორგალიც ფიქრისა და განსჯის კაცია, რაც ლიტერატურული გმირისა და მისი ავტორის გონიერებასა და უნარზე მეტყველებს.

საყვარელ სამშობლოს ჭაბუკა ამირეჯიბმა ასევე შესანიშნავი რომანი „გიორგი ბრწყინვალე" უძღვნა, რომელშიც დიდი სიყვარულით დახატა უბრძნესი, ჭკვიანი და გამჭრიახი მეფის სახე. ერი და მწერლობა განუყოფელია. ჭაბუა, დათა თუთაშხია, გორა მბორგალი და მეფე გიორგი ბრწყინვალე ერწყმიან ერთმანეთს. თავის ნაწარმოებებში პროზის დიდოსტატმა პიროვნული ცხოვრების ცოცხალი მაგალითი გვიჩვენა.

მწერალს აქვს მოთხრობების კრებულები, არაკების კრებული, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები კინემატოგრაფიის საკითხებზე, სტატიები, სცენარები.

მწერალს ჰყავდა ექვსი შვილი, მას დარჩა ცხრა შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. მისმა ოთხივე ვაჟმა თავისი ვალი მოიხადა აფხაზეთის ომში. ერთი ვაჟი – ირაკლი გმირულად დაეცა ომში. მას სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჭაბუკა ამირეჯიბმა თავი მიუძღვნა მარადიულ ჭეშმარიტებას. 2010 წლის 15 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად და ეწოდა ბერი დავითი. ბერად აღკვეცის წესი ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ შეასრულა, ესწრებოდა მწერლის პირადი მოძღვარი მამა – ტარიელ სიკინჭილაშვილი. პატრიარქის კურთხევით მწერალს წერის ნება დართეს. რამდენიმე წლის განმალვობაში მას მეტყველების უნარი დაკარგული ჰქონდა.

„ადამიანის ცხოვრება სიკვდილისთვის მზადებააო", – ბრძანებდა სახელოვანი მწერალი. მწერლობამ პასუხი უნდა გასცეს თავის ეპოქას, – ნათქვამია. ბატონმა ჭაბუამ ღირსეულად გასცა პასუხი თავის ეპოქას. გარდაცვალებამდე 6 თვით ადრე მან წერილი მისწერა უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს: „... მწამს, უფალი შეისმენს თქვენს ლოცვებს, რომელთაც მთელი ჩვენი ერის გულისხმევა ერთვის და ჩვენი საქართველო გაბრწყინდება!" – თქვენი ბერი დავითი – მზეჭაბუკ, ჭაბუა ამირეჯიბი.

მისმა უწმინდესობამ სახელოვანი კლასიკოსის გარდაცვალებასთან დაკაშვირებით ბრძანა: „საქართველომ მზეჭაბუკ ამირეჯიბი გააცილა ქვეყანასა და წრფელსა. ღმერთმა აცხოვნოს მისი სული და დაამკვიდროს იგი, სადაცა მართალნი განისვენებენ".

სამშობლომ საკადრისი პატივი მიაგო თავის დიდ შვილსა და ერისკაცს. ქართული მწერლობის კლასიკოსი დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და თბილისის საპატიო მოქალაქედ, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო (ორჯერ), ილია ჭავჭავაძისა და საბას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პროზის რაინდისა და საქართველოს სახალხო მწერლის წოდებები. მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯისა და აშშ–ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.

2013 წლის 17 დეკემბერი... დიდი გლოვის მაუწყებელი სვანური ზარი... გუგუნებენ დიდებული ტაძრის – სამების სზარები...

საქართველო ეთხოვება თავის ღირსეულ შვილს, დიდ ერისკაცს, რომლის ბედი საქართველოს ბედს ჰგავდა... ჭაბუკა ამირეჯიბი მთელ ქართველ ხალხთან ერთად იდგა ახლის ძიების სათავეებთან...

ჩოხოსნებმა გამოაბრძანეს ნატანჯი, ნაჯიჯგნი ნეშტი დიდებული ქართველისა, რომელიც იყო საქართველოს საუკუნის შვილი, კაცი–ლეგენდა, გენიალური პიროვნება, მხნეობის, ოპტიმიზმის მაგალითი, ქართული ლიტერატურის ფენომენი.

დიდმა პროზაიკოსმა თავის ნამდვილ ქართულ ნაწარმოებებში ისეთი გმირები დახატა, როგორებიც სჭირდება საქართველოს... მწერალი გაიგივებული იყო თავის გმირებთან – დათასთან, გორასთან, გიორგი ბრწყინვალესთან, რადგან თვითონაც მაღალი ზნეობის პიროვნება იყო, მათსავით ვაუკაცურად გაიარა ცხოვრების გზა და იყო ნიმუში ნამდვილი ქართველი კაცისა. მისთვის ასაკი არ არსებობდა. მისი არსებობა იმედის მომცემი იყო. მასთან ერთად თითქოს დამთავრდა მთელი XX საუკუნე, მისი სული კი მარადიულია. სიცოცხლე მარადიული ბრძოლაა და ჭაბუაც მთელი სიცოცხლის განმალვობაში იბრძოდა და წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს, 17 დეკემბერს, „სული გაუტეხელი" მარადისობას შეუერთდა, ღვთიური სამყაროს ბინადარი, მკვიდრი გახდა...

მთაწმინდის მიწამ კიდევ ერთი დიდი ქართველი მიიბარა, გულში ჩაიკრა კაცი „შეფარებული წმინდა გიორგის ფარქვეშ", კაცი „სიკდვილისგან ვერმკვდარი"... „მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს"... გვახსენდება დიდი აკაკის უკვდავი სტრიქონები...

კულტურის მინისტრის მოადგილემ, მანანა ბერიკაშვილმა, ჭაბუკა ამირეჯიბისთვის მინიჭებული „ხელოვნების ქურუმის" ჯილდო მწერლის მეუღლეს, გაუტეხელი სულის ქალბატონს, პოეტ თამარ ჯავახიშვილს გადასცა.

სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტი მოზარე და ჭირისუფალი ჭაბუკა ამირეჯიბი დიდი ქართველი კლასიკოსის, სიმონ ჩიქოვანის გვერდით დაკრძალეს.

გაივლის საუკუნეები და ქართულ მწერლობას კვლავაც შეეძლება იამაყოს მისი უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობით, მის შემოქმედებაზე მომავალი თაობები გაიზრდებიან და მათთვის ჭეშმარიტი ნიმუში პატრიოტიზმისა იქნება ცხოვრება ჭაბუა ამირეჯიბისა, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულს მიუძღვნა.

გამოსათხოვარ ლექსში მწერალს მისმა უერთგულესმა მეგობარმა, სახალხო პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ასე მიმართა:

„კვლავ მიაპობ ნიაღვარს,
ჯახთან არის შეჯიბრი,
დათა თუთაშხია ხარ,
გვარად ამირეჯიბი!"

მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი

ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო

(მარიამ კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით) წერილი I

„გავდივართ სოფლიდან ძველნი, ჩვენი თაობაც გათავდა, ხოლო თუ საქართველოში ახალ თაობას ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდგომი თაობა გაგვიგებს...“

მიხაკო წერეთლის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ,,ხმა მართლისა სიმართლის“ - ხანა საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დადგა, როცა ბოლშევიკურ-საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილმა სააზროვნო სისტემამ თანდათანობით მეტამორფოზა განიცადა და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრება-მოღვაწეობით საზოგადოება დაინტერესდა და თან იმაშიც დარწმუნდა, როგორც ემიგრანტი სოფიო ჩიჯავაძე-კედია ამბობდა: ,,თუ ოდესმე ჩემი ნაამბობი მისწვდება იმას, ვინც ძველი თაობის სიძულვილშია აღზრდილ-დავაჟკაცებული, ურიგო არ იქნება გაეცნოს ძველ ამბებს და იმაში მაინც დარწმუნდეს, რომ ჩვენ თაობას სამშობლოს ტკივილები საკუთარ ჭირად მიგვიჩნევია, მაგრამ თუ მის იარებს სამკურნალო მალამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა...“

ეს დრო დღესაც გრძელდება... და ამ იმედითა და რწმენით სააშკარაოზე გამოგვაქვს მარიამ კერესელიძის წერილები, რომლის ადრესატი გახლდათ თბილისში მცხოვრები ელენე კერესელიძე-გლურჯიძისა:

,,ჩემო საყვარელო და მუდამ სანატრელო მამიდა ელენე!

როცა უიმედო ვიყავი (დაიკარგა ჩემი საყვარელი მამიდას წერილი, ძვირფასზე ძვირფასი!), აი! მივიღე შენი პასუხი, მრავალჯერ ვაკოცე და სველი ქაღალდი შენი ცრემლებით და შენი სახით მეც ბევრი ვიტირე...

... მამილო და დედა სულ შენზე ილაპარაკებდნენ და ჩემთვის, შენ იყავი როგორც სიზმრის არსება, რომელიც ამ მსოფლიოს არ ეკუთვნება და ცხოვრობს სადმე, შორეულ ვარსკვლავში; ვარსკვლავი - საქართველო, რომელიც მე ვიცქირებოდი ბნელ ღამეში ნატვრით, დარდით... და ეხლა ვკითხულობ შენი სიტყვები, ვღებულობ შენი თბილი ალერსი!

ეხლაც თვალები ცრემლებით სავსე გწერ, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ისეთი ღრმა და თბილი სიყვარული ვიცით...

მე და დედა სიყვარულით, ნატვრით გკოცნი და გკოცნი. იყავი სულ კარგად და ყოჩაღად. შენი გულით და სულით მარიამი“ **(ლიმა 30.8.56).**

მამიდა-ძმისშვილს შორის 1956 წლით დათარიღებულ პირველ წერილებს ნოსტალგიით სავსე ეპისტოლეების მთელი წყება მოჰყვა.

მარიამ კერესელიძის შემდგომი წერილი მოგვითხრობს: ,,მივიღე ბიძა გოგიას წერილი, იწერება რომ უკვე ორი თვე შენი წერილი არ მიიღო... გენაცვალე! რომ იცოდე როგორ მიყვარხარ! ოხ! გენაცვალე გწერ და თანაც ვტირი... ახალ წლისათვის ჩემი ფიქრები და კეთილი სურვილი, ჩემი ნატვრა და გული შენთან, თქვენთან იქნება...

და იფიქრე რომ სადმე, შორს, დაკარგული უცხოეთში, შენით ოცნებობს დაკარგული ქართველი ქალი, შენი ძმის შვილი, შენი მარიამ“ **(პერუ 18.12.59).**

სულის სიმებზე გატარებული ამ სტრიქონების ავტორი მარიამ კერესელიძე სამშობლოს დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის ლეო კერესელიძის ქალიშვილი გახლავთ. და, როგორც გიორგი კერესელიძე წერდა თავის დას ელენეს: ,,ლეო იყო და არის მისი კერპი, მარიამი ლეოს ხატი“ **(პარიზი 23.08.59).**

ლეგენდარული ძმები კერესელიძეები - ,,ლეო, გიორგი, იასონი - XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს იმ პოლიტიკურ, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებმაც თავისი საქმე და ცხოვრება სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეას დაუკავშირეს. ბედმა ძმებს მნიშვნელოვნად განსხვავებული სამოქმედო დრო და ასპარეზი გამოუყო: 39 წლის იასონ კერესელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 23 მაისს დახვრიტეს. 1906 წლიდან მოყოლებული ცხოვრების ბოლომდე, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებად რჩებიან ლეო და გიორგი კერესელიძეები“, - აღნიშნავს პროფესორი ლევან გლურჯიძე.

ძმები კერესელიძეების მამა მათე კერესელიძე 1873 წელს დასახლდა გორში ილიასა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით. მალე აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრის- ხევთან ახლოს მდებარეობდა, ,,იქ, სადაც მეჯუდას ერთი ფშანი უერთდება, მეჯუდა ლიახვს და ლიახვი მტკვარს“.

,,ჩვენ გვქონდა ჩვენი დედ-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით - ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის ,,იზარდე, მწვანე ჯეჯილო“ - რომელსაც წაძღვნილი ჰქონდა: ,,ვუძღვნი ლეო კერესელიძეს“, ხომ არა გაქვს ეს გამოცემა“ (ჩვენს ხელთ არსებულ დედა- ენაში იოსებ დავითაშვილის 1885 წლით დათარიღებულ ლექსზე ,,ჯეჯილი“ წამძღვარებულია ,,ვუძღვნი პაწია ლევანს“).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: ,,თამარ-ღაზნელი“, რომელიც მამა ჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: ,,ნენე“ - მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა - თუ კიდევ არსებობს?“ - წერდა თავის დას გიორგი კერესელიძე.

1959 წლის 15 ივლისით დათარიღებული ეს წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორი მოგვითხრობს

მის ექვს დედ-მამიშვილზეც: ,,ჩემო ძვირფასო ელენე - მიბრძანე შენ მერამდენე იყავი ჩვენს ექვსში - საწყალი ბედუკა (ბავშვობიდანვე გარდაიცვალა) ვახტანგის მომდევნო იყო და ანგარიშს გამიადვილებ, იცი, რომ ჩვენ ყველა ორ-ოროლი წლით ვიყავით ერთი მეორეზე უფროსი... მე დავიბადე 17 (ძველი სტილით) მარტს 1885 წელს. შენ ჩემზე უმცროსი ხარ. რამდენით? ეს შენს სურვილზე არის დამოკიდებული. მანდილოსნის წლოვანება წლებით ხომ არ იზომება - იგი მისი სურვილის შედეგია" **(პარიზი 15.07.1959).**

მათე და მარიამ კერესელიძეები 6 შვილს უზრდიდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა საქართველოს ჭირ-ვარამზე დაფიქრებული ინტელიგენცია, რომლებიც ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძის კი - აკაკი წერეთელი.

ფშანის ნაპირებზე ძმები კერესელიძეები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სოფრონ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შვილებთან ერთად თამაშობდნენ და მეგობრობდნენ.

ლეო კერესელიძე და ლეო მგალობლიშვილი ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო გამბეტას საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდნენ.

ცხადია, ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავისუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზდაზე.

1890 წელს მათე კერესელიძე ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მათი შვილები აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ მებრძოლთა წრეებში. თავდაპირველად ძმები ,,ცნობის ფურცლის" ირგვლივ გაერთიანდნენ და საქართველოში მეფობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, თუმცა სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომლის ორგანოს ზემოხსენებული გაზეთი წარმოადგენდა, ავტონომიისა და ფედერალიზმის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: ,,საქართველოს დამოუკიდებლობასა და რუსთა განდევნას"...

პატრიოტული რწმენითა და მისწრაფებებით აღსავსე ლეო და გიორგი კერესელიძეებმა 1906 წელს ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრებთან ერთად დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია მოახდინეს და ხელთ 315 000 მანეთი იგდეს. ოპერაციის საქმე გაიხსნა, ამიტომ ლეო და გიორგი კერესელიძეები თავის დეიდაშვილთან ნესტორ მაღალაშვილთან ერთად შვეიცარიაში გაიხიზნენ. ჟენევაში გაიცნო ლეო კერესელიძემ თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი, რომელნიც ისე მოხიბლა, რომ მათ წევრებს საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად გაუხადა: ,,ლეოს მეუღლე მართა (მარტა) არაჩვეულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტეგრალურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის", - წერდა დას რძალზე გიორგი კერესელიძე **(პარიზი 23.08.59).**

,,ოსმალეთში წასულ ლეო კერესელიძეს 20 000 ოქროს ფრანკი საცოლემ მისცა ყოველ გასაჭირ შემთხვევისათვის", - აღნიშნავდა თავის მოგონებაში გიორგი კერესელიძე

ლეოს მომავალი მეუღლე მართა ეჩოულტრე იყო ცნობილი შვეიცარიული საათების განთქმული და დღესაც მსოფლიოში მეტად წარმატებული ფირმის (,,უაჭგერ-ეჩოულტრე") დამაარსებელისა და მფლობელის ჟაცქუეს-ავიდ ეჩოულტრეს (1875-1948) ქალიშვილი.

მართა ეჩოულტრე იყო ლეო კერესელიძის ყველა საქმის თანამდგომი და თანამგრძნობი. იყო ეს - საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის დაარსება ჟენევაში, მის შემადგენლობაში მუშაობა შვეიცარიაში, გერმანიაში თუ ოსმალეთში; ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება და მისი პირველი სარდლობა; საბრძოლო ოპერაციები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში; პატრიოტულ–ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,თეთრი გიორგის" დაარსება და წინამძღოლობა; ისტორიულ–პუბლიცისტური მოღვაწეობა და მრავალი სხვა.

სულით და ხორცით უმშვენიერესი ქალბატონი მეუღლის სიყვარულის გამო ბევრ გაჭირვებას იტანდა: ,,6 წლის ვიყავი როცა დავინახე საწყალი დედა როგორ წაიქცა უგონოთ შიმშილის გამო. მამა მაშინ ძალიან ავად იყო. შემდეგ რამოდენიმე წელიწადი უკან, მე და დედა დიდი ხანი გარეთ დავიძინეთ და ლუკმა პურიც კი არა გვქონდათ" **(სოფელი მანკორა 13.12.56).**

მართას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა თავის მულთან და ქმრის ახლობლებთან. ,,დედაზე ძალიან ღრმად იმოქმედა ნოდარმა (ელენეს ვაჟი) ჩემი მამის სახელი რომ დაარქვა უმფროსი ვაჟიშვილს! რამდენი წლისაა? 12 წლის? აკოცე ჩვენს მაგიერ... " **(სოფელი მანკორა 13.12.56).**

სამხრეთ ამერიკიდან გამოგზავნილ ეპისტოლეებში მარიამი ადრესატს ხალხის ცხოვრებაზეც მოუთხრობდა: ,,აქაური ხალხი მეტისმეტად უბრალოა, თან ზარმაცი და ლოთი. ძალიან ღარიბათ და ჭუჭრიანად ცხოვრობს, მაგრამ მაინც ზღვის პირზე ცხოვრება უფრო ადვილია, არა სცივა და მთელი წელიწადი შეუძლია კაცს გარეთ დაიძინო და ერთი თევზი მუდამ იშოვება საჭმელათ. მთაში კი ინდიანები ცოდოა. დიდ სიღარიბეში ცხოვრობს და როცა ზამთარში არა სწვიმს, ხალხი შიმშილით იხოცება და საერთოდ თავის დღეში კვება არა ყოფნის. ასე რომ ხალხი იძულებულია კოკაინის ფოთოლი შეშჭამოს, რომ სისუსტით არ წაიქცეს მუშაობის დროს" **(სოფელი მანკორა 13.12.56).**

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: ,,ჯიშის გენისათვის მარტო ,,სისხლი" არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა".

ქართული ჯიშისა და გენის, ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი და უდიდესი მოვალეობა ჩაუნერგა მარიამ კერესელიძეს მამამ – გენერალმა ლეო კერესელიძემ. იგი თავის ერთადერთ

ქალიშვილს ,,მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გაეხოემუშავებინა ისეთი თვისებები, რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა. მამის სურვილით, ის უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი და ,,თამარ მეფე" თუ არა ქართველი ,,ჟანა დარკი" მაინც".

„მარიამ კერესელიძე დაიბადა 1922 წლის 13 ივლისს თურქეთში", მამამ თავისი დედის მარიამ ყანჩელის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა. ,,როგორ მიხარია ჩემი ცუდი ხელთნაწერი საყვარელი დიდედა მარიამისას რომ ჰგავს!", – აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში მარიამი.

მარიამ კერესელიძის დაბადების თარიღად მისი მამიდის ელენე კერესელიძე-გლურჯიძის პირადი არქივის მიხედვით 1921 წელი და შვეიცარიაში დაბადებაა მიჩნეული, რომელსაც ადასტურებს 1959 წლით დათარიღებული თვით მარიამ კერესელიძის ერთ-ერთი ეპისტოლეც: ,,13-7-59 ჩემი დაბადების დღისათვის მივიღე შენი ძვირფასი წერილი სურათით. როცა ვნახე შენი სურათი ამ საათში ვიფიქრე ,,რატომ ბიძა გოგია მიგზავნის ჩემი პირადი სურათი! ,,მეთქი!" მე და შენ იგივე სახე გვაქვს! შენი ძვირფასი სურათი ისევ როგორც საყვარელი პატარა ლეოს სურათები ჩემი მაგიდაზე არიან. ღამე როცა ვიწვები, ვაყურებ და ღშირად ვტირი და ვფიქრობ რომ უკვე 14 წელიწადი გაიარა რაცა უკანასკნელათ ველაპარაკე ქართველ ადამიანს, ვფიქრობ რომ ყოველ დღე მავიწყდება მშობლიური ენა და რომ უკვე 38 წლისა ვარ და მიკვდება გული!" **(18.12.1959).**

მარიამ კერესელიძის დაბადების თარიღის დასადგენად მეორე უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს პატარა მარიამის სურათზე თავად ლეო კერესელიძის მიერ გაკეთებული წარწერა: ,,მარიამი ორი წლისა და ოთხი თვისა. 12 ნოემბერი 1923 წ. ქ. ლოზანა".

მარიამ კერესელიძემ განათლება რომში „წმინდა მარიამის" სახელობის მონასტერში მიიღო. იგი კარგად ფლობდა როგორც ევროპულ, ასევე აღმოსავლურ ენებსაც.

,,წმინდა მარიამის" სასწავლებლის დასრულების შემდეგ იგი მშობლებთან ერთად ჩრდილოეთ მაროკოში, ქალაქ ტანჟერიში ცხოვრობდა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლეო კერესელიძე ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და საქართველოს რუსეთის სივრციდან გამოსახსნელად. იგი ამ მსოფლმხედველობასა და იდეებს უნერგავდა თავის ერთადერთ ქალიშვილსაც.

სამშობლოსათვის თავდადებული და ფიზიკურად ძლიერი, მედგარი და უშიშარი, მიზანდასახული და უაღრესად ნებისყოფიანი მარიამ კერესელიძე მამას მუდმივად გვერდით ედგა და მის მრავალ საქმეთა შეუპოვარი თანამონაწილეც გახლდათ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში კერესელიძეების ოჯახს ევროპაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ. ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: ,,1924 წელს სულ უარაფროთ ვიჯექით. რატომ ვიყავით ამდენათ ღარიბი? მშობლებმა ხომ ყველაფერი დაკარგეს. შემდეგ დედას რაც ჰქონდა შვეიცარიაში დახარჯეს, ძალიან ბევრ ქართველს უშველეს. მამა მუშაობას ეძებდა პარიზში, მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა და მალე ავად გახდა. დედა კერვის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათენებდა, რომ ლუკმა პური მოეგო. ვერ წარმოიდგენ თუ რა ავად იყო საწყალი მამა! მართალი ხარ: დედაჩემი ნამდვილი გმირია! რომ ბოლოს დედის დები არ დაგვხმარებოდნენ, უეჭველად ჩვენ შიმშილით მოვკვდებოდით.

1933 წლამდე მამა ძლიერ იყო ავად, მაგრამ რასაც ვღებულობდით დედის ოჯახიდან ძლივს გვაცოცხლებდა. მერე დიდედაჩემი მოკვდა და ფული დაგვტოვა. შემდეგ კი საჯდომი სკოლა გვქონდა და ამით წესიერად ვცხოვრობდით" **(30.07.1957).**

მშობლიური ენა მარიამს მამამ ბავშვობიდანვე შეასწავლა. იგი ქართულად ლექსებსაც წერდა და მღეროდა: ,,ძლიერ იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა, რომ გარდა ნათესავებმა, ნაცნობებმაც მოუნდომიათ ჩემი წერილის კითხვა. ეხლა დღიურად ვმაცადინობ ქართულ ენაზე და ვესაუბრები ჩემ თავს ხმა მაღლა ქართულად! 11 წლის განმავლობაში ქართული წიგნი არ წამიკითხია, მაგრამ დამერწმუნე რომ ეხლა მაცადინობ... მე სიმართლე გითხრა, რომ დედა არა მყოლიყო იქნებ თავს მოვიკლავდი ათი წლის უკან. აქ არაფრისი გემო არ მაქვს, მკვდარივით დავდივარ, ჩემი გული და ოცნება კი, მანდ არის თქვენთან... საერთო მდგომარეობაზე ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ მეშინიან ამერიკელის ცენზურას არ ჩაუვარდეს ხელში ჩემი წერილი" **(მანკორა 16.10.56).**

განათლებით, ჭკუითა და ქალური მომხიბვლელობით გამორჩეული მარიამ კერესელიძე თაყვანისმცემელთა დიდ ყურადღებას იპყრობდა. იგი დაინიშნა ტანჟერში შვეციის დესპანზე, მაგრამ მათი ურთიერთობა მალე დამთავრდა. შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მსხვილ ინგლისელ ჩინოვნიკს, არც ეს კავშირი აღმოჩნდა მტკიცე.

ლეო კერესელიძეს მაროკოში ცხოვრებისას ბევრი წმინდა სისხლის ცხენი ჰყავდა. მამის წყალობით მარიამი კარგად დაეუფლა ცხენოსნობას. რასაც იგი ცხენოსნობაში მამაკაცებსაც სჯობნიდა, პრესა არა ერთხელ აღნიშნავდა.

მ. კერესელიძე გატაცებული იყო ჟურნალისტიკითა და სიძველეთა კვლევით. მის ქმედებას, ქცევასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებს კონტროლს უწევდა მამა. ტანმაღალი, მუქ-თაფლისფერ თვალება, გრძელი შავთმიანი და მომხიბვლელი მარიამი მუდამ ყურადღების ცენტრში იყო.

მარიამი საკმაოდ საინტერესო პიროვნება გახლდათ და ქართველთა შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1940 წელს ლეო კერესელიძემ დატოვა ტანჟერი და ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, ,,მარიამ კერესელიძემ თანამშრომლობა დაიწყო ტანჟერში და ესპანეთის მაროკოში მოქმედ გერმანიის დაზვერვასთან, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი წამყვა-

ნი ფიგურის გერინგის ბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. მ. კერესელიძის სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო პირთა გადმობირება და მასთან კავშირზე მყოფი აგენტების მეშვეობით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. სწორედ მის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანიის ავიაციის მიერ სამი წლის მანძილზე იბომბებოდა გიბრალტარი, მარიამის „დამსახურების" ნუსხაში იყო აგრეთვე ტანჯერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნება".

1942 წელს მარიამ კერესელიძე დედასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა. მამის დაჟინებული მოთხოვნით, ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და მამის ინტერესების გამტარებლად საქმიანობდა. „იგი ბანაკში ორგანიზებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში (ხელმძღვანელი პავლე მაღრაძე) მონაწილეობდა. გუნდში მღეროდა ქართულად და მომხიბვლელად ასრულებდა კავკასიურ ცეკვებს. გუნდი მთელ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოგზაურობდა. ტყვეთა ბანაკში მან ბევრი ქართველი მეგობარი შეიძინა და ქართული ენა უფრო განიმტკიცა."

იმ დროს გერმანიაში ანტისაბჭოთა დაჯგუფებებში მრავალი თვით-შემოქმედებითი გუნდი არსებობდა, რომელზეც 1943 წლით დათარიღებული სპირიდონ კედიას წერილიც მეტყველებს: „ამასწინათ ერთ–ერთმა ქართველმა ლეგიონმა აქ მოაწყო საღამო საკუთარი ძალებით. იყო ქართული გუნდი 30 კაცისაგან შემდგარი. ამ გუნდს ლოტბარობდა ახალგაზრდა კომპოზიტორი ნალბანდიშვილი, სიმპატიური ყმაწვილი, რომელმაც ერთ დანჟღრეულ როიალზე დაუკრა თავისი „საკუთარი კომპოზიცია – „ეტიუდი და სალამური". იცეკვეს „ქისტური, აფხაზური ცეკვები და კინტაური მეტისმეტი ველური გაქანებით" **(ბერლინი 10.3.1943).**

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ „სისხლის წვიმების" ჟამს და ომის ქარცეცხლში ქართული სიმღერა ატოკებდა მსმენელთა სულის სიმებს და როგორც ბელა ახმადულინა აღნიშნავდა: „Мне кажется, никто не живет в такой близости пения, как грузины. Между весельем и пением, печалью и пением, любовью и пением вовсе нет промежутка. Если грузин не поет сейчас, то только потому, что собирается петь через минуту.»

1943 წელს ბერლინის დაბომბვისას ლეო კერესელიძე დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით მარიამი მამიდას წერდა: „22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიზმარში ნახა თავისი თავი თეთრად ჩაცმული და მთელი ნათესავები, დედ-მამა, რომლებიც მოკვდნენ - შავი ტანისამოსით და გვითხრა: „ცუდია, მალე მოვკვდები» და 23-ში დაიღუპა, როგორც ბებია მარიამი» **(30.08.1956).**

ცნობილი ემიგრანტისა და ესეისტ თამარ პაპავას წერილის „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე» პერიფრაზის გამოყენებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ასე და ამგვარად სამშობლოს მკერდიდან მოკვეთილმა ღირსეულმა შვილმა ლეო კერესელიძემაც მისი



ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულს და მის უკეთეს მერმისზე ფიქრს შეალია...

„მამაჩემი სულ ამბობდა: მე ვერ ვეღირსები საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო», – აღნიშნავდა მარიამი მამიდის სახელზე გაგზავნილ წერილში **(30.08.1956).**

ამიტომ მისი ოცნება იყო მამის ანდერძის სრულყოფა: „დღეს როცა ტალარაში მივედი, გული მცემდა და ვფიქრობდი რომ უეჭველად რამე არა ჩვეულებრივი მომელოდებოდა ფოსტაში. და შემხვდა შენმა წერილმა მამის სურათით! ვერ წარმოიდგენ თუ როგორ იმოქმედა ჩემზე! თანაც მეჩქარებოდა, მინდოდა მალე დავბრუნდა მანკორაში (ტალარიდან მოშორებულია 80 კილომეტრით) რომ დედას სურათი ჩამებარა. რომ იცოდე თუ რა მადლობელია! დედასთვის, და ჩემთვისაც, ყველაზე ძვირფასი რამ არის მამის სურათი...

რა ცოცხალი, ძვირფასი და გრძნობიარე წერილი მომწერე, ჩემო კარგო! მე ასე მეგონა თქვენთან ვიყავი; შენთან ძალიან ახლო, თითქმის ვგრძნობდი შენი ალერსი, შენი ტკბილი სიტყვები, მთელი შენი მომზიდვარე პიროვნება... მართლა, აქ გარდა დედა, არაფერი არ მაინტერესებს და არაფერიც არ მინდა! მე და დედის ოცნება ეს არის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, რას იტყვი? ამ იმედით, ამ ოცნებით, მინდა როგორმე ფული მოვიგო, და იმედია, მოვახერხებ კიდევაც. უკანასკნელ წერილში გაცნობდი რომ ლიმაში გადავდივართ საცხოვრებლათ და მანდ რომელი მუშაობას ვაპირებ. იმედია ყველაფერი გამოვა კარგად. ჯერ–ჯერობით ბევრი ვალები მაქვს, მაგრამ უკვე ერთხელ,

საქართველოს პარლამენტის

სამი წელიწადი უკან ისეთ მდგომარეობაში ვიყავი და კარგათ ავასწორე ჩემი საქმე. საერთოდ ხალხი მენდობა, რადგან არავის არ ვატყუებ. მითუმეტეს უბრალო ხალხს ვუყვარვარ; ისინი ნახავენ რომ მუშაობას არ მეშინიან, რომ მათთი გულის ტკივილი მესმის რადგან ძალიან ბევრი და საშინელი სიღარიბე განმიცდია მეცა. მეთევზები, ჩოფრები, მუშები ამ ხალხს მართლა ძალიან ბევრ რამეში ყოველთვის მეხმარება, მეც ვეხმარები ყოველნაირად. საერთოდ ძალიან მსიამოვნობს, როცა ხალხი სიყვარულსა ვრძნობ, და ყველგან ვიცი ადამიანობა და გულკეთილობა, ხანდისხანაც დიდი ბოროტობაც, მაგრამ ამას მავიწყდება» **(30.7.57).**

გერმანიაში მარიამ კერესელიძეს დაუახლოვდა სპეცსამსახურების მიერ გადმობირებული „შახოვსკი“ — იგივე პავლე ვასილის ძე ჯორჯაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციაში შეღწევა და ხელსაყრელ მომენტში მათი ლიდერების განადგურება.

„შახოვსკი» სარგებლობდა მ. კერესელიძის დიდი ავტორიტეტით და ნაცნობთა ფართო წრით, მაგრამ მარიამმა ეჭვი შეიტანა მის კეთილსინდისიერებაში და საბოლოოდ ამხილა იგი.

1945 წლის 26 მარტს მარიამ კერესელიძე დედასთან და სხვა ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთ იტალიაში გაემგზავრა, სადაც ქართველთათვის განკუთვნილ რაიონში შეუერთდა 150 იძულებით გადაადგილებულ თანამემამულეს.

იტალიაში ჩამოყალიბებულ სათვისტომოში მ. კერესელიძე კვლავ ანტისაბჭოთა საქმიანობას განაგრძობდა. იგი 1945 წლის 29 აპრილს გამთენიისას იტალიელ პარტიზანებთან გადასვლის მცდელობისათვის „სს» – ის ქართული პოლკის მებრძოლებმა დააპატიმრეს.

ქართველი „ესესელების» აზრით, იმდენად დიდი იყო ლეო კერესელიძის ავტორიტეტი ანტისაბჭოთა ემიგრაციაში, რომ მის ქალიშვილს ფაშისტებისათვის არ გაიმეტებდნენ და გაქცევას მაინც მოუწყობდნენ.

ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე ეპისტოლეში აღნიშნავდა: „ომის ბოლოს პარტიზანი ვიყავი იტალიის მთებში, წამიყვანია 600 ქართველი ბიჭები. გერმანელმა „ესესებმა» კინაღამ დამხვრიტეს, მაგრამ, როგორც იყო გადავრჩი. დედამ საშინელი დრო გაატარა, სულ მოელოდა ამბავს, რომ მკვდარი ვიყო. მის შემდეგ რაღაც ჯილდო უნდოდათ მოეცათ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მანდ, იტალიის მთებში ქართველებს აღმერთებენ და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ქართველების წყალობით და მარიამის წყალობით ჩვენ გადავრჩითო. თორემ, იტალიელი პარტიზანების იმედით ყოფილიყვნენ, ბევრი ხალხი დაიღუპებოდა, ვინაიდან იტალიელი პარტიზანებმა კურდღელებივით ირბინეს საშიშ დროს.

ომის დროს ფრიდონ წულუკიძემ ჩამაბარა თავისი ხელით გერმანელ „ს.ს» რომ დამხვრიტონ! როგორღაც გადავრჩი. იტალიაში, ომის შემდეგ იტალიურმა მთავრობამ მთხოვა თუ შეიძლებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრიდონის გაშვება და მე ვეთანხმები» **(01.10.1958).**

ომის შემდეგ ბიძამ მარიამი და დედამისი შვეიცარიაში წაიყვანა. 1948 წელს მარიამ კერესელიძე შევიდა შვეიცარიის უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად იგი ევროპულ ენებს ასწავლიდა სკოლებში. შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთარგმნელადაც მუშაობდა.

„ჩემმა ბიძამ, (დედის მხრივ) წამიყვანა 1948 წელი შვაიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო–ში მუშაობა მთარგმნელათ და მანდ კარგი ფული ვიგებდი. აქაც თევზაობით კარგათ წავიდა საქმე და იმედია კარგათ წავა ლიმაში...

შენი წერილი სიცოცხლის წყაროა ჩვენთვის. მე და დედა სულ ველი შენგნით წერილს. ჯერ ვერ გავამთავრე რომანი ვინაიდგან დღიური მუშაობა და ბრძოლა ცხოვრებისათვის არც დრო და არც სიწყნარეს არ მაძლევს» **(30.7.57).**

„ვგონებ ყველაზე მეტად მარიამს მე ვუყვარდი და ყველაზე მეტი ავტორიტეტი მის თვალში მე მქონდა. ბევრი ვურჩიე, დარჩი შვეიცარიაში, გათხოვდი შვეიცარიელზე, დაამკვიდრე საღ ნიადაგზე შენი ცხოვრება მეთქი. არა გამოვიდა რა. ბუნება აქვს ცოტა ავანტურისტული. კარგია საღი ავანტურა, მაგრამ როდესაც საზღვარს და საღ ანგარიშს გადალახავ – ცუდად მთავრდება,» – წერდა დას გიორგი კერესელიძე **(პარიზი 23.08.59).**

ომის დამთავრების შემდეგ მარიამ კერესელიძესაც დევნილობა მოუწია, რომლის მიზეზი იყო მეორე მსოფლიო ომში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გარკვეული ნაწილის, მათ შორის მამა–შვილ კერესელიძეების, ნაცისტურ გერმანელებთან თანამშრომლობა. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი ევროპის მრავალ ქვეყანაში ინტენსიურად აწარმოებდა ფაშისტური გერმანიის მომხრე პოლიტიკური ემიგრანტების, ტყვედჩავარდნილებისა და გერმანიის მხარეზე გადასულ საბჭოთა მეომრების დაჭერასა და დახვრეტას.

ასეთი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად მარიამ კერესელიძემაც სამხრეთ ამერიკას მიაშურა. იგი დამკვიდრდა პერუში, კითხულობდა ლექციას ლიმას უნივერსიტეტში.

„მიიღე თუ არა, ჩემი თებერვალში დაწერილი წერილი, რომელში გატყობინებდი, ჩემი უბედური შემთხვევა სატვირთო ავტომობილით? კინაღამ მოვკვდი! ეხლა კარგად ვგრძნობ თავს.

გემი დაიღუპა და სულ ყველაფერი დავკარგე, საბედნიეროდ არავინ არ დაიკარგა, ეს მთავარია.

მატერიალურად ცუდი დრო გავატარეთ ბოლოს დროს, მაგრამ არაფერი არ გვაკლია. ეხლა კი, იმედი მაქვს ახალი საქმე გავაკეთო, თუმცა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. პატარა ხე-ტყის ქარხანა მინდა მოვაწყო. ნაცნობებმა მანქანები მაძლევენ, ეს პირველი ნაბიჯია, მერე ბანკიდან ფული უნდა მოვახერხო სესხად, ცოტა ძნელია. ხე-ტყის მუშაობა ჩემთვის ახალი საქმეა, მაგრამ იმედია მაინც გამოვა. თამარ გულ-მოსულია ჩემზე: „რათა მუშაობ მამაკაცურ და მაგარი მუშაობაზეო? შენი ადგილი ხომ უნივერსიტეტშიაო!” მე დიდი ქალაქის ცხოვრება არ მომწონს, არც დედას. გვიყვარს ბუნება და მარტოობა...

გურამ თაყნიაშვილი

წიგნის როლი და დანიშნულება შიო ჩიტაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში

შიო ჩიტაძემ თავისი ხანმოკლე პედაგოგიური და პუბლიცისტური მოღვაწეობის პერიოდში დატოვა ფრიად საყურადღებო ნაწარმოებები აღზრდასა და სწავლებაში წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ. იგი იყო მგზნებარე პატრიოტი, თავდადებული მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე. თავის შინაარსობრივად მდიდარ პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია წიგნის სისტემატურ კითხვას, ორგანულად დაუკავშირა რა იგი სწავლებაში სისტემატურობის პრინციპს. თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობის პერიოდში მან შეიმუშავა

„თბილისის სათავადაზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაციის პროექტი“, სადაც იგი პრინციპულად აყენებდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის საკითხს. პროექტში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, კლასგარეშე წიგნების გონივრულად კითხვის ორგანიზაციის საკითხებს. მის პედაგოგიურ ნააზრევში გაბედულად იყო წამოყენებული პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის იდეა. ასეთი შინაარსის პუბლიცისტურ წერილებს იგი აქვეყნებდა „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“, ჟურნალ „Возрождение“-ში და სხვა პერიოდულ გამოცემებში. აღნიშნული წერილებით მან ღრმა კვალი დატოვა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. „პედაგოგს – წერდა იგი, – ბავშვთა აღზრდის რაციონალურად წარმართვისათვის ფართო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონდეს, მისთვის ბუნდოვანი არ უნდა იყოს ადამიანის ფსიქოლოგიური, შინაგანი ცხოვრების მხარეები“ (1,6). თავისუფალი სახალხო სკოლის შექმნის იდეების დასაბუთების დროს იგი ანვითარებდა საყოველთაო განათლების აუცილებლობას, სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვას მოწინავე პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებით.

სკოლაში, შ. ჩიტაძის აზრით, ადამიანის სულმა უნდა მიიღოს შესაფერისი ფორმა და შინაარსი, ყოველი ასაკის პიროვნებას სათანადო მასალა ესაჭიროება. „ადამიანი – წერდა შ. ჩიტაძე, ორი ნაწილისაგან შედგება, ერთია მისი ფიზიკური სხეული, რომელიც ხილულია, ხოლო მეორე – მისი სული, რომელიც უხილავია, ინტერესი ძევს მის საგანში“ (1, 18); საგნისადმი ინტერესის გარეშე, შეუძლებელია მიაღწიო სწავლებაში მაღალ აკადემიურ მოსწრებას. სასწავლო პროცესში წიგნისა და კლასგარეშე კითხვის საკითხებზე მსჯელობისას შ. ჩიტაძე აუცილებლად მიიჩნევდა მოსწავლის გონებრივ განვითარებაში სისტემატური კითხვის მიზანმიმართულ განვითარებას. სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობაა შეაჩვიოს ახალგაზრდა წიგნის დამოუკიდებელ, სისტემატურ კითხვას; განსაკუთრებით კი სპეციალურად შერჩეულ, მაღალიდეურ და მორალური ღირსების მქონე ლიტერატურის კითხვას.

თავის ნაშრომში „რა გვარი წიგნებია სასურველი მოზარდი თაობისათვის“ (2) შ. ჩიტაძეს სწორედ წიგნი მიაჩნდა გონებრივი აღზრდის ძირითად საშუალებად. „წიგნმა უნდა წარუდგინოს მოზარდს, – წერდა იგი, – საკმაო მასალა ამოღებული ადამიანთა ცხოვრებიდან, დახატული ცხოვრება უნდა იყოს ნამდვილი და არა ფერუმარილწასმული, რომ შესძლოს ცოცხალი ცხოვრების წარმოჩენა“ (2, 12). კლასგარეშე კითხვის პროცესში შ. ჩიტაძე უპირატესობას ანიჭებს მხატვრული ლიტერატურის კითხვას. „ასეთ თხზულებაში გული გიგრძნობთ და ჭკუით გავიგებთ სიხარულსა და მწუხარებას წიგნში დახატული ადამიანებისას; მარტო ამგვარი წიგნების კითხვა სტოვებს კვალს, ამგვარ კითხვას შეუძლია შეიმუშაოს მოზარდის ზნეობრივი ხასიათი, მხატვრული წიგნი ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანის სულს, აძლიერებს ცხოვრებისადმი სიყვარულს და პატივისცემას“ (2, 14). შ. ჩიტაძის აზრით, სწორედ წიგნმა უნდა შეძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე სამყაროსი, და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობებისა. მხატვრული ლიტერატურა არის არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ ბავშვთა მორალური აღზრდის უძლიერესი საშუალებაც. იმავე ნაშრომში შ. ჩიტაძე პედაგოგიური მიდგომით ცდილობს წარმოაჩინოს წიგნის როლი და ადგილი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. , წიგნი – წერდა იგი – მშვენიერი გამომხატველია ადამიანის გემოვნებისა, აზრებისა, გრძნობებისა და მისწრაფებებისა, წიგნს

შეუძლია ცოცხალი არსების მაგივრობა გაუწიოს ადამიანს“ (2, 8). შ. ჩიტაძის მოსაზრებით, წიგნთან უსიამოვნება შეუძლებელია, არ მოგწონს, გადააგდე, და სხვა აიღე, წერდა იგი იმავე წერილში; მოსწავლეს უნდა მივაწოდოთ ის წიგნი, რომელიც შეეხება მისი სულის ცხოვრებას, და მაშინ მკვიდრი ძმობა–მეგობრობა დამყარდება წიგნსა და მკითხველს შორის. წიგნი – წერილის ავტორის აზრით, არ გიღალატებს, თუ შენ თვითონ არ შეიცვალე. შ. ჩიტაძის აზრით, ყველაზე ძნელი ხელოვნება აღზრდის ხელოვნებაა. აღმზრდელს რთულ არსებასთან აქვს საქმე, საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, შემოქმედება და ცოდნა შეერთდნენ რომ ცოცხალი არსება არ დამახინჯდეს.

ბუნებრივი ნიჭი, შ. ჩიტაძის აზრით, არ შეიძინება, იგი ძვირფასი საჩუქარია ბუნებისა და ადამიანს თან სდევს. სხვა წერილში „ბავშვის ზნეობრივი ბუნება“ (3), შ. ჩიტაძე წერს, რომ ბავშვს რყვნის ადამიანი ურიგო აღზრდით. სწორედ წიგნმა უნდა წარმართოს ბავშვის ბუნება ცოდნის დაუფლებისათვის. ადამიანი ეძებს წიგნში თავისი ფიქრების, ეჭვისა და გრძნობების გამოძახილს. მოზარდმა თაობამ წიგნის საშუალებით უნდა გამოაკვლიოს აზრებიც, გრძნობებიც და მისწრაფებებიც. წიგნის დანიშნულებაზე მსჯელობისას, შ. ჩიტაძე აღნიშნავს, რომ ჩვენში ბევრია პიროვნება, რომელთაც არ სწამთ წიგნის დიდი მნიშვნელობა. მათი აზრით, მარტო წიგნს არ შეუძლია განავითაროს ადამიანის ჭკუა და განაფაქიზოს მისი გრძნობა. წიგნისაგან მიღებული ცოდნა ძვირფასი და სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც იგი მოპოვებულია ადამიანის გონების შრომით. ადამიანის გონებისათვის შრომით მოპოვებული ცოდნა უფრო ძვირფასია; გრძნობა აღმოცენებული და აღზრდილი ფაქტების მეოხებით უფრო მკვიდრია. თუ ადამიანს სურს იცხოვროს კაცობრიობასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრებით, იგი იძულებულია კაცობრიობის სალაროდან გაუსინჯავად ისარგებლოს მრავალგვარი ჭეშმარიტებით, თორემ განკიცხული და განმარტოებული დარჩება.

შ. ჩიტაძე ამავე წერილში აგრძელებს მსჯელობას წიგნის სოციალური ბუნებისა და დანიშნულების შესახებ: „ წიგნი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ადამიანს უერთებს მთელ სამყაროს; წიგნი, დაუშრეტელი წყაროა ცოდნისა, რომელიც ტანჯვით შეიძინა კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში“ (3, 16). შ. ჩიტაძის მოსაზრებით, წიგნი სარკეა თანამედროვე და წარსულში ჩამარხული კაცობრიობისა. წიგნი მაგივრობას უწევს კაცის პირად დაკვირვებას, რომელიც შეზღუდული და ცალმხრივია. ადამიანი განსაზღვრულ ადგილას და დროში ცხოვრობს, განსაზღვრულ ფიზიკურ გარემოში და ამიტომ არ ძალუძს იცოდეს და გრძნობდეს, რაც სასურველი და სავალდებულოა თანამედროვე ადამიანისათვის. მაგრამ წიგნი, როგორც ცხოვრება მრავალაზროვანია, მრავალგვარი გრძნობების, მრავალფეროვანი მისწრაფებების გამომხატველია. მსჯელობს რა მოზარდი თაობისათვის წიგნის შერჩევის საკითხებზე, შ. ჩიტაძე აღნიშნავს, რომ ერთობ ძნელია მოზარდისათვის წასაკითხი მასალის ამორჩევა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას მოზარდის ინტერესი, წიგნიერების დონე, წიგნის შინაარსი და იდეა, ავტორის მოსაზრებები და ა. შ. „წასაკითხი მასალა შეიძლება ორგვარი იყოს – წერს შ. ჩიტაძე, – პირველს აქვს აზრად მისცეს ადამიანს რეალური ცოდნა ბუნების შესახებ, მეორეს – გამოარკვიოს ადამიანის დამოკიდებულება ადამიანისავე ცხოვრებასთან, ანუ გამოარკვიოს ზნეობრივი მოძღვრებანი; უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი მასალის შერჩევას, რომელიც ადამიანს შესძენს რეალურ ცოდნას, რადგან უამისოდ ადამიანი ბუნებაში დაიკარგება“ (2, 18);

ადამიანი, შ. ჩიტაძის აზრით, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოველია, მისთვის უფრო მეტად საჭიროა ცოდნა ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა ვითარებისა, ვიდრე დედამიწის მიზიდულობის კანონისა. ზნეობრივი მოძღვრებანი შედეგია ადამიანთა ცხოვრების დაკვირვებისა და მისი შეგნებისა. წიგნმა უნდა წარუდგინოს მოზარდს საკმაო მასალა ამოღებული ადამიანთა ცხოვრებიდან. წიგნმა უნდა შეაყვაროს ადამიანს ცხოვრება მისი ცუდი მხარეებითაც კი, მაგრამ იმდენი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მშვენიერით დაფაროს ბნელი მხარეები. წიგნმა უნდა აგრძნობინოს მოზარდს სიმშვენიერე სამყაროსი. წიგნში დახატული ცხოვრების ბნელი მხარეები ვერ შეაშინებენ მოზარდს და არ დააშვებინებენ ხელებს, არ შეუკვეცავენ ფრთებს, რომ ცხოვრება შექმნას უფრო მშვენიერი არა მარტო თავისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. წიგნიდან მიღებული რეალური ცოდნით, მოზარდი არ მიეცემა სასოწარკვეთას.

იმავე პერიოდში გამოქვეყნებულ წერილში (4) შ. ჩიტაძე მსჯელობს სწავლებაში და წიგნის კითხვაში ინტერესის შესახებ. მისი აზრით, სწავლაშიც და წიგნის კითხვაშიც მოსწავლის ინტერესი უნდა აღძრას და განავითაროს პედაგოგმა. წერილში შ. ჩიტაძ პირდაპირ მიუთითებს: „ახლანდელი სკოლის მასწავლებელი ჯალათია, რომელიც სტანჯავს და აწვალებს ნორჩ სიცოცხლეს, რომელიც ჩაბარებული ჰყავს გულუბრყვილო მშობლებისაგან. მასწავლებელში ჩახშულია ყოველგვარი ადამიანური გრძნობა, იგი მანქანაა, რომელიც გულცივად ასრულებს საშინელ საქმეს – ბავშვის დასახიჩრებას. ასეთ პირობებში ბავშვის სულში ჩამქრალია სურვილი ცოდნის შეძენისა. სწავლა საინტერესოა მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს ბავშვის ბუნებრივ წყურვილს, როდესაც იგი შეგვძენს ახალ ფაქტებს.

შ. ჩიტაძის აზრით, ფსიქოლოგიურად საინტერესო ისეთი წიგნია, რომელიც აფართოებს, ანვითარებს წინადყოფილ ცხოვრებას, რაც მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის სულის შინაარსს; საინტერესოა ის, რაც თავის შესვლით, შეღწევით სულში იწვევს ახალ კომბინაციებს და ქსოვს ფერად ქსოვილს სულიერ ცხოვრებისას. სკოლა მაშინ არის ნაყოფიერი და სწავლა საინტერესო, როდესაც იგი არ დაშორდება ცხოვრებას.

შ. ჩიტაძე პედაგოგიური ტაქტითა და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით ერთიმეორეს უკავშირებს სისტემატურ სწავლებასა და კითხვის სისტემატურობის პრობლემებს. მისი აზრით, ნაადრევი სისტემატური კითხვა, ანუ შერჩევა მისი ასაკისათვის

შეუფერებელი წიგნებისა, ბავშვის გონებას ამახინჯებს, ღლის და სწავლებაზე გულს უცრუებს. „ბავშვი უნდა დატკბეს, თავისუფალი, ბავშვური თამაშობებით. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა“ (1,8); სისტემატური კითხვის პროცესში ბავშვს უვითარდება ყურადღებისა და დაკვირვების ნიჭი, ეჩვევა წაკითხულის თანმიმდევრობით გადმოცემას. აღმზრდელმა, ბიბლიოთეკარმა უნდა ისარგებლოს ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილებით; სკოლას ნაკლებად აქვს საშუალება შეისწავლოს თითოეული ბავშვის ხასიათი, თვისებები, გემოვნება და ამის შესაბამისად მიაწოდოს საგაკვეთილო მასალა, ან შეურჩიოს შესაბამისი შინაარსის წიგნი, მასწავლებელი ასწავლის მთელ კლასს, უკვირდება ბავშვის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას; ბავშვების უმეტესობა გახარებულია მაშინ, როდესაც სწავლა გაასრულა და წიგნს აღარ კითხულობს; ამ მოვალეობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ წიგნის კითხვა უნდა გაგრძელდეს ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობით. მოსწავლეს ცოდნის შესაძენად განსაზღვრული დრო გააჩნია. დაამთავრა რა სკოლა, იგი თავისუფალია ე. წ. სავალდებულო კითხვისაგან. მოსწავლეთა ერთი ნაწილი, სიმწიფის ატესტატის აღების შემდეგ, უფრო მეტად და სისტემატურად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას. ეს ინტერესი მას სკოლიდან მოსდევს. მოსწავლე ახლა სხვა გარემოშია, იგი თავისუფალია წიგნების არჩევაში და პირდაპირ მინდობილია ბიბლიოთეკარის თუ მშობლის ნება–სურვილზე.

შ. ჩიტაძის შეხედულებები წიგნისა და სისტემატური კითხვის შესახებ თავისი აქტუალობით ჭეშმარიტად ეხმაურება დღევანდელ ვითარებას; თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ერთობ ძნელია მოზარდი და საერთოდ ადამიანი დაკავებული იქნეს სისტემატური კითხვით. წიგნისადმი ინტერესის გაღრმავება უმცროსი სასკოლო ასაკიდან იწყება და იგი ეფექტურია მაშინ, როდესაც ეს ინტერესი არ ქრება უფროსი სასკოლო ასაკის პირობებშიც. სისტემატური კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია ოჯახის, პედაგოგის და ბიბლიოთეკარის ტაქტიანი, ფსიქოლოგიურად გააზრებული ერთიანობა. იგი დაფუძნებული უნდა იყოს ბავშვის ინტერესსა და მიდრეკილებაზე, მის ხასიათსა და ზნეობრივ მონაცემებზე.

შ. ჩიტაძის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები წიგნის კითხვისა და სწავლებაში სისტემატურობის პრინციპების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. შ. ჩიტაძის პედაგოგიური შეხედულებები თავისთავად პროგრესული და აქტიური იყო გასული საუკუნის დასაწყისისათვის. იგი, როგორც მებრძოლი პედაგოგი, დაუფარავად იბრძოდა დედა ენაზე სწავლების დაფუძნებისათვის. მისი შეხედულებები წიგნის შერჩევის შესახებ აშკარად მეტყველებს ავტორის ღრმა ფსიქოლოგიურ განსწავლულობასა და პედაგოგიურ შეხედულებებში ნამდვილი ქართული აზროვნების დამკვიდრების მცდელობას.

ლიტერატურა:

1. ფსიქოლოგიური წერილები; სულის ცხოვრება //პედაგოგიური ფურცელი.–1905, №5;
2. პედაგოგიური ფურცელი.–1905, №2–3;
3. პედაგოგიური ფურცელი.–1905, №4;
4. ინტერესი სწავლებაში //პედაგოგიური ფურცელი.–1905, №3;

მეცნიერი ბიბლიოთეკაში

ნუნუ ჭელელიძე
მზია ტოგონიძე

მეცნიერი, მკვლევარი

ქალბატონებს ასაკს არ ეკითხებიანო, ქალი იმდენი წლისაა, რამდენადაც გამოიყურება. ასეთი ქალბატონების რიცხვს მიეკუთვნება ამერიკის საინფორმაციო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ეთნო–ლინგვისტი პროფესორი გრეტა ჩანტლაძე–ბაქრაძისა. მას წელს 70 წელი შეუსრულდა.

ქ–ნი გრეტა მთავარ ბიბლიოთეკაში გავიცანით, სადაც ის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ერთ–ერთი აქტიური წევრია. გავიცანით და მაშინვე სიმპათიით განვიმსჭვალეთ მის მიმართ. ის ენერგიული, გულისხმიერი, დაუზარელი ადამიანი აღმოჩნდა. არასდროს ამბობს უარს დახმარებაზე და ამას ყოველთვის უანგაროდ აკეთებს. აღმოჩნდა, რომ ქ–ნი გრეტა მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველი სკოლის წლებიდან ყოფილა. რკინიგზის №7 საშუალო სკოლა, სადაც პატარა გრეტა სწავლობდა, მთავარი ბიბლიოთეკის (მაშინ ალ. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა) სიახლოვეს იყო და ამიტომ გრეტა მას თითქმის ყოველდღე სტუმრობდა. დღეს კი ჩვენი იუბილარი აქტიურად თანამშრომლობს ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკასთან, როგორც ლიტერატურული სალონის წევრი. ის ქალბატონ ცისანა ქოჩეჩაშვილთან ერთად მთავარი ბიბლიოთეკის მრავალი საინტერესო ღონისძიების მონაწილეა.

2013 წ. 25 ოქტომბერს ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა დიდი მეჭურჭლეთუხუცესის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ქ–ნ ცისანასთან ერთად ქ–ნი გრეტაც უძღვებოდა, სწორედ ამ საღამოზე მოვიხიბლეთ მისი მჭერმეტყველებით, ერუდიციით, არტისტიზმითა და შესანიშნავი ვოკალური მონაცემებით. ქ–ნმა გრეტამ უსინათლოთა საზოგადოების მომღერალთა გუნდთან და ანსამბლ „ერწანისთან“ ერთად რამდენიმე სიმღერა შეასრულა. (ამ ღონისძიებაზე დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. ჟურნალში „საქართველოს ბიბლიოთეკა“ №4, 2013) ამ საღამოს შემდეგ ჩვენი ნაცნობობა თანდათან მეგო-

ბრობაში გადაიზარდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან და ჩვენი დაინტერესებიდან გამომდინარე ბასკურ–იბერიული ურთიერთობების მიმართ, გადავწყვიტეთ, ქ–ნი გრეტა მოგვეწვია 42–ე ბიბლიოთეკაში, როგორც პირველი ბასკოლოგი, და მოგვესმინა მისი ლექცია ორი იბერიის – კავკასიისა და პირენეს იბერიელების საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზის შესახებ.

აღნიშნული თემით ქ–ნი გრეტა ჯერ კიდევ თსუ–

ში სწავლის პერიოდში დაინტერესდა, როდესაც მოისმინა აკად. არნოლდ ჩიქობავას ლექცია ბასკთა და კავკასიელთა სავარაუდო ნათესაობაზე. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, შეესწავლა ბასკეთი, ბასკური ენა და ასეც მოიქცა, ის გახდა ბასკური ენის პირველი სპეციალისტი კავკასიაში. ეს იყო მძიმე და ხანგრძლივი შრომის შედეგი. ქ–ნი გრეტა მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს – აკადემიკოსებს ქეთევან ლომთათიძეს, თინათინ შარაშენიძეს, შოთა ძიძიგურს, პროფესორ ნათელა ქუთელიას და სხვებს, რომელთა მორალური მხარდაჭერითაც შეძლო სანუკვარი მიზნის მიღწევა. ის ახალგაზრდა ქალი – ორი მცირეწლოვანი ვაჟის დედა, არც სწავლას ღალატობდა და არც საოჯახო საქმესა თუ შვილების აღზრდას.

1986 წ. ქალბატონმა გრეტამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ბასკურ–ქართველური ლექსიკის დიალექტურ–ეტიმოლოგიური ანალიზი"; ხოლო 2004 წ. რუსეთის ფართო სამეცნიერო აუდიტორიას წარუდგინა სადოქტორო ნაშრომი – „ბასკურ–ქართველური ეთნო–ლინგვისტური პარალელების ტიპოლოგიური ანალიზი". ამის გარდა მას სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 120–მდე ნაშრომი და მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმსა თუ კონფერენციაში.

42–ე ბიბლიოთეკის მკითხველებისთვის ლექციის წასაკითხად ქ–ნი გრეტა ხელცარიელი არ მოსულა. მან მოიტანა თვალსაჩინო მასალა – სამფეროვანი ბასკური დროშა და ბასკურ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი თოჯინები. ლექცია, რომელიც პირენესა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობებს განიხილავდა ეთნო–ლინგისტურ ასპექტში, მეტად საინტერესო აღმოჩნდა არამარტო ბიბლიოთეკის მკითხველებისთვის, არამედ მოწველუი სტუმრებისთვისაც. ლექციის დასრულების შემდეგ ქ–ნ გრეტამ უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს და ისაუბრა ბასკური სამფეროვანი დროშის შესახებ, სადაც თეთრი ფერი წმ. გიორგის სახელთან ასოცირდება, წითელი სისხლის სიმბოლოა, ხოლო მათ ფონზე მწვანე ჯვარი ანდრია პირველწოდებულთანაა დაკავშირებული. ქართველებსა და ბასკებს საერთო წმინდანი – ანდრია პირველწოდებული ჰყოლიათ, რომელმაც პირველ საუკუნეში იქადაგა ქრისტიანობა „ქვეყანასა დიდსა აჭარასა" და თარანგელოს მთაზე, გადმოცემის თანახმად, ეკლესია ააშენა. როგორც ქ–ნ გრეტამ მოგვახსენა, ტოპონიმი – თარანგელო – მომდინარეობს კომპოზიტისაგან – მთავარანგელოზი. საქართველოდან ანდრია პირველწოდებული გაემგზავრა ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ბასკები სახლობდნენ და მათ დედაქალაქ გერნიკაში მუხის ნერგი დარგო, რომელიც დღემდე ბასკეთის სიმბოლოა. ამ მუხის ქვეშ ბასკების უხუცესთა საბჭო წყვეტდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებს. აქვე პარალელი გაივლო ქართველთა ხევისბერთა თავყრილობებთან.

დამსწრე საზოგადოება დაინტერესდა ბიბლიოთეკაში მოწყობილი გამოფენითაც, რომელიც ორი იბერიის ნათესაური კავშირების შესახებ არსებულ ჰიპოთეზებსა თუ მოსაზრებებს აცნობდა მათ.

ქალბატონმა გრეტამ თავისი მოსაზრებები და დასკვნები ქართულ–ბასკურ ურთიერთობებზე არაერთხელ გამოაქვეყნა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. მის სტატიებს კითხულობენ ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესპანურ, ფრანგულ, პოლონურ და ბასკურ ენებზე. დავასახელებთ რამდენიმე ნაშრომს.

1. ქართულ–ბასკური ჰერალდიკის შედარება–შეპირისპირების საკითხისათვის. // ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. — თბ. 1998.

2. Этно-экологические мотивы в легендах

Пиринейских и Кавказских Иберов. IV конгресс РАН (этнологов и антропологов). Нальчик, 2001 г. – სტატია დაიბეჭდა კონგრესის მასალების კრებულში, გვ. 200.

3. О системе семьи Пиренейских Иберов (басков) и сравнительно-типолонический анализ некоторых терминов родства на фоне Кавказского материала. - международная конфеоенция в рамках конвенции юнеско. – о сохранении нематериального культурного наследия – Ереван – Агверан, 2007 კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 314–318.

4. ნფლისის დელ ლეხიცო დიალეცტალ ვასცო ბაჯო ლა ოპტიცა დე ლა ლინგუისტიცა კარტველიცა, ამპლონა (სპანა), — დაბეჭდილია კრებულში „ონტეს ლინგუეს ვასცონუმ“, 1977 წ. გვ. 43–49 (დებეჭდილია ცალკე ბროშურის სახით).

5. ლ ვასცო ცოცორ გარდანტა ყ ტერმინუს ვეგეტალეს ენ ვასცო ყ გეორგიანო ილბაო (სპანა) დაბეჭდილია კრებულში, („უსკერა“) ტ. XXII, 1977, გვ. 199–204 (დაბეჭდილია ცალკე ბროშურადაც).

6. ამერიკისა და ევროპის ბასკთა ურთიერთმიმართებისათვის დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში (ქართველური ეთნო–ლინგვისტური მასალის გათვალისწინებით), თსუ, ამერიკის შემსწავლელი ცენტრის კრებული №5, 2003 წ. გვ. 25–32.

7. ერთი ალომორფული ლექსების დიალექტურ–ეტიმოლოგიური ანალიზი ბასკურსა და ქართველურ ენებში. ქართველური მემკვიდრეობა: ტ. VIII, 2004 წ. — გვ. 30–83.

8. ცენტრალურ ბასკეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ანალიზისათვის: (ბასკთა და კავკასიელთა ურთიერთმიმართების ფონზე) — მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისათვისადმი მიძღვნილი კრებული, 2002, გვ. 87.

9. ზოგიერთი მეტალის სახელდებისათვის ბასკურსა და ქართველურ ენობრივ სივრცეში (დიალექტურ–ეტიმოლოგიური ანალიზი). //დიალექტოლოგთა XXIII რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, 2003, გვ. 70.

10. ზოგიერთი ბასკური ლექსების დიალექტურ–ეტიმოლოგიური ანალიზი კავკასიური ენების მასალის გათვალისწინებით (ესპანურ ენაზე), ჟურნალი „ივერია“: ტ. IV-V; 2000 წ, — გვ. 89 და სხვა.

დიდი საქმეები სიყვარულითა და ენთუზიაზმით კეთდება. ასეა ქალბატონი გრეტაც. ის დღესაც არ იშურებს ძალასა და ენერგიას, არ ამბობს უარს არაფერზე, რაც მის ზრუნვასა და მხარდაჭერას მოითხოვს.

იგი, მიუხედავად ცხორვრებაში გადატანილი მრავალი ჭირ–ვარამისა, სიცოცხლისა და სილამაზის ტრფიალად რჩება. უყვარს მეგობრები და მათთან ერთად ბუნებაში გასვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებს; უყვარს მუსიკა და თვიონაც შესანიშნავად მღერის და უკრავს, ამასთან ერთად, ის მზრუნველი და მოსიყვარულე დედა და ბებიაა, ყურადღებიანი მეგობარი და ახლობელი. მეგობრებიც სიყვარულსა და სითბოს არ აკლებენ მას. მისმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა, ესპანეთში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელმა ქალმა ლალი კიკნაძემ ქალბატონ გრეტას ლექსი მიუძღვნა. გვინდა მხოლოდ ერთი სტროფი მოვიყვანოთ ამ ლექსიდან.

ისე, როგორც ბერძნულ ანბანს
აკავშირებს ალფა–ბეტა,
მეცნიერულ კავშირს აბამს
თვით ბასკებთან ჩვენი გრეტა.

იუბილარ ქალბატონს 42–ე ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივის სახელით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს.

ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული ძიებანი

მაია მიქაბერიძე

დავით ჩუბინაშვილის თხზულებათა ადრინდელი გამოცემები

დავით ჩუბინაშვილმა თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა, თუმცა მოღვაწეობის მიმართულებითა და მასშტაბით იგი, უპირველესად, ქართული კულტურის მკვლევარი და პოპულარიზატორია. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა მთარგმნელად საიმპერატორო კანცელარიასთან არსებულ ამიერკავკასიის მხარის საქმეთა დროებით განყოფილებაში, ასევე მთარგმნელობით დახმარებას უწევდა პეტერბურგში მცხოვრებ საქართველოს ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებს. წლების განმავლობაში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებელიც.

მრავალმხრივია დ. ჩუბინაშვილის ინტერესთა სფერო. იგი არის ერთდროულად ლექსიკოგრაფიც, ისტორიკოსიც, ენათმეცნიერიც, ლიტერატორიც. მას ეკუთვნის საქართველოს შესახებ მრავალი სტატია, რომელიც დაიბეჭდა როგორც რუსეთის ჟურნალებში, ასევე ენციკლოპედიურ ლექსიკონებში. გარდა სტატიებისა, დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა რამდენიმე წიგნი; გვსურს მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გავაც-



ნოთ ჩვენს მკითხველს.

პირველი დამოუკიდებელი გამოცემა არის „ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი“ რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა 1840 წელს. დ. ჩუბინაშვილის დაინტერესება ლექსიკოლოგიით შემთხვევითი არაა. მისი გამზრდელი ბიძა, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, იყო პროფესიონალი ლექსიკოგრაფი. მას გამოცემული აქვს ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ და რუსულ-ქართული ლექსიკონები. დავითი გიმნაზიის დამთავრებისთანავე, საკუთარ ბიძის დახმარებით, რომელიც იმ პერიოდში სააზიო დეპარტამენტში მუშაობდა მთარგმნელად, რუსულად თარგმნიდა ქართულ იურიდიულ დოკუმენტებს. მუშაობის პროცესი თავისთავად მოითხოვდა მრავალი ტერმინის გააზრებას და მათი ანალოგების მოძიებას რუსული ენის წიაღში. დ. ჩუბინაშვილმა, ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო მომავალი ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის მასალების შეგროვება. პარალელურად ინტენსიურად ეუფლებოდა ლათინურ ენას.

1835 წელს დ. ჩუბინაშვილი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი და ამის შემდეგ ლექსიკოლოგიური მუშაობა კიდევ უფრო დიდი შემართებით გააგრძელა. იგი ჯერ კიდევ მე-3 კურსის სტუდენტი იყო, რომ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა საკუთარი ნაშრომი „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“. ეს იყო დიდი გაბედული და საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რადგან მანამდე ამ ტიპის ლექსიკოლოგიური ნაშრომი, ფაქტობრივად, ძალიან ცოტა იყო, ხოლო თვით დ. ჩუბინაშვილის გამოცდილება - მეტად მწირი. ამ პერიოდში პეტერბურგში მოღვაწეობდა ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე. სწორედ მას დაევალა დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონზე რეცენზიის დაწერა. ეს იყო პირველი დავალება რუსეთში ჩამოსული ფრანგი სწავლულისათვის. მან მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ლექსიკონის სტრუქტურაში. მისი რჩევით დ. ჩუბინაშვილმა ლათინურის ნაცვლად ჩასვა ფრანგული ენა და სწორედ ამ ლექსიკონის ფრანგული ნაწილის რედაქტორობა იკისრა თვით მ. ბროსემ.

„ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი“ 728 გვერდიანია და, გარდა საკუთრივ ლექსიკონისა, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მარი ბროსეს წინასიტყვაობა (რუს. და ფრანგ. ენებზე), მოკლე ქართული გრამატიკა (რუს. და ფრანგ. ენებზე), ქართული სიტყვების ფუძეები (რუს. და ფრანგ. ენებზე). ეს ლექსიკონი მნიშ-




ქართული ქრესტომათია

ან

გამოკრებილი ადგილები ქართულს წერილთაგან

დავით ჩუბინაშვილის მიერ.

ГРУЗИНСКАЯ ХРЕСТОМАТІЯ,

СОСТАВЛЕННАЯ

Д. Чубиновымъ.

ЧАСТЬ ПЕРВАЯ.

ПРОЗА.

САНКТПЕТЕРБУРГЪ.

въ типографіи Императорской Академіи Наукъ.

1846.

ვნელოვანი შენაძენი იყო ქართულ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში. მან „ქართული ენა ევროპულ მეცნიერთა კვლევის ორბიტაში მოაქცია და ხელი შეუწყო მშობლიური ლიტერატურის განვითარებას" - წერს დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობის მკვლევარი კ. კინწურაშვილი. დ. ჩუბინაშვილის პირველმა ნაშრომმა, ქართულ-რუსულ-ფრანგულმა ლექსიკონმა, იმდენად დიდი მოწონება დაიმახურა, რომ იგი წარადგინეს დემიდოვის პრემიის საძიებელ კონკურსში. ამ კონკურსში მან 34 ნაშრომს შორის გაიმარჯვა. ახალგაზრდა ლექსიკოგრაფს მაშინვე შესთავაზეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლის ადგილი.

ლექსიკოლოგიური მუშაობა დ. ჩუბინაშვილმა მომდევნო წლებშიც გააგრძელა და გამოსცა ოთხი ლექსიკონი: Русско-грузинский словарь (1846 , 1886 და 1901 წლებში) და ქართულ-რუსული ლექსიკონი, (1887 წელს). ყოველი ახალი გამოცემა იხვეწებოდა და ივსებოდა ახალი მასალით, როგორც ქართული ხალხური მეტყველების ნიმუშებით, ასევე უცხო ენიდან შემოსული ახალი ტერმინებით.

დ. ჩუბინაშვილი ლექსიკონების შედგენის პარალელურად ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე მუშაობდა. მოკლე ქართული გრამატიკა თან ერთვის, მაგალითად, 1840 წელს გამოცემულ სამენოვან ლექსიკონს. ეს პრაქტიკა მან შემდეგაც გააგრძელა და თითქმის ყველა გამოცემას დაურთო გრამატიკული ნაწილი, როგორც ქართული, ასევე რუსული გრამატიკაც. 1847 წელს კი მეცნიერმა დამოუკიდებელი წიგნების სახით გამოსცა "Русская грамматика на грузинском языке в пользу грузин, желяющих изучить русский язык", ხოლო 1855 წელს - "Краткая грузинская грамматика".

დ. ჩუბინაშვილმა საენათმეცნიერო მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურა, კავკასიის სასწავლო ოლქის დავალებით დაიწყო გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოების შედგენა. მეცნიერი დიდი გულმოდგინებით შეუდგა ამ საქმეს, რადგან გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას. დ. ჩუბინაშვილის შედგენილი ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნა სასწავლო


КРАТКАЯ

ГРУЗИНСКАЯ ГРАММАТИКА,

Д. Чубиновъ.

САНКТПЕТЕРБУРГЪ.

Печатано въ типографіи Императорской Академіи Наукъ.

1855.

სახელმძღვანელოების შემდგენ კომიტეტს, რომლის ქართული განყოფილების გამგე იყო დიმიტრი ყიფიანი. წარმოდგენილმა ნაშრომმა დიდი მეცნიერული დავა გამოიწვია დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი გრამატიკული მოსაზრების გამო. მაგალითად, დ. ყიფიანისა და სხვებისთვისაც მიუღებელი იყო, რომ დ. ჩუბინაშვილმა ბრუნვათა რიგიდან საერთოდ ამოიღო მოთხრობითი ბრუნვა. ამ და სხვა მიზეზების გამო, კომიტეტი არ იძლეოდა სახელმძღვანელოს დაბეჭდვის ნებას. ხანგრძლივი დავის შემდეგ დ. ჩუბინაშვილი დაეთანხმა თავისი ოპონენტების შენიშვნებს და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა გრამატიკის სახელმძღვანელოში. 1887 წელს გამოცემულ ქართულ-რუსულ ლექსიკონთან ერთად დაბეჭდილ ქართულ გრამატიკაში სწორედ ეს ცვლილებებია ასახული.

დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ქართულ გრამატიკას, მიუხედავად ზოგიერთი სადავო საკითხისა, იმ პერიოდისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით.

დ. ჩუბინაშვილის დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო ქართული ენის, არამედ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეშიც. მან შეადგინა და ორჯერ, 1846 და 1863 წლებში, გამოსცა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ამიერკავკასიის მხარის სტუდენტებისათვის - "ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ". ამ გამოცემებში შევიდა, როგორც ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, ასევე ქართული სამართლის ძეგლები, სიგელ-გუჯრები და სხვა სახის დოკუმენტები. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიები მომზადდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს დავალებით და დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. ათეული წლების განმავლობაში ეს ქრესტომათია შეჰქონდათ საუნივერსიტეტო პროგრამაში, როგორც სტუდენტებისათვის სავალდებულო წიგნი. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში შესულ ნაწარმოებებს თან ახლავს შემდგენლის მეცნიერული კომენტარები და შენიშვნები.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს. გარდა იმისა, რომ მან სამეცნიერო ნაშრომები დაწერა „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, დიდი შრომა გასწია ამ ნაწარმოების გამოსაცემად. 1841 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა რუსულად თარგმნილი რუსთაველის პოემა – „ვეფხვის ტყაოსანი = რუსულად Барсова кожа : პოემა დაწერილი შოთთა რუსთაველის მიერ ; ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა; მ. ბროსეს წინასიტყვაობით. ეს იყო „ვეფხისტყაოსანის" მეორე ბეჭდური გამოცემა 1712 წლის გამოცემის შემდეგ. იგი 1200 ტირაჟით დაიბეჭდა და მიეძღვნა ქართველ მეცნიერს, თეიმურაზ ბაგრატიონს. გამოცემას ახლავს დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი მცირე ლექსიკონი. „ვეფხისტყაოსანი" დ. ჩუბინაშვილმა მეორედ 1860 წელს გამოსცა. ორივე ეს გამოცემა, მკვლევართა საერთო აზრით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსთველოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. დ. ჩუბინაშვილი კრიტიკულად მიუდგა ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს და, შესაბამისად, აქტუალური გახადა პოემის შედგენილობის დადგენის საკითხი. ამავე დროს, მან შესაძლებელი გახადა, რომ რუსთაველის პოემას გაცნობოდა რუსეთის საზოგადოება.

დ. ჩუბინაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევასა და ქართული ისტორიული წერილობითი ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნას. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის გაცნობისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოს გარემომცველი ქვეყნების ისტორიის სრულყოფილი კვლევა. ამ თვალაზრისით საყურადღებოა გამოცემა „ქართლის ცხოვრება დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუნემდის", რომელიც ორ ნაწილად დაიბეჭდა პეტერბურში 1849 და 1854 წლებში. პირველი ნაწილი გამოსცა მარი ბროსემ, ხოლო მეორე ნაწილი -„ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე" - დ. ჩუბიაშვილმა. მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა რუსულ და ფრანგულ ენებზე.

საინტერესოა დ. ჩუბინაშვილის გამოკვლევა "ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა", რომელიც ჯერ ჟურნალ "ივერიაში" გამოქვეყნდა 1877 წელს, შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. მასში მკვლევარი იძლევა თავის დაკვირვებებს საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ხალხთა ურთიერთობების შესახებ.

დ. ჩუბინაშვილის ყოველი ახალი წამოწყება ემსახურებოდა ქართული კულტურის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საპატიო საქმეს. ამიტომ არის მისი ინტელექტუალური მემკვიდრეობა მეტად ღირებული საქართველოსათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:
კ. კინწურაშვილი. პეტერბურგელი ქართველოლოგები. — თბ., 1886.
ი. მეგრელიძე. დ. ჩუბინაშვილი // მაცნე, 1966, 5 — გვ. 108-110

წმიდა ქეთევან დედოფალი ქართულ წყაროებში

გასულ წელს შესრულდა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან 390 წელი. მიმდინარე 2015 წელს შესრულდა 440 წელი მისი დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალის რედაქცია აქვეყნებს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური მასალების ბიბლიოგრაფიის ერთ ნაწილს. რედაქციას მიაჩნია, რომ ქართველი წამებული დედოფლის ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროები უნდა შეიკრიბოს, დამუშავდეს და გამოიცეს პერსონალური ბიბლიოგრაფიის სახით.

წიგნები:

1. ბაგრატიონი, დიმიტრი – წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა, ლექსად თქმული სანკტპეტერბუღს.–სპბ,1819.–25 გვ.;
2. ბაგრატიონი, დიმიტრი – წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა.–ტფ.1876.–16 გვ.;
3. წმ. დიდი მოწამე კახეთის დედოფალი ქეთევანი.–ქუთაისი, 1894.–8 გვ.;
4. ბაგრატიონი, დიმიტრი – წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა თქმული თავადის დიმიტრი ბაგრატიონის მიერ.–მე–3 გამოც.–ტფ.,1895.–15 გვ.;
5. ასათიანი, ლ. – ძველი საქართველოს პოეტი ქალები.–თბ.,1936.–286 გვ.;
6. ავალიშვილი, ზ. – თეიმურაზ I და მისი პოემა.–თბ.,1938.–160 გვ.;
7. დგებუაძე – ფულარია – მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში.–სოხუმი,1957.–204 გვ.;
8. ქორიძე, დავით – ქართველი ქალები.–თბ.,1976.–242 გვ.;
9. ასათიანი, ლ. – რჩეული ნაწერები.–ტ.1.–თბ.,1958;
10. კარბელაშვილი, გ. – მგზნებარებით ჩაფერფლილი გულები: [რომანი].–თბ.,1976;
11. თავდადებული მამულიშვილები. – თბ.,1991.–80 გვ.;
12. გაწერელია, აკაკი: – რჩეული ნაწერები, ტ.1.–თბ.,1962.–642 გვ.;
13. ნიჟარაძე, მარინე – ქართველთა დიდმოწამე წმინდა ქეთევან დედოფალი. მონოგრაფია.–თბ.,2010.–290 გვ.;
14. ჯაფარიძე, ანანია – ქართული ეკლესია მე–17 საუკუნეში.–თ.,1996;
15. თეზელაშვილი, ბ. – სიკვდილით დასჯილი გამოჩენილი ადამიანები.–თბ.,1997.–128 გვ.;
16. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდები: საკითხავი ყმაწვილთათვის, №16.–თბ.,2008.–346 გვ.;
17. გულბეკიანი, რ. – ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ: თარგმნ. ფრანგულიდან.–თბ.,1987;
18. მექვაბიშვილი, ა. – სამშობლოსაგან თავგანწირულნი.–თბ.,1927.–210 გვ.;
19. ზოზრაშვილი, ტ. – დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები.–თბ.,2008.–332 გვ.;
20. ბეთხოშვილი, დ. – „წამებული დედაი ქართველთაი“ .–თბ.,2002.–48 გვ.;
21. ტაბაღუა, ი. – ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ.–თბ.,1974;
22. ტარყაშვილი, მ. – საქართველოს მეფე წმინდანები.–თბ.,2005;
23. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები: წ. 5, თბ, 1989. - გვ. 5-32
24. პარაკლისი სავედრებელი წმინდისსა დიდმოწამისა საქართველოს მნათობისა კახეთის დედოფლისა ქეთევანისა. – რუსთავი, – 1999.–53გვ.;
25. ძინძიბაძე, სულიკო – ქეთევან წამებული.–თბ.,2002.–30გვ.;
26. ჭოლიკაური, შალვა – წმინდა მოწამე დედოფალი საქართველოსი ქეთევანი: წ.1.–თბ.,2004.–150გვ.;
27. ანთელავა, ლ. – დედოფალი ქეთევანი.–თბ.,2008.–126გვ.;
28. წმინდა ქეთევან დედოფალი.–თბ.,2013.–125გვ.;
29. გუგუშვილი, მ. – წერილები ლიტერატურაზე.–თბ.,1990.–355გვ.;
30. წოწინავა, თ. – საბავშვო ისტორია.–ქუთაისი,1994.–წ.2.–116გვ.;
31. თაყვანსაცემი მანდილოსნები, – თბ.,2009.–192 გვ.;
32. სვანიძე, ჯ. – ცოტა რამ ქართველი ხალხის ისტორიიდან.–თბ.,2008.–123 გვ.;
33. შუბითიძე, ვ. – ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი.–თბ.,2008.–628 გვ.;
34. ბერძენიშვილი, მ. – დავით აღმაშენებელი, დიდგორი, ქეთევან წამებული [ალბომი].–თბ.,2009.–56 გვ.;
35. საქართველოს თავადაზნაურობა.– [ალბომი].–ტ.2.–თბ.,2010.–528 გვ.;
36. ცინცაბაძე, მ. – ქართველთა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი: მონოგრაფია.–თბ.,2009.–291 გვ.;
37. სანიკიძე, ლ. – წიგნი მოწამეთა.–თბ.,1988.–221 გვ.;

38. წიგნი მოწამეთა.–თბ.,1991.–598 გვ.;
39. ბატონიშვილი, ი. – ხუმარსწავლა: კალმასობა.–4 წიგნად: წ.1.–თბ.,1990.–640 გვ.;
40. საბინინი, გ. – საქართველოს სამოთხე.–სპბ,1882.–640 გვ.;
41. ქარჩავა, ს. – ჯვარცმული კომანი.–თბ.,2000.–80 გვ.;
42. იოსელიანი, გ. – ქართველი წმინდანები.–თბ.,1991.–264 გვ.;
43. ქართველ წმინდათა ცხოვრებანი.–თბ.,2006.–272 გვ.;
44. ქართული წმინდანების დღეები: წ.1.–1914.–285 გვ.;
45. ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.–თბ.,2010.–160 გვ.;
46. სვანიძე, ჯ. – ეპიზოდები ქართველი ხალხის ცხოვრებიდან.–თბ.,2005.–96 გვ.;
47. გაბესკირია, ვ. – ქეთევან წამებული: დრამატული პოემა.–ბათუმი,1946.–59 გვ.;
48. დოლიძე, ზ. – ქეთევან წამებული: კოლექცია ბავშვებისათვის.–თბ.,2012.–47 გვ.;
49. დიდი ქართველის ცხოვრება.–თბ.,2013.–420 გვ.;
50. ფერაძე, გ. – თეოლოგია, ფილოლოგია, ქართველოლოგია.–თბ.,2005.–20 გვ.

სტატიები:

1. ბატონიშვილი, თეიმურაზ – მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა, კახტა დედოფლისა//ცისკარი.–1862.–№4.–გვ.325–339; №5.–გვ.9–21;
2. ი. ს. ეკლესია ალავერდისა და წმიდა მოწამე დედოფალ ქეთევან//საქ. სასულიერო მახარობელი.–1865.–იანვ.–გვ.177–187;
3. სავანელი, ალ. ცხოვრება ქეთევან დედოფლისა//ცისკარი.–1957.– №12.–გვ.35–47;
4. ბაგრატიონი, დიმიტრი – ,,წამება ქეთევან დედოფლისა“: პოემა//ცისკარი.–1853.– №2.–გვ1–21;
5. ორბელიანი, სულხან–საბა – ქეთევან დედოფლის წამება საბა ორბელიანის თქმული [ლექსი]//დროება.–1882.– №251.–გვ.1;
6. წმინდა მოწამის ქეთევან დედოფლისაგან ანბანთა ქება [დავით რექტორის შენიშვნით]//დროება.–1882.–№251.–გვ.1;
7. ქეთევან დედოფლის სურათის აღმოჩენა თელავის ტაძარში//დროება.–1879.– №209.–გვ.2–3;
8. უშიკაშვილი, პ. – ქართველი მწერალი ქალები: ქეთევან დედოფალი, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები... //ივერია.–1889.– №63.–გვ.1–2;
9. კარიჭაშვილი, დ. – ქეთევან დედოფალი//საქ. კალენდარი.–1894.–გვ.364–380;
10. კარიჭაშვილი, დ. – ქეთევან დედოფალი: მონოგრაფია//საქ. კალენდარი.–1893.–გვ.410–418;
11. წმ. დიდი მოწამე ქეთევანი კახეთის დედოფალი: (13 სექტემბერი)//მწყემსი.–1894.– №1.–გვ.12–13; სურ.;
12. დედოფალი ქეთევან წამებული [სურათი]//საქ. კალენდარი.–1895.–ალბომის გვ.6;
13. დიდი მოწამე კახეთის დედოფალი ქეთევანი.–ქუთაისი, 1894.–8 გვ.; რეც. კარბელაშვილი, დ.//მოამბე.–1895.– №1.–გვ.83–85;
14. ნინო, თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი [სურათი]//საქ. კალენდარი.–1904.– გვ.253;
15. წმ. ქეთევან დედოფალი [სურათი]//საქ. კალენდარი.–1897.–გვ.4;
16. ჩხიკვაძე, ზ. – ალავერდის ტაძარი და წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი//ივერია.–1893.–11 მარტი.–№51.– გვ.1–3;
17. თეიმურაზ I ქეთევან დედოფლის შვილი, კახეთის მეფე და მისი მეუღლე დარეჯანი [სურათი]//ცნობის ფურცელი: – სურათებიანი დამატება.–1904.– №231.–გვ.2;
18. მირიანაშვილი, პეტრე – ტილოზე მხატვრობა საქართველოში [თამარ მეფის, ქეთევან და შუშანიკ დედოფლების] //ივერია.–1900.–2 დეკ.–№262.–გვ.4;
19. ქართული კლასიკები: [ლექსები]: დავით აღმაშენებლის, ქეთევან დედოფლის [და სხვ.].–სქოლიოში მოხსენებულ პირთა შესახებ განმარტება//მწყემსი.–1885.– №24.–გვ.7–9;
20. ფერაძე, ილია – წმ. დიდი მოწამე ქეთევან კახეთის დედოფალი (საისტორიო ცნობა)//ცნობის ფურცელი.–1898.– №698.–გვ.3–4; №699.–გვ.3–4; №700.–გვ.3; №701.–გვ.3; №702.–გვ.2–3; №703.–გვ.2–3;
21. ჯანაშვილი, მ. – სპარსეთის ქართველები და მათი სამშობლო: ლუარსაბ მეფისა და ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრული//ისარი.–1907.–14 იანვ.–№8.–გვ.2–3;
22. ცინცაბაძე, მ. – განწმენდის გზისაკენ: (ქეთევან დედოფლის ლექსის ანალიზი)//კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა – 2002–2003.– №5–6.– გვ.102–107;
23. ცინცაბაძე, მ. – წმინდა ქეთევან დედოფლის სახის პრობლემატიკა მე–17, მე–18 ს. დასაწყისის ქართული კულტურის შესწავლის კონტექსტში//კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები.– 2003.–№17.–გვ.79–86;
24. უშიკაშვილი, ე. – ,,ქეთევანობა მუხრანში“//ომეგა.–2000.– №12.–გვ.65–67;
25. ცინცაბაძე, მ. – ქეთევან დედოფალი მე–17, მე–18, მე–19 საუკუნის პირველი ნახევრის წყაროებსა და ლიტერატურაში//კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა.–2000.– №3.–გვ.46–52.

ბიბლიოგრაფიული ცნობა შედგენილია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებაში

შურა მეტრეველი
ლამარა ქსოვრელი
შორენა ბერიშვილი

აბონემენტის მუშაობის სპეციფიკა თბილისის №42 საჯარო ბიბლიოთეკაში

„რაც კარგრიობას უაზროვნია,
ის არის მოთავსებული წიგნში“
ოტია იოსელიანი

ბიბლიოთეკა წარმოადგენს წიგნისა და ინფორმაციის ტაძარს, რომელიც სხვადასხვანაირი ფორმებით და მეთოდებით აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის მკითხველთა მომსახურება აბონემენტზე.

აბონემენტი ბიბლიოთეკის ის სტრუქტურული ქვე-

დანაყოფია, რომელიც გასცემს ბეჭდურ პროდუქციას ბიბლიოთეკის გარეთ სარგებლობისათვის. ტერმინი „აბონემენტი“ გულისხმობს განსაზღვრული ვადით რაიმეს სარგებლობის უფლებას, ამ უფლების მფლობელს კი აბონენტი ეწოდება.

ბიბლიოთეკების აბონემენტი სხვადასხვა ტიპისაა: 1. სტაციონარული ანუ ადგილობრივი; 2. ბიბლიოთეკათშორისი; 3. დაუსწრებელი აბონემენტი. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო დანიშნულებით, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ორგანიზაციული სტრუქტურით.

საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სტაციონარული აბონემენტი,. რადგან მისით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო უშუალოდ კონკრეტული ბიბლიოთეკის მკითხველებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც, მახლობლებს და მეგობრებს, რითაც განუსაზღვრელი რაოდენობის პიროვნებები უკავშირდებიან წიგნს.

№42 –ე საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნები იკითხება მათ მიერ, რომელსაც თავად არ წაუღიათ წიგნები, განსაკუთრებით ეს ეხება ახლადგამოსულ მხატვრულ ლიტერატურას.

სტაციონარულ აბონემენტს 4 ძირითადი სახე აქვს: 1. საერთო; 2. ფუნქციონალური; 3. ჯგუფური და 4. დარგობრივი. საერთო აბონემენტი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ერთი ბიბლიოთეკარი თანაბრად ემსახურება ყველა მკითხველს. ამ სახის აბონემენტი ყველაზე მეტად გავრცელებულია პატარა საჯარო ბიბლიოთეკებში, სადაც მკითხველთა დიდი მოზღვავება არ არის.

ფუნქციონალური ეწოდება ისეთ აბონემენტს, სადაც სამუშაო ფუნქციები განაწილებულია რამდენიმე ბიბლიოთეკარს შორის. ისინი პარალელურად მუშაობენ და სხვადასხვა საქმეს ასრულებენ. ფუნქციები ბიბლიოთეკარებს შორის შეიძლება შეიცვალოს. ამ აბონემენტის გამოყენება ხდება მოზრდილ საქალაქო ბიბლიოთეკებში, მათ შორის ჩვენთანაც №42 –ე საქალაქო ბიბლიოთეკაში. აქ ორი აბონემენტი: ერთი – მოზრდილთათვის, მეორე – ბავშვთათვის, და ბიბლიოთეკარებს უხდებათ მომსახურება სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენის და სტატუსის ადამიანებთან, რაც უფრო საინტერესოს ხდის მკითხველთა მომსახურებას.

საბავშვო განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვებთან მუშაობას. მკითხველთა რაოდენობა აქ მიმდინარე წელს შეადგენს – 607–ს, გაცემა – 7682.

სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, რომელიც №42 საქალაქო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს 2012 წლიდან, გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 60% ქალია, 40% ვაჟი, აქედან 45% სკოლის მოსწავლეა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით შეკითხვას: რა სიხშირით დადიხართ ბიბლიოთეკაში?, 51% პასუხობს, რომ დადიან კვირაში ერთხელ, ხოლო 15% ყოველდღე. მათ შორის უმეტესობა ბავშვია. ხოლო კითხვაზე: რა სახის ლიტერატურით სარგებლობენ, პირველ ადგილზე მხატვრული ლიტერატურაა, ხოლო მეორე ადგილზე — საცნობარო (ენციკლოპედიები, ცნობარები, გზამკვლევები), რომელთა ნაკლებობასაც განიცდის ბიბლიოთეკა. მიუხედავად არსებული პრობლემისა, ბიბლიოთეკის ფონდს კარგი შეფასება მისცა გამოკითხულთა 88%–მა, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა პირველ ადგილზეა.

ბიბლიოთეკაში ბავშვთა მოზიდვისა და დაინტერესების მიზნით თანამშრომლები (მარინა სამადაშვილი, ელენე გოგოლაძე, შორენა ბერიშვილი) ატარებენ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს ბავშვთათვის საინტერესო თემებზე: ქართველ მწერალთა ცხოვრება და მოღვაწეობა,

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, ქართველი მეფეები, ქართველი გმირები, საქართველოს მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, მუსიკალური საკრავები, თბილისის მეტროპოლიტენი და სხვ.

გასულ წლებში ინტენსიურად ტარდებოდა მასობრივი



ღონისძიებები. მიმდინარე წლის მაისის თვეში ჩატარდა ხატვის კონკურსი III და IV კლასელთათვის, რომელსაც ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, გლდანი–ნაძალადევის რაიონის ბიბლიოთეკების გამგეები და თანამშრომლები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები: პროფ. ალექსანდრე ლორია და გურამ თაყნიაშვილი. კონკურსის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

მოზრდილთა აბონემენტის მუშაობის სპეციფიკა განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით და აბონემენტი ემსახურება უფროსკლასელებსა და სხვა ყველა კატეგორიის მკითხველებს: სტუდენტებს, საშუალო–სპეციალური განათლების, კულტურის დარგის მოღვაწეებს, პედაგოგებს, მეცნიერ–მუშაკებს და სხვ. აბონემენტის თანამშრომლებს (შურა მეტრეველს, ლამარა ქსოვრელს) ყოველდღიური ინტენსიური კავშირი აქვთ არა მარტო უშუალოდ ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველებთან, არამედ მათი ოჯახის წევრებთან. ბიბლიოთეკის მიკრორაიონში მცხოვრებთა ოჯახების მთელი თაობები აღიზარდა №42 ბიბლიოთეკის ფონდზე. ასეთმა შემთხვევებმა მოგვცა საშუალება საოჯახო აბონემენტის შექმნისა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ზემოაღნიშნული თანამშრომლების ინტენსიური მოქმედება ოჯახებში დაგვიანებული ლიტერატურის დაბრუნებისათვის, რითაც მრავალი პირველმოთხოვნადი წიგნი დაუბრუნდა ბიბლიოთეკას.

დღეისათვის აბონემენტს ჰყავს 500–ზე მეტი მკითხველი. აქედან, უმეტესი ნაწილი სტუდენტია. ბიბლიოთეკას განსაკუთრებული კავშირი აქვს ახლომდებარე გურამ თავართქილაძის სახ. უნივერსიტეტთან და თამარ მეფის სახ. საპატრიარქოს სკოლასთან, რომელთანაც კოორდინაციული მუშაობით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის აბონემენტი თანამშრომლობს მიკრორაიონში მცხოვრებ პატიმართა ოჯახებთან, რომლებიც სარგებლობენ ბიბლიოთეკის ლიტერატურით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება აბონემენტის წიგნებისადმი.

მიკრორაიონში მცხოვრები სხვა ეროვნების მკითხველები, რომელთა რაოდენობა საკმაოა, სარგებლობენ ფონდში არსებული არა მარტო ქართული, არამედ რუსულ ენაზე არსებული კლასიკური ლიტერატურით. აბონემენტზე ხშირი მოთხოვნილებით სარგებლობს არა მარტო მხატვრული ლიტერატურა, არამედ სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო–სპეციალური სასწავლებლებისათვის, სკოლებისათვის და სტუდენტებისათვის. მოთხოვნადია, დარგობრივი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, ეკონომიკური და იურიდიული ლიტერატურა.

აბონემენტის მუშაობის სპეციფიკა იძლევა საშუალებას უფრო ახლოს გაიცნოს ბიბლიოთეკარმა მკითხველთა მოთხოვნები და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს მათთან მუშაობას. კითხვადობის და ბრუნვადობის კოეფიციენტების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს ღია თაროს აბონემენტზე გამოფენილი ახლადმიღებული ლიტერატურა, რომლის ყველაზე ხშირი მომხმარებლები სტუდენტები არიან.

№42 საქალაქო ბიბლიოთეკის აბონემენტს მომავალში კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები უჩნდება, რადგან მომავალ წელს არსებულ ფონდს შეუერთდება №31 საქალაქო ბიბლიოთეკიდან გადმოტანილი ლიტერატურა, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს არსებულ ფონდს, გააუმჯობესებს მკითხველთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აბონემენტის თანამშრომლები მეტრეველი და ქსოვრელი თავისი პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით კიდევ უფრო მეტად აამაღლებენ აბონემენტის მუშაობის მაჩვენებლებს.

ზეინაბ ზაქარეიშვილი

ბიბლიოთეკის ღირსეული მკითხველთაგანი

ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის № 21–ე ბიბლიოთეკას დაარსებიდან 65 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება უამრავ მკითხველს: პროფესორ–მასწავლებლებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, დიასახლისებს, პენსიონერებს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. მათ შორის არიან გამოჩენილი და ცნობილი პიროვნებები: ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ალექსიშვილი, რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მწერლები: ლერი ალიმონაკი, დალილა ბედიანიძე, მსახიობები ტრისტან სალარიძე, პროფესორი გიორგი სტურუა, ქართველი მეცნიერი, გამომგონებელი თამაზ ნანიტაშვილი და ბიბლიოთეკის მუდმივი და აქტიური მკითხველი, თანამდგომი, წიგნის და პოეზიის მოყვარული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი მაყვალა მაღრაძე. მინდა, რომ თქვენი ჟურნალის საშუალებით მკითხველებმა და საზოგადოებამ გაიცნოს მისი პოეტური შემოქმედება.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ მ. მაღრაძის რამოდენიმე ლექსს.

მაყვალა მაღრაძე

პოეზიის მადლს ძალიან ადრე, მოწაფეობის პერიოდში ვეზიარე. მიყვარდა ქართველი პოეტების ლექსები. იმ პერიოდში ყველა პოეზიის მოყვარული ცდილობდა ლექსის წერას და მათ შორის მეც. კლასში ჩემს საყვარელ მეგობრებს ვუძღვნიდი ლექსებს.

გავიდა წლები და პოეზიისადმი ჩემი სიყვარული არ განელებულა – პირიქით. ბედმა ისეთ ლამაზ უბანში დამასახლა, სადაც ამისათვის ადგილიც და გარემოც პოეტური იყო. ოთხ ათეულ წელზე მეტია ამ საოცარ გარემოში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ. ამდენივე წელია ვარ ამ რაიონის 21–ე ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი. ბედნიერებაა, როცა უბანში ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი არსებობს. ეს უდაოდ ბიბლიოთეკის გამგის, ქალბატონ ზეინაბ ზაქარეიშვილის და მისი კოლექტივის დამსახურებაა, მათ შეინარჩუნეს ბიბლიოთეკა და მკითხველიც არასდროს არ მოჰკლებიათ.

ყოველ დილით მივიჩქარი სამსახურისკენ და აუცილებლად უნდა შევუარო ჩემს ინტელექტუალურ მეგობრებს. ისინი ხომ წიგნის უზადო მცოდნენი და დამფასებლები არიან და ყოველ წუთს გვახსენებენ, რომ წიგნი – ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისათვის. კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნის კითხვით განცდილ გრძნობებს და ემოციებს.

ბიბლიოთეკა ჩემთვის შემეცნების, სიახლის გაცნობის ადგილია, თითქოს თვითონ მწერლებთან და პოეტებთან გიწევს ურთიერთობა – ლიტერატურის ენით. პოეზია მაცოცხლებდა და მასულდგმულებდა და ახლაც ჭაღარაშერეულს ისევ პოეზია მილამაზებს სიცოცხლეს.

წიგნი

ხანდახან ვფიქრობ,
ჩვენი ყხოვრება რომ არა
წიგნი, რა იქნებოდა?!
წიგნი ლამპარი, ქვეყნის ამბავი,
ზღაპრული სამყაროს თქვენთან მომცანი.
თქვენი ჭირის და ლხინის ზიარი,
თქვენი ყხოვრების თანაზიარი.
წიგნი სიყოყხლის დიდი ფურცელი,
მრავლისმეტყველი და სასურველი.
იკითხეთ წიგნი ღამით და დღისით,
სულის საუნჯე გჯეროდეთ მისი.

სამშობლო

ისე ტკბილი ხარ სამშობლოვ ჩემო,
უფლება არ მაქვს არ მოგეფერო.
ბარში ყანებო, დალალ–კავებო,
მთებო ზღაპრულო, ოქროს ღალებო!

აპრილი

ისევ მოვიდა ლურჯი აპრილი,
ისევ ამღერდა გული ხალისით.
ო, როგორ მიყვარს ამ დროს თბილისი,
განთიადით და თბილი დაისით.
რა ლამაზია ნარიყალაზე,
ოქროსფერი მზის გასხივოსნება,
აყვავილდება ჩემი ქალაქი,
პატარძალივით შეიმოსება.

კორესპონდენციები

მასობრივ ღონისძიებათა კვალდაკვალ

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებსა და საჯარო სკოლებში გრძელდება ღონისძიებები კვირეულის დევიზით: „ჩემი ბიბლიოთეკა – ჩემი სამყაროა“. ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, მკითხველთა აქტივი. 29 ოქტომბერს ერთ–ერთი ასეთი ღონისძიება გაიმართა თბილისის 76–ე საჯარო სკოლაში (დირექტორი ნ. ჩეთისკვერაძე, ბიბლიოთეკარი ნ. ოქროპირიძე). ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით: „შემოდგომის ზეიმი.“ მონაწილეობდნენ მე–3 კლასის მოსწავლეები: თ. ჯამბურიძე, ი. მამფორია (კლასის ხელმძღვანელი რ. სიხარულიძე). ამამავე თემაზე მოსწავლეებმა გამოფინეს თავიანთი ნამუშევრები; ლექსები წაიკითხეს: ჯავოიანმა, აბგარიანმა, გოლეთიანმა, კიკვიძემ და სხვებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები, მშობლები, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ა. ლორია.

თიანეთის სოფ. ხევსურეთსოფლის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა: ტექტსტს კითხულობდნენ მ. და გ. კობაიძეები, დ. ოსეფაშვილი, ნ. და თ. აბრამიშვილები, მ. სისაური და თ. პავლიაშვილი. აღინიშნა, რომ პოემა ქართველი ხალხის მორალის კოდექსია, სულიერი საგანძური, მას ბავშვობიდანვე უნდა ეცნობოდეს თითოეული ქართველი. ინფორმაცია მოგვაწოდა წამყვანმა სპეციალისტმა ნ. დათუაშვილმა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. დონდუა) გაიმართა ბ. ფოცხვერიშვილის წიგნის „წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება“ წარდგენა. წარდგენის ორგანიზატორები იყვნენ მთავარი ბიბლიოთეკა და არასამთავრობო ორგანიზაცია



„სამტრედიელი“. წიგნის შესახებ ისაუბრა გაზეთ „მაცნეს“ პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. გაბეჩავამ. სლაიდ–შოუ წარმოადგინეს რეჟისორმა ვ. ნადირაძემ და ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მ. ჩიხლაძემ.

წიგნის შესახებ მოსაზრებები გამოთქვეს ნ. გელეიშვილმა, პოეტმა თ. ჯულაყიძემ, ი. კოპალეიშვილმა, ი. გოგავაძემ, ბ. გოგიამ, მ. ღაღანიძემ, მ. სტურუამ; ბიბლიოთეკის დირექ-

ტორმა აღნიშა, რომ წიგნში მოხსენებული ბევრი პიროვნება ბიბლიოთეკის მკითხველია. წიგნის შესახებ ასევე აზრი გამოთქვეს ზ. გრიგოლიამ, შ. პაპავამ და სხვებმა.

ლენტეხის რაიონის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ე. მეშველიანი) ხშირად იმართება საინტერესო მასობრივი ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები; ბიბლიოთეკის მუშაობა სისტემატურად შუქდება ადგილობრივ გაზეთ „სვანეთში“; საინტერესო იყო შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან, ღონისძიება მიეძღვნა დედის დღეს; მოეწყო შეხვედრები ახალგაზრდა პოეტებთან, რომლებშიც მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები. მიუხედავად მძიმე პირობებისა, ბიბლიოთეკა აქტიურად იბრძვის მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის (ინფორმაცია მოგვაწოდა დირექტორის მოადგილემ მუკბანიანმა)..

თიანეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ს. გონჯილაშვილი) ჩატარდა ინტელექტუალური ვიქტორინა–კონკურსი „მომავალი ინტელექტუალი“, კონკურსი თავისი არსით იყო გამოხმაურება საქართველოს პატრიარქის ილია მეორის სიტყვებისა: „უნდა იკითხოთ წიგნები, რომ განსაჯოთ, სად არიის კეთილი და სად ბოროტი“. კონკურსში მონაწილეობდნენ თიანეთის №1, №2 საჯარო სკოლების მე–8 კლასის მოსწავლეები. კონკურსში მოსწავლეებმა გამოავლინეს ცოდნის მაღალი დონე, რაც შედეგია სკოლის, ბიბლიოთეკისა და მშობლების ერთობლივი მუშაობისა; ღონისძიებას ესწრებოდნენ გაზეთ „თიანეთის მომავლის“ კორესპონდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის „ჩვენი ფშავის“ დამფუძნებელი მ. ხუცურაული. (ინფორმაცია მოგვაწოდა საბავშვო განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა მ. იარაჯულმა).

იუბილე

ალექსანდრე ლორია – 80

შეხვედრები, მიღოცვები

ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნისა და მწერლის ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავ. რედაქტორის ალექსანდრე ლორიას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით საიუბილეო შეხვედრები მოეწყო ქვეყნის დიდ საბიბლიოთეკო დაწესებულებებში. საიუბილეო დღეებში გამოიცა იუბილარის 80 წლისადმი მიძღვნილი კრებული (თბ. 2014, — 98 გვ.) კრებულში აისახა ა. ლორიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, აქვეა განხილული მისი სამეცნიერო–კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი სტატია. კრებულში ცალკე პარაგრაფი დაეთმო ა. ლორიას მხატვრული შემოქმედების მიმოხილვას.


საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლორია - 80
საიუბილეო კრებული

იუბილარს პირველი შეხვედრა მოუწყვეს მის მშობლიურ ქალაქ ბათუმში 2014 წლის 19 სექტემბერის. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკარები, სხვადასხვა თაობის ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები; აქვე მოეწყო წიგნის „წარსულის ექო“–ს წარდგენა. შეხვედრის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა საიუბილეო კრებულში.

24 ოქტომბერს იუბილარს შეხვედრა მოუწყვეს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ გ. ხორავა და მ. აროშიძე. იუბილარს მიესალმნენ ც. ქოჩაჩაშვილი, ი. ღარიბაშვილი, რ. ასათიანი, გ. თაყნიაშვილი და სხვები. იქვე წარადგინეს ა. ლორიას ბიბლიოგრაფიის მეორე გამოცემა — შემდეგ. მ. ტოგონიძე და ნ. აბუაშვილი. შეხვედრაზე წაიკითხეს ა. ლორიას ლექსები, მოეწყო ა. ლორიას ნაშრომების გამოფენები.

31 ოქტომბერს იუბილარს შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ა. ლორიას სამეცნიერო–პედაგოგიურ და მხატვრული შემოქმედების შესახებ ისაუბრეს: მ. მიქაბერიძემ. გ. სტურუამ და გ. თაყნიაშვილმა. იუბილარს მიესალმნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რ. ასათიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე მ. ხოსიტაშვილი. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები თელავიდან, ზუგდიდიდან, სოხუმის უნივერსიტეტიდან, ილიას სახ. უნივერსიტეტიდან, მცხეთიდან, ბორჯომიდან, ბოლნისიდან, რუსთავიდან და სხვა. საღამოზე საიუბილეო კრებული წარადგინა მისმა რედაქტორმა გ. თაყნიაშვილმა.

7 ნოემბერს ა. ლორიას შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ღარიბაშვილი), იუბილარს მიესალმნენ ი. ღარიბაშვილი, ნ. თარგამაძე, გ. ხორავა, თ. ჟვანია, გ. თაყნიაშვილი და სხვები, საღამოს უძღვებოდა ც. ქველიძე. შეხვედრაზე ა. ლორიას ბიბლიოგრაფიის შესახებ ვრცლად ისაუბრა მისმა ერთ–ერთმა შემადგენელმა ნ. აბუაშვილმა.

18 ნოემბერს იუბილარს შეხვედრა მოეწყვეს და დაბადების 80 წელი მიულოცეს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. იუბილარს მიესალმნენ ც. ქოჩეჩაშვილი, მ. ხორავა, რ. დანელია, გ. თაყნიაშვილი, ხულოს ბიბლიოთეკის დირექტორი ლ. ბოლქვაძე და სხვები.

ვუღოცავთ

ბატონი ალი 1994 წელს გავიცანი, როდესაც იგი ბიბლიოთეკების დახმარების ფონდის წევრი იყო. ჩვენი პროექტის განხილვაზე უამრავი შეკითხვა დამისვა, აინტერესებდა, თუ როგორ ვაპირებდით ელექტრონული კატალოგის გაკეთებას. „ელექტრონული კატალოგი“ მაშინ ახალი ცნება იყო, ჩვენც, პროექტის მონაწილეები, ვსწავლობდით გზადაგზა. შეკითხვების შინაარსი, ცხა-

დია, აღარ მახსოვს, მაგრამ აშკარა იყო ბატონი ალის დაუფარავი და გულწრფელი ინტერესი სიახლისადმი. სხვათა შორის, ამ შეხვედრის მონაწილეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომ 20 წელიწადზე.

შემდეგი მოგონებაც კომპიუტერიზაციის პროექტს უკავშირდება: ს.-ს.ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრას ვაცნობდით, თუ როგორ შეიძლებოდა კომპიუტერების გამოყენება ბიბლიოთეკებში – ელექტრონული კატალოგები, ქსელი, და სხვა. აქაც, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ალი

ყველაზე უფროსი იყო, ცხადი იყო, რომ მას სხვებზე მეტად აინტერესებდა ეს საკითხები.

მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა იმდენად ახლო და ხშირია, რომ ძნელიცაა რაიმე გამოვყო. თუმცა ალბათ ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 2000 წელს ჩვენ ერთად დავაარსეთ და დღემდე ვხელმძღვანელობთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას.

ასოციაციის პირველმა წლებმა განსაკუთრებით დაგვაახლოვა მისი დამფუძნებლები. ყველანი ვგრძნობდით, რომ ძალიან საჭირო და საინტერესო საქმეს ვაკეთებდით, ხშირად ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით, ვკამათობდით, ვამზადებდით პროექტებს, დავდიოდით ბიბლიოთეკების მდგომარეობის გასაცნობად საქართველოს სხვადასხა კუთხეში და შემდეგ აქტიურად ვერთვებოდით დაგეგმილ პროექტებში. სამწუხაროდ, ასეთი ენერგია და ენთუზიაზმი შემდგომ წლებში აღარ ჩანს. ამ დროს ბევრი რამ გაკეთდა, ამასთან დიდი წილი – „პირველად საქართველოში“: აქტიურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა ასოციაცია, დაფუძნდა პირველი საბიბლიოთეკო ჟურნალი, დაფუძნდა „ბიბლიოთეკების კვირეულების“ ჩატარების ტრადიცია, მოკლე დროში მოხერხდა პირდაპირი კონტაქტების დამყარება უცხოეთის

ბიბლიოთეკებთან და გამომცემლობებთან, შეიქმნა ბიბლიოთეკართა სასწავლო ცენტრი, დაინერგა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და სტანდარტები, შეიქმნა ახალი სამაგისტრო სასწავლო პროგრამა, შეიქმნა ის ტრადიცია, რომ დღეს ასოციაცია არის საბიბლიოთეკო სფეროში ეროვნული პოლიტიკის თუ საკანონმდებლო ინიციატივების აქტიური შემოქმედი.

ბატონი ალექსანდრე გამგეობის ყველაზე „ბრძენი“ წევრია და თავისი ცოდნით, გამოცდილებით, კომუნიკაბელურობით და ენთუზიაზმით დიდ დახმარებას გვიწევს.

ამ წლების განმავლობაში, ცხადია, გავიცანი და ძალიან დავუახლოვდი ბატონი ალის ოჯახსაც. მისი მეუღლე, ქალბატონი ინგა ფილაური, ერთდროულად ახერხებს საბიბლიოთეკო სფეროში აქტიურ საქმიანობასაც, ოჯახის მოვლა-პატრონობასაც და ბატონი ალის მხარში დგომასაც. ქალიშვილებიც ძალიან აფასებენ მამას, თან საქმითაც – რამდენჯერ გამოუციათ მათ მამის მოთხრობების თუ ლექსების კრებულები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორი დიდი ასაკობრივი სხვაობაა, არასოდეს მიგრძვნია უფროს-უმ-

ცროსული დამოკიდებულება ან თაობათა („მამათა და შვილთა“) დაპირისპირების ნიშანი . ალბათ ეს ბატონი ალის ხასიათია – ყველასთან თანაბრად, კოლეგიალურად, მეგობრულად თანამშრომლობს.

ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ყველაფერზე ვეთანხმებით. ხშირად გვაქვს კამათიც, ცხარე მსჯელობაც,.. ეს მაშინ ხდება, როდესაც გვინდა, რომ ჩვენი საქმე კიდევ უკეთესად გაკეთდეს. ამიტომ ამას არანაირი წყენა არ მოჰყვება, პირიქით – კიდევ უფრო გვაახლოებს.

კიდევ მრავალი წელი მიგვეღოცოს

მახსენდება დღე, როდესაც პირველად შევხვდი ბატონ ალექსანდრეს. ეს იყო 2001 წლის სექტემბერი, როდესაც ტარდებოდა საქართველოს და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციების მიერ ორგანიზებული სემინარი. ტრადიციულად სემინარი გამოსამშვიდობებელი საღამოთი დასრულდა თბილისის ერთ-ერთ რესტორანში. ჩემთვის დასამახსოვრებელ ამ საღამოს სწორედ ბატონი ალექსანდრე უძღვებოდა. საღამო დასამახსოვრებელი იყო, რადგან აშშ-დან ახლად დაბრუნებულს და ახალი პროფესიით აღჭურვილს, მაშინ პირველად მომიხდა ჩემი კოლეგების, ქართველი ბიბლიოთეკარების ახლოს გაცნობა. სიმართლე გითხრათ, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როდესაც იმჟამად ყველასაგან მივიწყებულ და დაკნინებულ საბიბლიოთეკო სფეროში (თუმცა ამჟამადაც არ არის იდეალური მდგომარეობა ამ მხრივ) ამდენი ინტელექტუალური და ერუდირებული ადამიანი აღმოვაჩინე. იმ საღამოს ძალიან პოზიტიურად შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მომავლისადმი და გავიფიქრე, რომ არც თუ ისე ცუდად ყოფილა საქმე, თუკი ამ სფეროს ამდენი შესანიშნავი ლიდერი ჰყავს. ჩემი ოპტიმისტური განწყობის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ბატონმა ალექსანდრე ლორიამ, რომელმაც ისე შესანიშნავად წარმოადგინა ქართული სუფრის მთელი ლაზათი და მიმზიდველობა.

ლოებს.

ბატონი ალი ამბების მოყოლის დიდი ოსტატია, ამიტომ მის შესახებ ძალიან ბევრი ვიცი: საბავშვო ბაღის მოგონებები, ბიბლიოთეკაში პირველი სტუმრობა, ბათუმის თეატრში მოღვაწეობა, საბიბლიოთეკო საქმის მრავალი საკითხის დამუშავება და შრომების გამოცემა, ცოტა დაფარულსაც გავამჟღავნებ – არ უყვარს კომპიუტერები, თუმცა თვლის, რომ მათი გამოყენება სასარგებლოა, ამას თვითონვე ხელს უწყობს, და, რაც მთავარია, ძალიან უყვარს მის გარშემო მყოფი ადამიანები – ოჯახიც, მეგობრებიც, კოლეგებიც, სტუდენტებიც, ყმაწვილებიც – მათდამი ყოველთვის თბილი დამოკიდებულება აქვს.

რომ იკითხო: რა არის ბიბლიოთეკაში მთავარი? უმეტესობა გიპასუხებს – წიგნებიო. მხოლოდ ნამდვილი ბიბლიოფილები გიპასუხებენ: ეს ის სულიერება და სითბოა, რომელსაც ალბათ ასეთი ადამიანები ქმნიან – ნამდვილი პროფესიონალები.

ვულოცავ ბატონ ალექსანდრე ლორიას 80 წლის უიბილეს!

ირაკლი ღარიბაშვილი

ორმაგად უფრო სასიამოვნო იყო ბატონი ალექსანდრეს გაცნობა, რადგან მეხსიერებიდან ამოტივტივდა ერთი ფაქტი. ბოსტონში სწავლის პერიოდში ვმუშაო-

ბდი საკურსო პროექტზე „საბიბლიოთეკო საქმის ისტორია საქართველოში“ და რადგან შეუძლებელი იყო ამ თემაზე მასალების ინტერნეტში მოძიება, თხოვნით მივმართე საბიბლიოთეკო კათედრას, რომ მოეწოდებინა საჭირო მასალები. პასუხმაც არ დააყოვნა და მალე მივიღე საინტერესო მასალების ნაკრები, რომელიც

ძალიან დამეხმარა პროექტზე მუშაობაში. სწორედ ბატონი ალექსანდრე იყო ის პიროვნება, რომელმაც უცნობ სტუდენტს გამომიწოდა დახმარების ხელი და მომაწოდა საჭირო მასალები.

შემდეგ ამას მოჰყვა ჩემი მონაწილეობა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებულ არაერთ პროექტში და ბატონ ალექსანდრე ლორიასთან თანამშრომლობა. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო ამერიკული კატალოგიზაციის სტანდარტების თარგმნა ქართულ ენაზე. მე დამევალა ღჩ21-ის მეორე ნაწილის თარგმნა, ხოლო ბატონი ალექსანდრე გახლდათ ამ თარგმანის დაკვირვებული და გულისხმიერი რედაქტორი. ჩემთვის უაღრესად საინტერესო და ღირებული იყო ბატონ ალექსანდრესთან ურთიერთობა და თანამშრომლობა. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე პერიოდშიც არ უღალატია ბატონ ალექსანდრეს საყვარელი საქმისათვის, მან უდრტვინველად ხიდა საბიბლიოთეკო სფეროს ძნელბედობის მთელი სიმძიმე მეუღლესთან და კოლეგასთან. მე მსურს შევეხო ბატონი ალექსანდრეს პიროვნულ მხარეს, ადამიანურ ღირებულებებს, ტაქტს, სიკეთეს, დიდბუნებოვნებას რომლებიც ასე უხვად აქვს მიმადლებული და რომლებიც ასევე უხვად ვლინდებოდა მასთან ურთიერთობის დროს. თარგმანის რედაქტირების პროცესში, ბუნებრივია, იყო აზრთა სხვადასხვაობის მომენტები ენობრივ თუ სტილისტურ საკითხებთან დაკავშირებით და დისკუსიის შემდეგ ბატონი ალექსანდრე ყოველთვის კეთილი ღიმილით დასძენდა ხოლმე: „მე ასე ვფიქრობ, მაგრამ მთარგმნელი შენ ხარ და როგორც შენ მიგაჩნია სწორად, ისე დაწერეო“. იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზადაა, მოგისმინოს, გაგამხნევოს და დაგიდგეს მხარში სიტყვით თუ საქმით და რომელთან ყოველი შეხვედრის შემდეგ მხოლოდ დადებითი ემოციებით იმუხტები. კეთილ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და საოცრად გადამდებია ბატონი ალექსანდრეს კეთილგანწყობა.

მაქვს უდიდესი პატივი, ვითვლებოდე ბატონი ალექსანდრეს ოჯახის მეგობრად, ოჯახისა, სადაც ყოველთვის ისეთივე მშვიდობა და ჰარმონია სუფევს, როგორიც ამ გულნათელი და თვალნათელი ადამიანის სულში, სადაც ბატონი ალექსანდრე შემეგებება ღიმილით. ასეთი მასპინძელია ბატონი ალექსანდრე განურჩევლად ყველა სტუმრისთვის. მას ხომ სხვანაირად არც შეუძლია, რადგან ასეთია მისი უაღრესად კაცთმოყვარე, ადამიანთმოყვარე ბუნება - იგი კეთილშობილია. ამ სიტყვის ძირი კი თავადვე გვეუბნება, რომ ამ თვისებას ვერ შეიძენ, ასეთი უნდა იშვა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ალექსანდრეს 80 წლის იუბილეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და მხნეობას ჩვენი პროფესიის, მისი საყვარელი საქმის სასიკეთოდ!

ლელა ნანუაშვილი
საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მეცნიერების მაგისტრი აშშ

---

49 წელი გავიდა, რაც ინსტიტუტი დავამთავრე. ჩემს განვლილ ცხოვრებას რომ გადავხედავ, ინსტიტუტში სწავლის პერიოდით ვამაყობ. ანდა რატომ არ უნდა ვიამაყო, როდესაც მქონდა ბედნიერება, ესწავლებინათ ჩემთვის პატივცემულ ნიკო ლორთქიფანიძეს, გიორგი გიორგაძეს, ოთარ ოსაძეს, ალექსანდრე ლორიას.

გავიგე პატივცემულ ალექსანდრე ლორიას 80 წელი შეუსრულდა. უდავოდ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებაა. კეთილშობილი, პატიოსანი, ინტელიგენტი, უზომოდ შეყვარებული სამშობლოზე, ოჯახზე, მეგობრებზე, სტუდენტებზე. მას ვიცნობდი, როგორც საუკეთესო ლექტორს. იგი მარტო თავისი საგნის სწავლებით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ ნახულობდა დროს, ესაუბრა სხვადასხვა თემებზე, ხშირად გვესაუბრებოდა პოეზიაზე. განსაკუთრებით ხმამაღლა გვიკითხავდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს და გვაყვარებდა პოეზიას. მას ასევე ვიცნობდით, როგორც საბავშვო მწერალს, პოეტს, პუბლიცისტს. მისი ლექსები გამსჭვალულია სამშობლოსა და ადამიანების უსაზღვრო სიყვარულით, რომლებიც გულწრფელი განცდითაა დაწერილი. მისი განცდების ერთ–ერთი თანაზიარიც ხშირად გავმხდარვარ.

ვუსურვებ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას და ბედნიერებას.

ნანა კობიძე–ოძრომჭდლიძე
ყოფილი სტუდენტი

ინფორმაცია

ყვავილოვანი პოეზია

ანა ერისთავს ქართული პოეზიის მოყვარულები იცნობენ როგორც უფლის მგალობელსა და ყვავილოვანი ლექსების უბადლო ოსტატს. სწორედ ამაზე მეტყველებს მისი ლექსების ბოლო კრებული (ერისთავი ანა. ქარმა მომიტანა ყვავილი... – თბ. : „სვეტი“, 2014. – 192 გვ.).

„დამაძინე ყვავილებში,
დამირწიე აკვანი,
დამაბრუნე სიზმარეთში
ფოთოლთცვენით დამფრთხალი“...

გრძნობააღძრული ღაღადებს პოეტი და თითქოს ეს მისი სასიცოცხლო ძალების მომცემი ენერგიაა. ის მართლაც ყვავილოვანი პოეტია, ყვავილი შეადგენს მისი მუზის საგანს, ყვავილებს ეტრფის და მისი ლექსებიც ყვავილების მრავალფეროვნებით სუნთქავს. პოეტისათვის ყვავილი არა მარტო მშვენიერი ბუნების წარმონაქმნია, რომლითაც აღსავსეა ანა ერისთავის შემოქმედება. მისით გამოხატავს ის ღვთისადმი პატივისცემას, სილამაზეს, სიყვარულს, სათნოებას, კეთილშობილებას... თითქოს მისი გრძნობები ჩაძირულია ყვავილოვან სულიერებაში. მაგრამ ანა ერისთავის პოეზია სულაც არაა მოკლებული სოციალურ გარემოს, ის განა მხოლოდ ოცნებებში დაფრინავს „ვით ფრინველი გარეგანი“; მისთვის უცხო როდია მშობლიური მიწის ყივილი, სამშობლოს ერთგულების განცდა, დედობრივი გრძნობა, ცხოვრებისეული ავ–კარგი. როგორც წიგნის რედაქტორი თემურ ჩალაბაშვილი წიგნის წინათქმაში წერს, „... პოეტი ქალი საოცრად კარგად გრძნობს სამყაროს ყოფნა–არყოფნის საიდუმლოებას, მისი ლირიკული სული სავსეა ათასგვარი კითხვა–პასუხით...“

ანა ერისთავის ყოველი ლექსი გამოირჩევა სინატიფით, ფრაზის მოქნილობით, ღამაზი გამოთქმებით.

ჩვენთვის, მისი კოლეგებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შემოქმედების ყოველი გამოვლენა. ანა ხომ ჩვენს შორისაა მუდამ, ჩვენი ჰავით სუნთქავს, ჩვენს ჭირსა თუ ლხინს იზიარებს. ამიტომაც იგი ჩვენთვის მახლობელი ადამიანია, როგორც მისი ყვავილოვანი პოეზია.

გზა ცვფრო „მე“–ცკენ



წელს პოეზიის მოყვარულები დიდი ინტერესით შეეგებნენ ფრიად ორიგინალური პოეტური ხმის შემოქმედის, მრავალმხრივი პიროვნებისა და მოღვაწის — ქალბატონ ელდინო საღარაძის ახალ პოეტურ კრებულს – „ცეკვა ქარებთან“, რომელიც დაიბეჭდა გამომცემლობა „საარის“ მიერ. წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა (160 გვ.) და წარმოადგენს იმ ლექსების კრებულს, რომელიც ავტორმა 2012–2014 წლებში შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემა მისი უახლესი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია, ამდენად, მათთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ელდინო საღარაძის შემოქმედებით, განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს.

წიგნს წინ უძღვის მისი რედაქტორის მარინა თექთუმანიძის შესავალი, რომელშიც კარგად არის წარმოდგენილი ავტორის სულიერი სამყაო, მისი „მე“.

წიგნი დაყოფილია თავების მიხედვით, რომლებსაც შთამბეჭდავი დასახელებები აქვს: ბაბუაწვერას ველების გლოვა; იმპრესიები; ცეკვა ქარებთან; იმედისფერი ფენიქსი; სიტყვაკუნწულები; ღამენათევი ლექსები; სევდის იკიბანები; ამორძალების ამოძახილი; საგოლგოთენი.

ბიბლიოთეკართა დიდი ნაწილი კარგად იცნობს ქალბატონ ელდინოს, რამდენადაც ის ბავშვობიდან დღემდე არაერთი ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველია და აქტიურად მონაწილეობს მათ ღონისძიებებში, რითაც დიდ ხალისს სძენს მათ. ღრმად ვართ დარწმუნებული, ჩვენი ბიბლიოთეკები და მათი მომხმარებლები ინტერესით შეხვდებიან ქ–ნ ელდინოს ახალი კრებულის გამოჩენას.

მძიმე მოვლენების ქრონიკა



მამუკა წიკლაურს ჩვენი საზოგადოება იცნობს როგორც ორიგინალური ხმის მწერალს. მისი პოეტური კრედო მძაფრი, ძარღვიანი, გულში ჩამწვდომი ლექსია. სწორედ ამიტომაც მას ლექსის ფორმად ძირითადად ვერლიბი აურჩევია, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს ხელს შეუწყობს ხატოვნად გამოხატოს თავისი აზრები და დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

მამუკა წიკლაურის პოეზიის დახვეწა ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის დროს დაიწყო, როდესაც ის პედაგოგიური ინსტიტუტში სწავლობდა და აქ არსებულ სტუდენტთა ლიტერატურული წრის აქტიური მონაწილე იყო. ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, გამოიცა მისი რამდენიმე პოეტური კრებული, მიმდინარე წელს კი გამოქვეყნდა მისი ჩანაწერები – „ცამეტი სისხლიანი მთვარე“ (წიკლაური მამუკა. ცამეტი სისხლიანი მთვარე. – თბ.: „ინტელექტი“, 2014. – 230 გვ.).

სამწუხაროდ, პოეტი ვერ მოესწრო ამ წიგნის მკითხველებზე გავლენის უკუგებას. ჯერ კიდევ სავსებით ჭარმაგმა მიატოვა ჩვენი სოფელი, რითაც შეწყდა მისი პოეტური ხმა, მაგრამ დარჩა მისი შემოქმედება, ხალასი, დამაფიქრებელი და გრძნობებით აღსავსე.

დასახელებული წიგნის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თვით ავტორის წინათქმა: „მიჭირს, სახელი დავარქვა ჩანაწერებს, რომლებიც ამ ოცი წლის წინათ, 1991–92 წლების მიჯნაზე შეიქმნა და ახლა ვთავაზობ მკითხველს, ალბათ, უფრო დღიურებია – ერთი კონკრეტული მოქალაქის, ერთი კონკრეტული მწერლის გულზე გადავლილი მძაფრი მოვლენების ქრონიკა – ასახული ატკივებული გულით და დანახული აცრემლებული თვალებით...“

წიგნის გამოცემა მოამზადა ავტორის მეუღლემ ნანა ფირცხალავამ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად, მიცემული წლებისა და დღეების მიხედვით. აქ გაშუქებულია დოკუმენტური სიზუსტით ის მოვლენები, რომლებიც ხდებოდა 1991–92 წლებში, საქართველოსათვის ერთ–ერთ უმძიმეს პერიოდში.

იმედია, მკითხველები დიდი ინტერესით გაეცნობან მამუკა წიკლაურის ამ მეტად საინტერესო წიგნს.

რეცენზიები, შენიშვნები

ალექსანდრე ლორია

ქვეყნის საქმეზე გადაგებული კაცის ცხოვრება

(გრიგოლ ვოლსკი)

ცნობილმა მეცნიერემა, მკვლევარმა, პუბლიცისტმა, პედაგოგმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფ. რამაზ სურმანიძემ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია თვალსაჩინო ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ვოლსკიზე (სურმანიძე რამაზ. გრიგოლ ვოლსკი: (ცხოვრება და მოღვაწეობა) – ბათუმი, 2014. – 286 გვ. ილუსტრ.). წიგნის რედაქტორია პროფ. ოთარ გოგოლიშვილი.

რ. სუმანიძე მუდამ გვახარებდა და გვახარებს თავისი გამოკვლევებით ღირსშესანიშნავ ქართველ მოღვაწეთა შესახებ. უმეტესად ის კვლევის საგნად ირჩევს შედარებით ნაკლებად შესწავლილ ან, საერთოდ, სავსებით შეუსწავლელ პიროვნებებს და თუკი ისეთ ვინმეზეა მიმართული მისი ყურადღება, რომლის შესახებაც არაერთხელ თქმულა და დაწერილა, ის ამას აკეთებს სავსებით ორიგინალურად, გვთავაზობს უამრავ სიახლეს, გვაწვდის ჯერ უცნობ მასალას და იძლევა თავის დამოუკიდებელ ინტერპრეტაციებს.

ხსენებული წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. თხრობა მხოლოდ უშუალოდ გრიგოლ ვოლსკის არ ეხება, იგი შეძლებისდაგვარად ყველაფერს მოიცავს, რაც ამ პიროვნებასთანაა დაკავშირებული და მისი ძირფესვიანად შეცნობისათვის აუცილებელი და სასარგებლოა.

როგორც შინაარსობრივად მრავალმხრივსა და დიდი მოცულობის ნაწარმოებს შეეფერება, ის სწორედ იმგვარი სტრუქტურითაა აგებული: მოცემულია თავები და პარაგრაფები, იწყება შესავლით, რასაც მოსდევს გ. ვოლსკის ბიოგრაფიული მონაცემების დამუშავებით; შემდეგი თავებია: გრიგოლ

ვოლსკის შემოქმედება, გრიგოლ ვოლსკი და ქართველი მოღვაწეები; რას წერდნენ მეგობრები გრიგოლ ვოლსკიზე; პირადი წერილები; გამოსათხოვარი წერილები და ლექსები; სამძიმრის დეპეშები; გრიგოლ ვოლსკის ახლობლები; გრიგოლ ვოლსკის ბიბლიოგრაფია, სახელთა საძიებელი.

საკმარისია შემოთავაზებულ მასალას ერთი გადავავლოთ თვალი, დავრწმუნდებით, რა ყოველმხრივ შესწავლას ახდენს ავტორი გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

რ. სურმანიძის ნაშრომი არ ტოვებს არც ერთ კუთხე-კუნჭულს გამოკვლევისა და ღრმად შესწავლის გარეშე. მართალია, გ. ვოლსკის შესახებ მრავალი სტატია დაბეჭდილა და ორიოდე მონოგრაფიაცაა გამოცემული, მაგრამ ამგვარი სისრულით, ამომწურავად მისი პიროვნება შესწავლილი არ ყოფილა. საგულისხმოა, რომ განსახილველი პერსონის ჩვენებას ის, როგორც იტყვიან, არა „ფანჯრიდან“ ახდენს, არამედ „შენობაში“ შევყავართ და ყველა დეტალს, კუთხე-კუნჭულს გვიჩვენებს, ცდილობს, მაქსიმალურად, გლობალურად დაგვანახვოს ის. შთამბეჭდავია მისი მიგნებები და მოსაზრებები. დამაჯერებელია მისი მსჯელობა გ. ვოლსკის ბიოგრაფიული დეტალების ზუსტად დასადგენად, რაც საშუალებას აძლევს ავტორს, გაასწოროს დაშვებული შეცდომები და მოგვცეს „დაზუსტებული ბიოგრაფია“. იგი არაერთხელ ავლენს ჯერ კიდევ უცნობ, შეუსწავლელ ფაქტს. მაგალითად, შეიძლება ითქვას, მან ზუსტად დაადგინა, რომ გ. ვოლსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ერთი წერილის ავტორი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა მიხეილ ჯავახიშვილი. ასევე ადგენს, რომ ერთ-ერთი წერილის ავტორი გიორგი იოსელიანი ყოფილა, პირველად გამოამზეურა გ. ვოლსკის წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი. ეს წერილი სხვა არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა გამოქვეყნებული.

ინტერესს იწვევს ისიც, რომ რ. სურმანიძე თავის წიგნში გვაცნობს უამრავ თვალსაჩინო თუ ნაკლებად ცნობილ მოღვაწეს, რომელთანაც გ. ვოლსკის ურთიერთობა ჰქონდა; ის ასევე პირველად აცხადებს იმ ფაქტს, რომ გ. ვოლსკი ბათუმში პირველი სამოქალაქო ექიმი ყოფილა.

გ. ვოლსკის სამედიცინო მოღვაწეობისადმი დამოკიდებულების მიმართ არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. ავტორი დაჯერებულად ებმება პოლემიკაში საწინააღმდეგო აზრის მქონეთა წინააღმდეგ, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ გ. ვოლსკი ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა საექიმო საქმეს. ავტორი დოკუმენტურად ასაბუთებს ამის საწინააღმდეგოს და ასკვნის, რომ გ. ვოლსკის ძალიანაც აინტერესებდა მედიცინა და არ გაურბოდა საექიმო პრაქტიკას. ეს, საერთოდ, ხაზს უსვამს მისი ინტერესების მრავალფეროვნებას. ავტორის აზრით, აქ გარკვეულ როლს თამაშობდა სოციალური გარემო, სიტუაცია და პირობები.

ნაშრომში პარალელურად მოთხრობილია ბათუმში საექიმო სისტემის განვითარების შესახებ, მოცემულია მოკლე ისტორიული ექსკურსი, ერთ-ერთი ეტაპის მცირე მონაკვეთისა; სასურველი იქნებოდა, ეს უფრო მეტად დაკავშირებოდა გ. ვოლსკის საქმიანობას.

რ. სურმანიძის მიერ, როგორც ეს შეეფერება სერიოზულ მკვლევარს, ბევრი საეჭვო ან არასრულყოფილად გაშუქებული ფაქტი ზუსტდება. მაგალითად, გ. ვოლსკის დაბადების წელი, ბათუმიდან გადასვლის დრო და სხვ. მნიშვნელოვანია ის, რომ

ნაშრომში თავმოყრილია გ. ვოლსკის გამოუქვეყნებელი ლექსები, რამაც შეიძლება სათავე დაუდოს პოეტის აქამდე უცნობი თუ გამოუქვეყნებელი ლექსების ძიებას, შესწავლასა და გამომზეურებას.

თითქოს რაღაცგვარი დისონანსი შეაქვს მეცნიერულ მონოგრაფიაში პოეტური ნაწარმოებების ჩართვას, მაგრამ, ჯერ ერთი, ის გამოიყენება როგორც სადემონსტრაციო (საჩვენებელი, საილუსტრაციო) მასალა და, ამასთან, ერთგვარ სიმსუბუქეს სძენს წიგნს, რომელიც ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაცაა განკუთვნილი. ლექსების წარმოჩენა ხელს უწყობს მკითხველის დაინტერესებას, უფრო მეტი პოეტური ნაწარმოები წაიკითხოს გრიგოლ ვოლსკისა და უფრო საფუძვლიანად გაეცნოს ავტორს.

ყოველივე თქმული გვიჩვენებს, რამდენად ნიჭიერადაა ხსენებული წიგნი შექმნილი და შედგენილი, რამდენად სერიოზულ, საფუძვლიან კვლევასთან გვაქვს საქმე. მისასალმებელია, რომ მკვლევარი ცდილობს სრულყოფილად, ყოვლისმომცველად დაგვანახვოს გ. ვოლსკის სახე – მოგვცეს მისი ლიტერატურული პორტრეტი, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი თვისებების ჩვენებით.

წიგნში უხვადაა მოცემული განმარტებები, შენიშვნები და სხვა მითითებები სქოლიოების სახით, დართული აქვს გრიგოლ ვოლსკის ბიბლიოგრაფია, მართალია, მცირე ტექნიკური ხარვეზებით, მაგრამ მათ რაიმე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. იგივე ითქმის სახელთა საძიებელზე, რომლის გარეშე ამგვარი გამოცემა წარმოუდგენელია.

წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ის გარეგნობითაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, რაც კარგ მენეჯმენტზე მეტყველებს.

უდავოდ მისასალმებელია ბატონ რამაზ სურმანიძის მოღვაწეობა ჩვენი სახელოვანი მოღვაწეების ბიოგრაფიების კვლევის საქმეში; შეიძლება ითქვას, რომ იგი საქართველოში ერთი პირველთაგანია ამ მიმართულებით კვლევის დარგში. მე მას მთელი თავისი სპეციალობების თანაბრად, მივიჩნევ უპირველეს ბიოგრაფიოსად, ჩვენში სრულიად ახალი დარგის – ბიოგრაფილოგიის ფუძემდებლად.

ყოველი სერიოზული ბიბლიოთეკის თაროს დაამშვენებს რ. სურმანიძის შესანიშნავი წიგნი შესანიშნავ პოეტსა, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეზე; მით უმეტეს, საზოგადოებამ ძალიან ცოტა რამ იცის და კარგად არც იცნობს ქვეყნისათვის თავგადადებულ ადამიანსა და დიდ პიროვნებას – გრიგოლ ვოლსკის.

გიორგი გაბუნია

რამდენიმე შენიშვნა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ დაშვებული ზოგიერთი უზუსტობის შესახებ

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001 წელს გამოცემულ კრებულში „ჟურნალისტური ძიებანი“. დაბეჭდილია ჩვენი პუბლიკაცია სათაურით „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ სრულყოფისათვის“, რომლითაც სამეცნიერო საზოგადოებას გავაცანით გიორგი ბაქრაძის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819–1945“ (თბ., 1947), ნებსით თუ უნებლიეთ, დაშვებული უზუსტობების ერთი ნაწილი, სულ – 25 შეცდომა, ლაფსუსი და კორექტურა.

ამჯერად, ქართველი ბიბლიოგრაფებისა და საქართველოში გამოცემული ჟურნალ–გაზეთების ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევრების ყურადღება გვსურს შევაჩეროთ ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში ჩვენ მიერ დადგენილ კიდევ რამდენიმე უზუსტობაზე. კერძოდ:

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ მე–11 გვერდზე მოცემულ გაზეთ „ივერიის“ მონაცემთა ნუსხაში არის: „1905 წ. №1 – №224“. აქ დაზუსტებას მოითხოვს აღნიშნულ წელს გამოცემული დასახელებული გაზეთის მითითებული ნომრების რაოდენობა. საქმე იმაშია, რომ 1905 წლის 1 იანვრიდან – 14 თებერვლამდე გამოვიდა „ივერიის“ 23 ნოემბერი (№1–23). სწორედ ამ უკანასკნელ ნომერში, 1905 წლის 13 თებერვალს, კვირას, გამოსულ გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ამგვარი საგანგებო განცხადება: „ივერიის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 15 თებერვალს გადიდებული ფორმატითა და ახალის რედაქციით“. ხსენებული ორგანო, დაპირებისამებრ „გადიდებულის ფორმატითა და ახლის რედაქციით“, მართლაც გამოვიდა, ოღონდ ორი დღის დაგვიანებით – არა 15 თებერვალს, სამშაბათს, როგორც ეს ნავარაუდები იყო, არამედ – 17 თებერვალს, ხუთშაბათს, და ამ დღიდან „ივერიამ“ თავიდან დაწყებული ნუმერაციით განაახლა გამოსვლა და წლის ბოლომდე სულ გამოიცა მისი 224 ნომერი (№1–224, როგორც ეს ზემოაღნიშნულ ბიბლიოგრაფიაშია მითითებული). მაგრამ აქ, ცხადია, ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ „დავაბინავოთ“ ბაქრაძისეულ „ქართული ჰეროდიკის ბიბლიოგრაფიაში“ „ივერიის“ ის 23 ნოემბერი, რომელიც 1905 წლის იანვარ–თებერვალში მიიღო მკითხველმა და რომელთა ეგზემპლარებიც დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში? ჩვენი აზრით, ეს ამგვარად უნდა გაკეთდეს: „1905 წ. №1–

№23(13.II); №1(17/II) – №224“. ასე რომ, 1905 წელს სულ გამოიცა „ივერიის“ 247 (23+224) ნომერი და სწორედ ეს ციფრი უნდა დაფიქსირდეს ქართული ჟურნალ–გაზეთების ახალ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში.

2. „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ 52–ე გვერდზე არის: „364. „ჯარისკაცი“. 1917–1918. ... 1918 წ. №1–3...?“ უნდა იყოს: „... 1918 წ. №–№4(4.II)“.

3. ხსენებული ბიბლიოგრაფიის 54–ე გვერდზე არის: „383. „სოციალ–ფედერალისტი“. 1918–1920“. უნდა იყოს: „სოციალისტ–ფედერალისტი“. აქვე დავძენთ, რომ იგივე შეცდომა გამეორებულია ალფაბეტურ საძიებელშიც (იხ.: გვ. 225).

4. ბიბლიოგრაფიის 66–ე გვერდზე არის: „502 „სოციალისტ–ფედერალისტი. 1921. ... 1921 წ. №1 (27/II) – №120(26/III)...“ უნდა იყოს: „... №120(26/VII)“

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე პატარა პუბლიკაცია, მის მსგავსს სხვა პუბლიკაციებთან ერთად, არ დარჩება „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და იგი თავის მოკრძალებულ წვილს უთავოდ შეიტანს გიორგი ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ ხელმეორედ გამოცემის შემთხვევაში (რისი აუცილებლობაც უკვე დგას დღის წესრიგში), მკითხველისთვის მისი, რაც შეიძლება, უხარვეზოდ, დახვეწილი და სრულყოფილი სახით მიწოდების საქმეში.

ჩვენი კალენდარი

2015 წლის ღირსშესანიშნავ და საიუბილეო თარიღების კალენდარი

იანვარი

1 – 75 წლის წინათ დაიბადა რევაზ მიშველაძე – მწერალი (1940)
6 – 150 წლის წინათ დაიბადა ნიკო მარი – ენათმეცნიერი (1865–1934)
7 – შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი
8 – 115 წლის წინათ დაიბადა გიორგი ლეონიძე – აკადემიკოსი პოეტი (1900–1966)
9 – 120 წლის წინათ დაიბადა ნიკოლოზ ბერძენიშვილი – ისტორიკოსი, აკადემიკოსი (1895–1965)
13 – 200 წლის წინათ დაიბადა ლავრენტი არდაზიანი – მწერალი (1815–1870)
14 – ქართული თეატრის დღე
15 – 225 წლის წინათ დაიბადა ალექსანდრე გრიბოედოვი – მწერალი, დიპლომატი (1795–1829)
18 – 80 წლის წინათ დაიბადა დავით ჯავახიშვილი – მწერალი (1935)
24 – 265 წლის წინათ დაიბადა ბესიკი – პოეტი (1750–1791)
26 – 90 წლის წინათ დაიბადა ლევან სანიკიძე – ისტორიკოსი, მწერალი (1925–2002)
29 – 155 წლის წინათ დაიბადა ანტონ ჩეხოვი – რუსი მწერალი (1860–1904)

თებერვალი

8 – დავით აღმაშენებლის ხსენების დღე
10 – 125 წლის წინათ დაიბადა ბორის პასტერნაკი – რუსი მწერალი (1890–1960)
21 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუტციის დღე
22 – 90 წლის წინათ დაიბადა მიხეილ ქვლივიძე – პოეტი (1925–2005)

მარტი

3 – დედის დღე
8 – ქალთა საერთაშორისო დღე
9 – 120 წლის წინათ დაიბადა კოლაუ ნადირაძე – პოეტი (1895–1990)
10 – 110 წლის წინათ დაიბადა ლევან გოთუა – მწერალი (1905–1973)
18 – 185 წლის წინათ დაიბადა დანიელ ჭონქაძე – მწერალი (1830–1860)
26 – 340 წლის წინათ დაიბადა ვახტანგ VI (1675–1737) – ქართლის გამგებელი, საქართველოში პირველი სტამბის დამაარსებელი (1709), სადაც გამოიცა პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ (1712)
27 – თეატრის საერთაშორისო დღე
28 – 85 წლის წინათ დაიბადა პეტრე ბაგრატიონ–გრუზინსკი – პოეტი (1920–1984)
31 – 175 წლის წინათ დაიბადა ემილ ზოლა – ფრანგი მწერალი (1840–1902)

აპრილი

2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე
– 155 წლის წინათ დაიბადა მარიამ დემურია – ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი (1860–1910)
9 – 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია თბილისში
– საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დღე (1991)
12 – აღდგომა
14 – 105 წლის წინათ დაიბადა გიორგი შატბერაშვილი – მწერალი, დრამატურგი (1910–1965)
14 – „დედა ენის“ დღე (1978).
19 – 95 წლის წინათ დაიბადა იოსებ ნონეშვილი – პოეტი (1920–1980)
23 – წიგნისა და საავტორო უფლებების დღე
30 – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე

მაისი
9 – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე
17 – 210 წლის წინათ დაიბადა სოლომონ დოდაშვილი – ფილოსოფოსი, ჟურნალისტი (1805–1836)
18 – მუზეუმების საერთაშორისო დღე (1909)
26 – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე

ივნისი
1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
5 – გარემოს დაცვის დღე
11 – 85 წლის წინათ დაიბადა მორის ფოცხიშვილი – პოეტი (1930–1993)
16 – 175 წლის წინათ დაიბადა აკაკი წერეთელი – პოეტი (1840–1915)
16 – 85 წლის წინათ დაიბადა ოტია იოსელიანი – პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1930–2011)
25 – 125 წლის წინათ დაიბადა მარიჯანი (მარიამ ალექსიძე) – საბავშვო მწერალი (1890–1978)

ივლისი
1 – მარაბდის ბრძოლის 390 წლისთავი (1625)
15 – 140 წლის წინათ დაიბადა იეთიმ გურჯი – აშუღი (1875–1940)
20 – 110 წლის წინათ დაიბადა ნიკო სამადაშვილი – პოეტი (1705–1792)
25 – 115 წლის წინათ დაიბადა სიმონ ჯანაშია – ისტორიკოსი, აკადემიკოსი (1900–1947)

აგვისტო
2 – ილიაობა
4 – 80 წლის წინათ დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი – აღმოსავლეთმცოდნე (1935–2008)
21 – 310 წლის წინათ დაიბადა დავით გურამიშვილი – პოეტი (1705–1792)
– 220 წლის წინათ მოხდა კრწანისის ბრძოლა (1795)
24 – საქართველოს კონსტიტუციის დღე

სექტემბერი
1 – მშვიდობის დღე
4 (16) – 130 წლის წინათ დაიბადა გერონტი ქიქოძე – კრიტიკოსი და მთარგმნელი (1885–1960)
8 – ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე
26 – ქეთევან დედოფლის ხსენების დღე, ქეთევანობა
27 – 100 წლის წინათ დაიბადა ქეთევან ქუჩუკაშვილი – საბავშვო მწერალი (1915–2012)
29 – 135 წლის წინათ დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძე – მწერალი (1880–1944)
30 – 85 წლის წინათ დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანი – პოეტი (1930)

ოქტომბერი
1 – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე
3 – 115 წლის წინათ დაიბადა სერგეი ესენინი – რუსი პოეტი (1895–1925)
14 – 115 წლის წინათ დაიბადა სიმონ ყაუხჩიშვილი – ბიზანტიოლოგი, აკადემიკოსი (1895–1981)
21 – პოლიგრაფისტთა პროფესიული დღე
24 – 290 (წლის უკან) (1725 წელს) გარდაიცვალა სულხან-საბა ორბელიანი — ლექსიკოგრაფი, მწერალი, დიპლომატი
– 90 წლის წინათ დაიბადა გიორგი ხუხაშვილი – მწერალი (1925–2005)
27 – 175 წლის წინათ დაიბადა იაკობ გოგებაშვილი – ქართველი მეცნიერი, პედაგოგიკის ფუძმდებელი, საბავშვო მწერალი (1840–1912)
28 – 135 წლის წინათ დაიბადა გრიგოლ რობაქიძე – მწერალი (1880–1962)
29 – რუსთაველის — პოეზიის დღე

ნოემბერი
8 – 90 წლის წინათ დაიბადა ოთარ ჭელიძე – პოეტი (1925–1998)
10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე
17 – სტუდენტთა საერთაშორისო დღე
20 – 135 წლის წინათ დაიბადა მიხეილ ჯავახიშვილი – მწერალი (1880–1937)
23 – 65 წლის წინათ დაიბადა ლაშა თაბუკაშვილი – მწერალი (1950)
25 – 140 წლის წინათ დაიბადა კოტე მაყაშვილი – პოეტი (1875–1927)
28 – 95 წლის წინათ დაიბადა ოთარ ჩხეიძე – მწერალი (1920–2007)
30 – 180 წლის წინათ დაიბადა მარკ ტვენი – ამერიკელი მწერალი (1835–1910)

დეკემბერი
10 – ადამიანის უფლებების დაცვის დღე
30 – 85 წლის წინათ დაიბადა მედეა კახიძე – პოეტი (1930)

– 170 წლის წინათ დაიბადა მიხეილ (გობრონ) საბინინი – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სიძველეებისა და სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ავტორი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებათა ფუნდამენტური გამოცემისა „საქართველოს სამოთხე“ (პეტერბურგი, 1882)

კალენდარი შედგენილია თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



● 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს ქურთთა ახალგაზრდობის კავშირის მიერ გაიმართა ქურთული კულტურის დღეები. ღონისძიება მიეძღვნა 1914–1919 წლებში ოსმალეთის იმპერიიდან ქურთი-ეზიდების საქართველოში გადმოსახლებას;

● 3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გურამ პეტრიაშვილის წიგნის „პატარა ქალაქის ზღაპრების“ წარდგენა;

● 7 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა იოსებ გრიშაშვილის დაბადებიდან 125–ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო;

● 10 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ოლივერ უორდროპის 150 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა; წარმოდგენილი იყო მარჯორი და ოლივერ უორდროპების საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი მასალები; გადაწყდა, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიაზე გაიხსნას ოლივერ უორდროპის სახელობის სკვერი;

● 15 ოქტომბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა 1924 წლის ეროვნული აჯანყების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ პროფ.: სტივენ ჯონსი, ნ. ჟორდანიას ინსტიტუტის პრეზიდენტი შარლ ურიევიჩი, ისტორიკოსი ოლივერ რაისნერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შვილიშვილი ქრისტინე ფაღავა–ბულეზი, ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები;

● 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლის, მუზეუმოლოგის, საპატიო თბილისელის კონსტანტინე ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალების გამოფენა. გამოფენა გაიმართა თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში სახელწოდებით: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“;

● 29 ოქტომბერს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა რატი ამაღლობელის საჯარო ლექცია თემაზე „პოეზია და თანამედროვეობა“;

● 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ცნობილი ქართველი ბიბლიოთკათმცოდნის, მწერლისა და ჟურნალისტის ალექსანდრე ლორიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიება მოეწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით. საღამოზე წარდგენილი იყო იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კრებული;

● 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ამავე ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის ესეების კრებულის „გურული დღიურების" წარდგენა;

● 16 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გოდერძი ჩოხელის დაბადებიდან 60 წლისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო;

● 25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „თურქეთში მცხოვრები ქართველები, მათი სულიერი და მატერიალური კულტურა". კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ეროვნული ბიბლიოთეკა და წმიდა თამარ მეფის უნივერსიტეტი;

● 3 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ვლადიმერ ზედგინიძის წიგნის „ჯავახური ლექსიკონის" წარდგენა;

● 20, 21, 22 ნოემბერს საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა მეცნიერების დღეები. სამი დღის განმავლობაში დამსწრე საზოგადოება, მეცნიერები, ბიბლიოთეკის მკითხველები გაეცვნენ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო ცენტრის საქმიანობას, აქ მკითხველი დროულად და ოპერატიულად ღებულობს ინფორმაციას ბიბლიოთეკაში დავანებული ელექტრონული და ბეჭდვითი მასალების შესახებ. თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომები. ბეჭდური სახით გამოცემული იყო შალვა ამირანაშვილისა და ანდრია აფაქიძის ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომები. ამავე დღეებში გაიმართა მიხაკო წერეთლის ელექტრონული არქივის წარდგენა. ჩატარდა ლექციები თემაზე „ვახტანგ VI - მეფე და მეცნიერი", საფრენი აპარატების ტექნიკური მოდელირება... სამეცნიერო დღეების განმავლობაში ჩატარდა კონფერენციები: „ქართული გერმანისტიკა გუშინ, დღეს, ხვალ", „საქართველოს ბიომრავალფეროვნება". მოეწყო გამოფენები „21–ე საუკუნის ქართული მეცნიერება", „საუბრები ქართველ გამომგონებლებთან";

● 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საუბრები გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესახებ. ამავე დღეს დაარსდა გრიგოლ რობაქიძის საზოგადოება.

● 27-28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან სოფლის ბიბლიოთეკებს ახალი წიგნების შესაძენად გადაეცათ 500-500 ლარის ვაუჩერები, ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

რევიუ

დავით გიგინეიშვილი

საოპერო დივას მოლოდ გამოსვლა „ლუკრეცია ბორჯიაში“

ოპერა „ლუკრეცია ბორჯია/Lucrezia Borgia“ გაეტანო დონიცეტიმ მილანის „ლა სკალა“–სათვის დაწერა 1833 წლის მიწურულს, უმოკლეს ვადებში, რითაც ამ თეატრის იმპრესარიო, ჰერცოგ დი მოდრონეს დიდი საქმე გაუკეთა, მას მომდევნო საკარნავალო სეზონისათვის ერთი ახალი ოპერა უნდა წარედგინა, ოპერის დაწერა თავდაპირველად დავალებული ჰქონდა სავერიო მერკადანტეს.

დონიცეტი იმდენად გაიტაცა ამ დრამამ, რომ მას ძირითადი მუსიკალური მონახაზები მანამ ჰქონდა მზად, ვიდრე ლიბრეტისტი ფელიჩე რომანი მიაწოდებდა მას



ლექსებს. ოპერის სიუჟეტი შემდეგნაირია: ვენეციის ახალგაზრდა აზნაურები ფერარაში დიპლომატიური მისიით გამგზავრების წინ ატარებენ უკანასკნელ საღამოს. მათ შორის არიან მეგობრები – ჯენარო და ორსინი. დასასვენებლად განცალკევებულ ჯენაროს ეწვევა ნიღბიანი ქალბატონი – ეს ფერარას მმართველის – ალფონსო დ'ესტეს მეუღლე, ლუკრეცია ბორჯიაა, რომელიც სინამდვილეში ჯენაროს დედაა. ჯენარო მოიხიბლება მისთვის უცნობი ქალბატონით, იგი გულს გაუხსნის მას და მოუყვება თავის ბავშვობას, თუ როგორ იზრდებოდა დედის გარეშე. ჯენაროს მეგობრები კი უცნობ ქალბატონში მალევე შეიცნობენ ლუკრეცია ბორჯიას და გაკიცხავენ მას.

პირველ მოქმედებას გადავყავართ ფერარაში. მეგობრების მიერ წაქეზებული ჯენარო ჩასვლისთანავე ბორჯიების გერბიდან ჩამოაგდებს ასო 'ბ'–ს, ამ მოქმედებით შეურაცხყოფს ბორჯიების გვარს. ამ აქტის თვითმხილველი, გრაფის მსახური გამოიძახებს ბორჯიების დაცვას და ჯენაროს დააკავებენ. მეუღლის ღალატით დაეჭვებული ალფონსო ისარგებლებს ამ მომენტით და დაეთანხმება ლუკრეციას, რათა სასტიკად დასაჯონ ბორჯიების გვარის შეურაცხმყოფელი. ეს რომ ჯენარო იყო, ლუკრეციამ არ იცოდა და გაიგო რა სინამდვილე, შეცბუნებულმა რადიკალურად შეცვალა თავისი ტაქტიკა, მაგრამ ამაოდ, ალფონსო მას მხოლოდ ჯენაროს სასიკვდილო დასჯის ხერხის ამორჩევის უფლებას უტოვებს: დამნაშავემ უნდა დალიოს ბორჯიების გვარისთვის ცნობილი ტრადიციული შხამიანი სასმელი. გაოგნებული ჯენარო შესვამს საწამლავიან თასს, მაგრამ ლუკრეცია მას ანტიდოტს აძლევს და თხოვს სასწრაფოდ დატოვოს სასახლე. დაბნეული ჯენარო ასრულებს მის თხოვნას.

მეორე აქტში მეგობარი ორსინი გადააფიქრინებს ჯენაროს გაემგზავროს ფერარადან და ორივენი მონაწილეობას ღებულობენ დღესასწაულში. მაგრამ ზუსტად ამ ზეიმზე ვენეციაში მისი საიდუმლოს გამხელისათვის განრისხებული ლუკრეცია აპირებს ღვინით მოწამლოს ჯენაროს მეგობრები. შურისძიების ტკბობის მიზნით ლუკრეცია დაესწრება წვეულებას და მოულოდნელად განწირულებს შორის აღმოაჩენს თავის ვაჟს. ლუკრეცია მას ისევ სთავაზობს შხამის საწინააღმდეგო წამალს. მაგრამ ჯენარო ამჯერად უარზეა. შემოდის ალფონსო, რომელმაც წინასწარ იცოდა ახალგაზრდების გეგმები და მას ხელი არ შეუშლია მეუღლის ვერაგული ზრახვების განხორციელებისათვის. შხამმორეულ ჯენაროს წინაშე ლუკრეცია ამხელს, რომ იგი მისი შვილია და უგონოდ ეცემა.

ოპერა წარმოადგენს დონიცეტის მნიშვნელოვან ნაწარმოებს – იგი სავსეა ულამაზესი მელოდიებითა და ანსამბლებით, სადაც ორკესტრს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამ ოპერაში შეიმჩნევა კომპოზიტორის სრულიად ორიგინალური მუსიკალური ხელწერა. ის წარმოადგენს ბელ კანტოს საუკეთესო ნიმუშს, რადგან ლუკრეციას პარტიისათვის დაიწერა ვოკალურად ძნელი და ვირტუოზული არიები და სცენები. მართალია, ოპერა შედარებით ცივად მიიღეს და გააკრიტიკეს კიდეც, მაგრამ მან დღემდე შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა მსოფლიო საოპერო სცენაზე. არსებობს რამდენიმე სტუდიური ჩანაწერი, სადაც ლუკრეციას პარტიაში ბრწყინავენ მონსერა კაბალე, ჯოან საზერლენდი და ედიტა გრუბეროვა. ასევე არსებობს სპექტაკლების ჩანაწერები ამ ორი უკანასკნელი ვოკალისტის მონაწილეობით. ნანახი მაქვს ედიტა გრუბეროვას (დიტა რუბეროვა) 2009წ. ჩანაწერი გადახედვით. 2014 წლის მიუნხენის საოპერო ფესტივალში მისი ჩართვა კი გამიკვირდა (გამომდინარე გრუბეროვას ხანდაზმულობიდან), თუმცა მინდოდა ერთხელ მაინც დავსწრებოდი ამ ლეგენდარული მომღერლის ცოცხალ სპექტაკლს.

სპექტაკლი შედგა კვირას, 2014 წლის 26 ივლისს, დეკორეციები და კოსტიუმები იყო აბსოლუტურად იდენტური იმისა, რაც დვდ–ჩანაწერში, გავიმეორებ – ასკეტური, გადატანილი XIX საუკუნეში, პრაქტიკულად უდეკორაციო. ძირითადი ყურადღება ენიჭებოდა მომღერლებს და მათ ვოკალურ საშუალებებს. წინა შემადგენლობიდან უცვლელი იყო გრუბეროვა და პავოლ ბრესლიკი (ავოლ რესლიკ) ჯენაროს როლში. ორსინის ასრულებდა სილვია ტრო სანტაფე (შილვია თრო შანტაფლ) და ალფონსოს – ჯონ რელი (ჯოჰნ ღელყეა), სადირიჟორო პულტთან კი იდგა პაოლო არივაბენი (აოლო რრივაბენი). ეს წარმოდგენა აღსანიშნავი იყო იმით, რომ ამ სეზონზე შესრულდა ბავარიის საოპერო თეატრში გრუბეროვას მოღვაწეობის 40 წელი.

პროლოგი იწყება ორსინისა და გუნდის სცენით (ელლა ფატალ დი ღიმინი), ტრო სანტაფე – მოკრძალებული სიმაღლის და საშუალო სიძლიერის მყარი,მეცო–სოპრანო ლამაზი ხმის პატრონი აღმოჩნდა. პირველ სცენებში იგი სრულიად შესაბამისი იყო თავისი როლის, მეტი აღფრთოვანება დაიმსახურა უკვე შემდგომი სცენებით, სადაც უბადლო ტექნიკით შეასრულა არიის მეორე ნაწილი (Ілъ შეგრეტო პერ ესსერ ელიცი). ბრესლიკი ცოცხალ შესრულებაში უფრო კარგი მომეჩვენა, ვიდრე ჩანაწერში. ის ყურადღებას იქცევდა ლამაზი, სუფთა, ტემბრალურად უცვლელი და მოქნილი ხმით, რომელიც არ განიცდიდა რაიმე წინააღმდეგობას. ახალგაზრდა მომღერალმა დაუღლელად, ჩავარდნის გარეშე, ცოცხლად და ექსპრესიულად შეასრულა პარტია. ერთი სიტყვით, მსმენელს წარუდგა ნამდვილი ლირიული ტენორი, რომლის ხმა კარგად ჟღერდა დარბაზში. განსაკუთრებულად მოსაწონი იყო ბრესლიკი საფინალო დუეტში (თუ ურ ქუი? ონ სეი ფეგგიტო?/აფფიო უორე). მაღალი, მოქნილი, ჟღერადი და შედარებით რბილი (მაღალ რეგისტრში) ბანის პატრონი ჯონ რელი რატომღაც მაფიოზს მაგონებდა. ვერ ვიტყვი, რომ იგი იდეალურად ჯდებოდა როლში, თუმცა დასამახსოვრებელი იყო.

რაც ეხება ედიტა გრუბეროვას – პირველ არიაში (ჩომ'ე ბელლო!) მიუხედავად შედარებით ნელი ტემპისა, მან გასაოცარი პასაჟი ბრწინვალედ შეასრულა. ერთი–ორი ზედა ნოტიც საუკეთესო იყო – მისი ტრადიციის შესაბამისად. მაგრამ ეს იყო და ეს. ბრესლიკი უმატებდა, გრუბეროვა კი აკლებდა – არც სუნთქვა, არც ასაკი და არც ფორმა მას არ აძლევდა საშუალებას როლი მიეყვანა ბოლომდე, საგრძნობი ხარვეზების გარეშე. მეტიც – მისი შესრულება იყო ის მკაფიო მაგალითი, როდესაც გაგონდება უკვდავი ფრაზა – მსახიობმა უნდა იცოდეს, როდის დატოვოს სცენა. ფინალურ არიაში (რა ესსო Ілъ იგლიო იო) მაღალი ნოტი უკვე ისეთი ხარვეზით აჟღერდა, რომ მისი გამართლება შეიძლებოდა მხოლოდ დრამის მსახიობური განცდით, მაგრამ შეიძლება კი ეს ამას მივაწეროთ?

ერთი სიტყვით, საღამო გახდა ერთი პრიმადონას ჩავარდნა სხვა ახალგაზრდა მომღერლების კარგი შესრულების ფონზე. მაგრამ პუბლიკამ არ იუკადრისა, სიყვარულით მიიღო და მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა ედიტა გრუბეროვა – ამით გამოხატა თავისი დიდი მადლიერება მისი ხანგრძლივი შემოქმედების მიმართ, რომლის უდიდესი ნაწილი (40 წელი) მან ბავარიის ნაციონალური ოპერის სცენაზე გაატარა.



ბოლოს გამოვიდა თეატრის ინტენდატი და ბავარიის კულტურის მინისტრი, რომლებმაც მოკლე სიტყვით აღნიშნეს მომღერლის ღვაწლი მათ თეატრში და გადასცეს საპატიო მედალი. ედიტა გრუბეროვასთვის ეს დაუვიწყარი საიუბილეო საღამო იყო და სამწუხაროდ ჩემთვისაც. ბოლოში დავამატებდი, რომ პრიმადონას ვოკალური ფორმიდან გამომდინარე ოპერა შეკვეცილი იყო – ზოგი არია სრულდებოდა გამეორების გარეშე, სხვა შემსრულებლების ნომრებიც შესაბამისად შეკვეცილი იყო. ერთი სიტყვით, კითხვაც კი გამიჩნდა– ეს დონიცეტის თუ ედიტა გრუბეროვას „ლუკრეცია ბორჯია" შესრულდა? თუმცა მსმენელებმა ყველაფერი კარგად განსაჯეს...

გამოსათხოვარი

შრომასა და ბრძოლაში განვლილი ცხოვრების დასასრული

94 წლის ასაკში დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება საბიბლიოთეკო დარგში მოღვაწეთათვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ, ომისა და შრომის ვეტერანმა ქალბატონმა ქეთევან ბერიშვილმა. იგი დაიბადა 1920 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ კვარცხუთში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. ამის შემდგომ იგი ერთხანს პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა დმანისის რაიონის სოფელ მაშავერაში. 1942 წელს იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. როგორც მებრძოლი ჯარისკაცი მონაწილეობდა სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში. ომის დამთავრების შემდეგ ქ. ბერიშვილი მუშაობდა თბილისის სხვადასხვა საქალაქო ბიბლიოთეკებში.

1952 წელს ნ. ბერიშვილმა დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობით. 1959–1975 წწ. ეკავა თბილისის კულტურულ–საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობა. მომდევნო წლებში ერთხანს იმუშავა საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდურ კაბინეტში. იყო საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. ქ. ბერიშვილი ღირსეუ-

ლად დაფასდა აგრეთვე როგორც ჯარისკაცი და მებრძოლი. მიღებული ჰქონდა 7 მედალი და ორდენი. მან ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე და პირნათელი წარსდგა უფლის სამსჯავროზე. მის აღზრდილ ბიბლიოთეკარებს, რომლებიც დღესაც იღვწიან საბიბლიოთეკო დარგში, კარგად ახსოვთ იგი როგორც ნამდვილი აღმზრდელი, აღჭურვილი ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. ქ–ნი ქეთევანი სასწავლო პროცესს წარმართავდა დიდი პედაგოგიური ტაქტითა და სამართლიანობაზე დაფუძნებული დისციპლინით.

მის ყოფილ შეგირდებს ახლაც კარგად ახსოვთ ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ საოცრად გულთბილი დირექტორის, აღმზრდელისა და ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნების იერსახე. მის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ეფუძნებოდა საბიბლიოთეკო პრაქტიკას, ქართული საბიბლიოთეკო სკოლის იმდროინდელ მიღწევებს. იგი ჭეშმარიტად გახლდათ ამ უწმინდესი დაწესებულების დიდი დიასახლისი, შემკობილი ქართველი მანდილოსნისათვის ჩვეული ღირსებებითა და ნიშნებით. შემოდგომის ერთ მზიან დღეს ამაღლდა მისი მებრძოლი, ნაჯაფარი, მაგრამ აუმღვრეველი სული და ამქვეყნად დატოვა სახელი და ნაღვაწი, ფრიად სასიკეთოდ და სიამაყით მოსაგონარი.

ჟურნალის რედაქცია

ცხოვრება და აღსასრული კეთილის მქნელისა

სულის გამოცდისათვის ბოძებული სიცოცხლე დაასრულა თბილისის ერთ–ერთმა უსაჩინოესმა ბიბლიოთეკარმა, 57–ე საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ ლალი გოქაძემ. სიცოცხლის ბოლო წლებში მას უფალმა დიდი გამოცდა მოუვლინა. მძიმე სენით დაავადებული ქალბატონი ამ გამოცდას ებრძოდა სულის სიმხნევით, სიცოცხლისადმი დაუოკებელი წყურვილით, მოთმინებით, შრომითა და მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი. იგი სულიერი განწმენდის საოცარი ძალით ინარჩუნებდა გონებრივ სიფხიზლეს. მის პიროვნებაში თაყვანისცემის ღირსი იყო მარად მომღიმარი იერსახე, თავმდაბლობა, ყურადღებიანობა, კოლეგიალობა და უბრალოება. ამ თვისებებს სრულყოფილ სახეს აძლევდა მაღალი პროფესიონალიზმი და წიგნიერება, ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი და ტაქტი.

დაიბადა 1946 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფ. ბარეულში. 1964 წელს დაამთავრა თბილისის მე–5 საშუალო სკოლა. იმავე წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა სხვადასხვა დაწესებულებებში უბრალო მუშად. ერთხანს იმუშავა დამლაგებლად თბილისის ერთ–ერთ საქალაქო ბიბლიოთეკაში. 1968 წლიდან იგი მუშაობას აგრძელებს სხვადასხვა საქალაქო ბიბლიოთეკებში, ბიბლიოთეკარის, შემდეგ — გამგის თანამდებობებზე. 1991 წლიდან განაგებდა 57–ე საქალაქო ფილიალს. ლ. გოქაძემ 1976 წელს დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი სპეციალისტი საკმაოდ წარმატებული პიროვნება გახლდათ მთელ საქალაქო სისტემაში. მისი პიროვნების დახასიათებისათვის საკმარისი იყო თუნდაც ერთ მასობრივ ღონისძიებაზე დასწრება, რომელსაც იგი წარმართავდა ღრმად პედაგოგიური ტაქტით, წიგნისა და მკითხველის ურთიერთობის კანონზომიერებათა გაცნობით. ღონისძიებებზე დამსწრეთ ყოველთვის ემახსოვრებათ სადად ჩაცმული, ხმადაბლა, მაგრამ სწორი ქართულით მოსაუბრე ქალბატონი. ღონისძიებათა თემატიკა ყოველთვის ეხმაურებოდა საქვეყნო, ერისათვის მტკივნეულ პრობლემას. ბიბლიოთეკა დღენიადაგ იზიდავდა მოსწავლე ახალგაზრდობას, მეცნიერ–მუშაკებს. მათგან ბიბლიოთეკის ღონისძიებებს სისტემატურად ესწრებოდნენ ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორი გიორგი არაბული, პოეტი ზაზა ქინქლაძე, ფილ. მეცნ. დოქტორი მანანა ასათიანი, პროფ. დ. კოტორაშვილი და სხვ.

ლ, გოქაძეს შინაგანად ჰქონდა გათავისებული წიგნის ადგილი პიროვნების ზნეობრივი წვრთნის უკეთილშობილეს საქმეში. იგი თვითონ არასოდეს ყოფილა სულიერი საზრდოს გარეშე. ავადმყოფობის ჟამს სწორედ წიგნი აძლევდა მას თვითდაძლევის საოცარ უნარს; ყოფიერებით მიყენებულ ტანჯვას მორჩილად ითმენდა და არაადამიანური ძალით უძლებდა სულიერ ტკივილს. აქტიურ ცხოვრებას განრიდებული იბრძოდა, ითმენდა, უფალს შესთხოვდა მიწიერი ცხოვრებიდან გადასვლას.

აღესრულა მშვიდ გარემოში და დაასრულა მისი უკეთილშობილესი პიროვნების მიწიერი მოძრაობა. შორეთში გადანაცვლებული მისი სული პირნათელი წარსდგება სამსჯავროს წინაშე.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დირექცია,
57–ე ფილიალის თანამშრომლები

გილოცავთ!

საახალწლო მილოცვა საქართველოს ბიბლიოთეკებს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრებს და ყველა ბიბლიოთეკარს,

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალ სიხარულს და პროფესიულ წარმატებებს. დაე, ახალ 2015 წელს ბევრი საუკეთესო წიგნი შეგვეძინოს და მკითხველები გაგვეხარებინოს.
ასევე ყველა ის საახალწლო სურვილი ავსრულებოდეთ, რომელიც ჩაიფიქრეთ! დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად ყველა სიძნელეს გადავლახავთ!

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

რუსუდან ასათიანი

ქურნალი საქართველოს ბიბლიოთეკა

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

იანვარი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

თებერვალი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	

მარტი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აპრილი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

მაისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

ივნისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ივლისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

აგვისტო

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

სექტემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

ოქტომბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ნოემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

დეკემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31